სრულ... ბიბლიოთეკა


# საფეხბურთო... 

სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 16 მარტი 2001 №46 (1319) | ფასი 50 თეთრი


# გახოკიძე ხათაბალას გადაურჩა



REUTERS ეინდჰოვენიდან

მოედანზე გავარდნილ ქომაგებს ისევ ეინდჰოვენელები აჩერებდნენ

UEFA CUP

ქართველები ნელ-ნელა შემოეცალნენ ევროტურნირებს, ბოლო ჩვენიანი ეინდჰოვენელი გიორგი გახოკიძე აღმოჩნდა. მთავარი ამბები კი შეცვლაზე გახოკიძის შესვლამდე დატრიალდა: ბრუგინკის ვერგატანილი და ბასლერის ზუსტი პენალტები, ვან ბომელის გაძევება, გაცოფებული ჰოლანდიელი ქომაგები, თამაშის 16 წუთით შეწყვეტა, ხალხისადმი მასპინძელთა მწვრთნელის ერიკ გერეტსის მუდარა, დაწყნარდითო...

„სელტამ“ ბარსელონაში გაშვებულ ორ გოლს შინ სამით უპასუხა, მაგრამ „ბარსას“ ჰყავს რივალდო, რომლის წყვილი გოლის წყალობით კატალონიელებს ფინალამდე ერთი ნაბიჯიღა დარჩათ.

„სელტას“ მსგავსად „რაიო ვალეკანომაც“ მოიგო, მაგრამ ესეც დამარცხების ტოლფასი გამარჯვება იყო. „ალავესი“ კი ზეიმობს — ევროტურნირის დებიუტანტი ნახევარფინალშია.

აუცილებლად იტყვიან, რომ „ლივერპულს“ მსაჯები სწყალობენ. ასე იყო „რომასთან“, როცა არბიტრმა საჯარიმოში ხელით თამაში აპატია, ასეა ახლაც — დენი მერფიმ ბურთი ხელით გაიგდო და ისე გაიტანა.

იხილეთ მეორე გვერდი



REUTERS ეინდჰოვენიდან

„კაიზერსლაუტერნის“ მეკარე გეორგ კოხმა არნოლდ ბრუგინკს თავში ხელი წააშენინა, პენალტი აული

ევროპის ერთა თასი. მეოთხე ტური. 17 მარტი

## საქართველო - ესპანეთი

რუსთავი. «ფოლადის» სტადიონი. 15 საათი

# მორაგბეები ყველგან ეროვნულად ითამაშებენ



ბადრი კითოლაძის ფოტო

ლევან ცაბაძე და მევლუდ მთიულიშვილი: ძალისმიერი გახურება ესპანელებთან ბრძოლის წინ

## მაგარი ომი იქნება!

იცოცხლეთ, მორაგბეებისთვისაც და გულშემატკივრებისთვისაც გაცილებით უკეთესი იქნებოდა, საქართველოს ნაკრებს ეროვნულ სტადიონზე ეთამაშა, მაგრამ...

თუმცა, ქართველი მორაგბეები ის ხალხია, რომელიც გაჭირვებას და უსამართლობას ღირსეულად იტანს. ამიტომ გუშინ „ბორჯღალოსნებმა“ ხვალ გასამართი მატჩის სარბიელი, რუსთავის „ფოლადის“ არცთუ იდეალური მოედანი დაათვალიერეს.

ხვალ კი მეტად პრინციპული და მძიმე მატჩია: „ევროპის ერთა თასის“, იგივე მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირის მეოთხე ტურში, დაუმარცხებელი საქართველო ესპანეთს მასპინძლობს. მაგარი ომი იქნებაო, ამბობენ კიდეც ჩვენი მორაგბეები.

საქართველოს ნაკრების ფრანგმა მწვრთნელმა კლოდ სორელმა საფუძვლიანად, სრული დატვირთვით ავარჯიშა შეგირდები და რჩევა-შენიშვნებიც ქართულად მისცა.

საქართველოს მორაგბეთა ნაკრების ვარჯიშის რეპორტაჟი რუსთავიდან იხილეთ მეთხუთმეტე გვერდზე

UEFA CUP

# უეფას თასი. მეოთხედფინალის საპასუხო მატჩები

### პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) 0:1 კაიზერსლაუტერნი (გერმანია) (0:1)

0:1 ბასლერი (73პ)
პსვ: ვატერეუსი, ფაბერი, ნიკიფოროვი, ჰოფლანდი (ვეერდენი 46), ბოუმა, რომედალი (ბახოპიძე 74), ვან ბომელი, ფოგელი, კოლკა (ადილ რამზი 65), დე იონგი, ბრუგინკი
კაიზერსლაუტერნი: გ. კოხი, რამზი, ჰ. კოხი (გრამოძისი 46), ბასლერი, შტრასერი, ბუკი, რატინიო (კომლიენოვიჩი 90), ხრისტოვი, კლოსე (რეიხი 54), პეტერსონი, ლოკვენცი
გაძევება: ვან ბომელი (73)
მსაჯი: ა. ნიეტო (ესპანეთი)
31 500 მაყურებელი

### ლივერპული (ინგლისი) 2:0 პორტუ (პორტუგალია) (0:0)

1:0 მერფი (33), 2:0 ოუენი (38)
ლივერპული: ვესტერველდი, ენჩოსი, ბაბელი, ჰიიპია, კარაგერი, შმიცერი (ლიტმანენი 74), მერფი (ციგე 89), ჰამანი, ჯერარდი, ოუენი, ფაულერი (ჰესკი 74)
პორტუ: ეშპინია, ალვეში, პარედესი, სეკრეტარიუ (დეკო სოუზა 46), ანდრადე, ალენიჩევი, სანტუში (მარიჩი 80), კანდიდო კოშტა (კაპუშუ 46), კლაიტონი, პენა, რიკარდო სილვა
მსაჯი: კ. ნილსენი (დანია)
40 502 მაყურებელი

### სელტა (ესპანეთი) 3:2 ბარსელონა (ესპანეთი) (1:2)

0:1 რივალდო (29), 1:1 კატანია (34), 1:2 რივალდო (44), 2:2 გუსტავო ლოპესი (64პ), 3:2 მოსტოვოი (90)
სელტა: პინტო,ველასკო, კასერესი, ბერიზო, ხუანფრანი (ედუ 46), ჯოვანელა, ხაიო, კარპინი, მოსტოვოი, გუსტავო ლოპესი (ხესული 73), კატანია
ბარსელონა: რეინა, რაიციგერი, ფ. დე ბური, კოკუ, სერხი, გვარდიოლა, პეტი, ლუის ენრიკე, ოვერმარსი, რივალდო (ხავი 79), კლუივერტი (ხერარდი 89)
მსაჯი: მ. მერკი (გერმანია)
29 000 მაყურებელი

### რაიო ვალეკანო (ესპანეთი) 2:1 ალავესი (ესპანეთი) (0:3)

0:1 კრუიფი (19), 1:1 კვევდო (41), 2:1 სემბრანოსი (79პ)
რაიო ვალეკანო: ლოპეტეგი, ურბანო, მინგო (ალკასარი 69), ალესტეროსი, გლაუზიო, პოშნერი, კვევდო, მიჩელი, სემბრანოსი, ბოლო (ბარტელტი 65), ბოლიჩი
ალავესი: ერერა, კონტრა, სარიეგუი, კარმონა, ეგენი, ბეგონა, დესიო, ტომიჩი (პაბლო 73), მაგნო (ვუკო 89), კრუიფი (ასკოიტია 69), ივან ალონსო
მსაჯი: ჟ. კოლომბო (საფრანგეთი)
9 500 მაყურებელი


REUTERS

პსვ — კაიზერსლაუტერნი. დიდი რია-რია, ხულიგნები, გამშველებლები და დარცხვენილი მასპინძლები


REUTERS

ლივერპული — პორტო. ინგლისელმა დენი მერფიმ გაიტანა, პორტუგალიელი კარლუშ სეკრეტარიუ გაიტანეს


REUTERS

ბასლერმა, ერთ დროს სუპერმარიომ, გუშინაც იმარჯვა, „კაიზერსლაუტერნი" ნახევარფინალში გაიყვანა


REUTERS

ბარსელონელმა მიხაელ რაიციგერმა ვიგოელ ჯოვანელას გადაახტა


REUTERS


REUTERS

წაგებულიც ხარობს ხოლმე: „ბარსელონა" „სელტასთან" კი დამარცხდა, მაგრამ გატანილ-გაშვებულით აჯობა და უეფას თასისთვის ბრძოლას განაგრძობს

## შვეიცარია

A ჯგუფი გადადებული მატჩი
ბაზელი 0:0 ლოზანა

თასის მერვედფინალი
ივერდონი 1:0 ციურიხი

2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. VIII ჯგუფი. 28 მარტი

საქართველო — რუმინეთი

# მობრძანდით საკუთარ სახლში

## საქართველო — რუმინეთი

## რუმინეთ — საქართველოსავით

**საქართველოს** ნაკრების უახლოესმა მეტოქე რუმინელებმა გეგმა შეცვალეს და თბილისში 26 მარტის ნაცვლად 25-ში, მატჩამდე სამი დღით ადრე ჩამოფრინდებიან.

სტუმართა დელეგაცია 85-კაციანი იქნება. რუმინელთა ეროვნული გუნდი და ოფიციალური პირები, რაღა თქმა უნდა, სასტუმრო „შერატონში" დაბინავდებიან, ახალგაზრდები კი ვერაზე, „ვერე პალასში".

საკვირველია, მაგრამ რუმინელები, მათივე სურვილით, მატჩის წინა დღით ეროვნულ სტადიონზე, სადაც უნდა ითამაშონ, არ ივარჯიშებენ. მათ ითხოვეს, „ეროვნული" 26 მარტს შვიდი საათიდან დაგვითმეთ, 27-ში კი სადმე, სასტუმროს მახლობლად გამოგვინახეთ სავარჯიშო მინდორიო.

გაირკვა საქართველო-რუმინეთის მატჩის კომისარიც. ის შვეიცარიელი ჟილბერტ ფაჩნეტი იქნება, ახალგაზრდული ნაკრების შეხვედრას კი თურქი იუსუფ ნამოღლუ გააკონტროლებს, რომელიც ორივე მატჩის მსაჯებსაც გაუწევს ზედამხედველობას.

და კიდევ: როცა რუმინეთი თბილისში ჩამოვა, საქართველოს ნაკრები ამ დროს გერმანიაში იქნება მათთან მატჩისთვის მოსამზადებლად. ჩვენებურები გერმანიიდან 27 მარტს გამთენიისას ჩამოფრინდებიან.

**კობა ინასარიძე**

# შოთა არველაძე:

# ბევრ სიტყვას ბევრი გოლი ჯობია



შოთა არველაძემ გოლის გემო გაიხსენა

**საქართველოს** ეროვნული ნაკრებისა და ამსტერდამის „აიაქსის" მეგოლე შოთა არველაძესთვის ეს სეზონი უიღბლოდ დაიწყო — შემოდგომზე დაშავდა და ნაკრებს ლიტვა — იტალიაში ვერ დაეხმარა. „შოთა არველაძე ჩვენთვის დიდი დანაკლისია" — თქვა მაშინ ნაკრების ერთ-ერთმა მთავარმა მწვრთნელმა დავით ყიფიანმა.

ახლა კი ყველაფერი რიგზეა. „აიაქსიც" კარგად ათამაშდა ჰოლანდიის ჩემპიონატში და შოთასაც ბოლო ორ მატჩში უგოლოდ არ დაუტოვებია მინდორი. იგივეს ველით მისგან ეროვნული გუნდისთვისაც — 28 მარტს ხომ მეტად პრინციპული მატჩია რუმინეთთან.

შოთა არველაძეს გუშინ ტელეფონით შევეხმიანეთ და მცირე ინტერვიუ ვთხოვეთ.

**— ტრავმა უკვე მოიშუშე, საშუასეზონო მოსამზადებელი პერიოდიც გაიარე და ალბათ, ჩვეული ფორმაც დაიბრუნე.**

— ახლა, მართლაც არა მიშავს, თავს ნორმალურად ვგრძნობ.

**— „აიაქსიც" ნელ-ნელა ათამაშდა, რითი იყო გამოწვეული გუნდის ბოლოდროინდელი ჩავარდნები?**

— რაც მე „აიაქსში" მივედი, მას შემდეგ გუნდი წამყვანმა და სახელოვანმა მოთამაშეებმა დატოვეს. ფაქტობრივად, ახალი გუნდის შექმნა დაიწყო, რასაც დრო სჭირდება. დღევანდელი „აიაქსის" ძირითად შემადგენლობაში 6-7 ისეთი ფეხბურთელი თამაშობს, რომელთა ასაკი 17-18 წელია. მაგრამ, რაც არ უნდა დაგვიჯდეს, აუცილებლად ჩემპიონთა ლიგის საგზური უნდა მოვიპოვოთ.

**— „აიაქსში" 24 ნომრიანი მაისურით თამაშობდი, ახლა კი ცხრიანით.**

— როცა გუნდის მთავარი მწვრთნელი კო ადრიანსე გახდა, მითხრა, ცხრანომრიანი მაისურა უნდა ჩაიცვაო. იმედია, ეს კარგად დამებედება.

**— ნაკრებზეც ვთქვათ. ლიტვა-იტალიაში არ გითამაშია, მაგრამ მაინც, როგორ შეაფასებ ჩვენი გუნდის იმ ორ თამაშს?**

— რა თქმა უნდა, კარგად ვითამაშეთ. ხოლო იტალიაში რაც მოხდა, ყველამ კარგად ვიცით — მსაჯის გამოგონილი 11-მეტრიანი... თუმც ამაზე ლაპარაკი აღარ ღირს. წინ კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი მატჩი თამაში გველის.

**— მათ შორის 28 მარტს რუმინეთთან. ამ მატჩს ყველანი განსაკუთრებული ინტერესით ველით. სფფ-იც ყველანაირად ცდილობს ხელი შეუწყოს ნაკრებს, ეროვნულ სტადიონზეც 28 მარტამდე არავის ათამაშებენ და გულშემატკივარიც მხოლოდ გამარჯვებას ელის.**

— კარგია, რომ ხელს გვიწყობენ. ისე კი, კონკრეტულად ამ მატჩის ირგვლივ საუბრისგან თავს შევიკავებ. ვცდილობთ ნაკლები ვილაპარაკოთ და ალბათ, ასე უკეთესიც იქნება. ეს მთლიანად გუნდის, მწვრთნელებისა და ფეხბურთელების ერთიანი პოზიციაა.

**— შენ აიაქსელ თანაგუნდელთან, რუმინეთის ნაკრების წევრ კრისტიან კივუსთან თუ გქონია საუბარი 28 მარტის მატჩის შესახებ?**

— კი, როგორ არა. ძალიან რთული და გადამწყვეტი თამაში იქნება, თანაც ოთხი დღით ადრე, იტალიას ვმასპინძლობთო — მითხრა მან.

**— რუმინეთთან მატჩში, ალბათ, ნათლად გამოჩნდება ჩვენი გუნდის რეალური ძალა. სპეციალისტებიც მიიჩნევენ, რომ საქართველოს ნაკრების შესაძლებლობები ამ შეხვედრაში ხელის გულივით გადაგვეშლება.**

— ვთვლი, რომ ერთ თამაშში, რაც არ უნდა მნიშვნელოვანი იყოს იგი, ყველაფერი ვერ გამოჩნდება. ხოლო თუ რა შესაძლებლობების ფეხბურთელები ჰყავს საქართველოს ეროვნულ ნაკრებს, ეს კახა კალაძის „მილანში" გადასვლამაც აჩვენა.

**— ამ ბოლო დროს, ეროვნულ გუნდში ბევრი თავდამსხმელი გამოსცადეს და სანაკრებო ადგილის დაბევებაც, ალბათ, გაძნელდება**

— კონკურენციას მივესალმები. რაც უფრო ბევრი კარგი ფორვარდი გამოჩნდება, მით უკეთესი ქართული ფეხბურთისთვის.

**დავით თაგართქილაძე**

# ფეხბურთის საუკუნე ფილარმონიაში

**პარგი** სანახაობა ელით ქართული ფეხბურთის ქომაგთ. 26 მარტს 8 საათზე, ფილარმონიაში XX საუკუნე დაბრუნდება. „ვარსკვლავები" — ასე ეწოდება გასული საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელთა დაჯილდოების ცერემონიალს.

საამისოდ უკვე თითქმის ყველაფერი მოგვარებულია, დარჩა მხოლოდ ტექნიკური მხარე. წარმოდგენის რეჟისორები გურანდა იაშვილი და მიხეილ ჭიაურელი არიან, რომლებიც მსგავს საქმეებს ჩინებულად ართმევენ თავს. საღამოს წამყვანიც ის იქნება, ვისაც ყველაზე მეტად ეკუთვნის — კოტე მახარაძე. გენერალური სპონსორიც გამოცდილია ასეთ ამბებში — კომპანია „მაგთი GSM". სწორედ ამ კომპანიისა და პირადად მისი პრეზიდენტის გია ჯოხთაბერიძის მადლობელია ამ ცერემონიალის ორგანიზატორი, ფირმა „ვერიტა". ყველაფერი ეს, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის, ირაკლი მეძმარიაშვილის ხელშეწყობით კეთდება. იგი პირადად არის დაკავებული საორგანიზაციო საკითხების მოგვარებით. საღამოში მონაწილეობას მიიღებს ქართული შოუ-ბიზნესის თითქმის ყველა ვარსკვლავი, აბრაამ ბაზელის ცნობილი მოდელების სახლი. ცერემონიაზე დასწრების სურვილი პრეზიდენტმა შევარდნაძემაც გამოთქვა.

იქნება ბევრი სიურპრიზი და სასიამოვნო ატმოსფერო, თქვენს თვალწინ გაცოცხლდება XX საუკუნის ქართული ფეხბურთი.

საერთო საქვეყნო გამოკითხვა უკვე კარგა ხანია, მიმდინარეობს და ხმების დამთვლელმა, საკმაოდ კომპეტენტურმა კომისიამაც მრავლად მიიღო ანკეტები. ალბათ მოგეხსენებათ, სულ ცხრა ნომინაციაა და ამის გარდა კიდევ ათი, ქართული ფეხბურთისთვის ღვაწლმოსილი პიროვნება დაჯილდოვდება.

და ყველაფერი ეს საქართველო — რუმინეთის მატჩამდე.

დანარჩენი ამბები კი პრესკონფერენციაზე ითქმება, რომელსაც რამდენიმე დღეში სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი და ფირმა „ვერიტა" მოაწყობენ.

**კობა ინასარიძე**

# რიონდალეულები ვოლგაში არ შევიდნენ

**როგორც** რუსული „სპორტ ექსპრესი" იტყობინება, ახლახან ქუთაისის „ტორპედოდან" სარატოვის „სოკოლში" გადაბარგებულმა ზურაბ იონანიძემ და ვახტანგ ხვადაგიანმა ახალი გუნდი დატოვეს და საქართველოში დაბრუნდნენ.

მიზეზი ჯერჯერობით უცნობია და ამის თაობაზე გუშინ ვერც „ტორპედოს" წარმომადგენლებმა გვიპასუხეს. არადა, როცა ჩვენებურები სარატოვს გაემგზავრნენ, თქვეს, იონანიძემ „სოკოლთან" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა, ხვადაგიანმა — ერთწლიანიო. ისე კი რუსული კლუბის მწვრთნელი ალექსანდრე კორეშკოვი ამბობს, ბევრი ვეცადე, ქართველები „სოკოლში" დარჩენაზე დამეყოლიებინა, მაგრამ არაფერი გამომივიდა, მათ თავად მოინდომეს ქუთაისში დაბრუნებაო.

იმედია, იონანიძისა და ხვადაგიანის „სოკოლიდან" წამოსვლის მიზეზს ამ დღეებში მაინც გვეტყვიან.

**ლუკა თალაკვაძე**

ნებისმიერი საფეხბურთო
ანგარიში, უახლესი ინფორმაციები
NHL და NBA.
ცნობები ცნობილაძისგან.
ტელ. 8-22-00-90-11.
1 წუთის ღირებულება 50 თეთრი.

მაგთი GSM
მაგთი MAGTI GSM
ფილარმონია.
26 მარტი. 20 სთ
წარმოგიდგენთ
XX საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიას
„ვარსკვლავები"
ღონისძიების ორგანიზატორები შ.პ.ს. „ვერიტა", სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქტელერადიო კორპორაცია. საინფორმაციო მხარდაჭერა რადიო „ფორტუნა" და „ფორტუნა პლიუსი", გაზეთები „ლელო", „ალია", „სარბიელი".
გენერალური სპონსორი მაგთი GSM
თქვენ ბელით შეხვედრა ქართული ფეხბურთის ელიტასთან.
VERITA
106.9 FM FORTUNA
სარბიელი

## ანკეტა

საქართველოს XX საუკუნის
საუკეთესო ფეხბურთელების, მწვრთნელის, მსაჯის,
გუნდის, გოლის
გამოსავლენად ტარდება ფეხბურთის გულშემატკივართა,
სპეციალისტთა გამოკითხვა პრესის, ტელეფონის და
ინტერნეტის მეშვეობით შემდეგ ნომინაციებში:

1. საუკეთესო ფეხბურთელი ..........
2. საუკეთესო მეკარე ..........
3. საუკეთესო მცველი ..........
4. საუკეთესო ნახევარმცველი ..........
5. საუკეთესო თავდამსხმელი ..........
6. საუკეთესო მწვრთნელი ..........
7. საუკეთესო მსაჯი ..........
8. საუკეთესო გუნდი ..........
9. მნიშვნელოვანესი (საუკეთესო) გოლი ..........

..........

გამოკითხვაში მონაწილეობის მიღების მსურველებს შეგიძლიათ ამოჭრათ, შეავსოთ ანკეტა და გამოგზავნოთ გაზეთის რედაქციაში ან ჩააბაროთ გაზეთების გასაღების პუნქტებში. გამოკითხვაში მონაწილეობის მიღების მსურველებს შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ტელეფონებზე: 99 96 43; 99 56 14 ან მოგვაწოდოთ ინფორმაცია ინტერნეტის საშუალებით:

WWW. gff. ge - ვებ გვერდი

gff@ acces. sanet. ge - E-mail

# თავსატეხი სახელგატეხილთათვის

## რა ხელი აქვს თასის კენჭისყრას ჩემპიონატთან

**საქართველოს** თასის ნახევარფინალის კენჭისყრა 23 მარტს გაიმართება, მაგრამ მის შედეგებს ერთ-ერთი ნახევარფინალისტის და საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელები გერმანიაში შეიტყობენ.

ალბათ, იცით, საქართველოს ეროვნული გუნდი რუმინეთთან 28 მარტს გასამართი შესარჩევი მატჩის წინ გერმანულ ჰენევში შეიკრიბება ერთი კვირით.

სარუმინეთო ოცეულში 6 ტორპედოელია და ამის გამო 22 მარტის „ვიტ ჯორჯია“ — „ტორპედო“ 31 მარტისთვის გადაიდო. ეროვნული ჩემპიონატის პირველ ეტაპს სწორედ ეს მატჩი დაასრულებს, საღამოს კი წილისყრითვე ფინალური ექვსეულების კალენდარიც შედგება, რათა ჩემპიონატი სწრაფადვე 3 აპრილს განახლდეს.

საქართველოს თასის ნახევარფინალში შარშანდელი ჩემპიონის და ვიცე-ჩემპიონის გარდა თასის მფლობელი თბილისის „ლოკომოტივი“ და უტიტულო თბილისის „მერანია“.

სათასო წილისყრის ასე დაგვიანება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში საინტერესოდ ხსნიან: გამორიცხული არ არის, წილისყრამ ის „ლოკომოტივი“ და „მერანი“ შეახვედროს, რომლებიც ბოლო ტურში თამაშობენ. ჰოდა, ურთიერთგარიგების (თასი მე, 3 ქულა — შენ) შანსი რომ გამოვრიცხოთ, კენჭისყრა ბოლოსთვის ამიტომ მოვიტოვეთო.

ტრანსპორტელებისთვის ცუდი თვალით შეუხედავთ, თორემ ვინ გამორიცხა ნახევარფინალში „ტორპედო“ — „ვიტ ჯორჯიას“ შეყრა, რომელთა საჩემპიონატო მატჩი ნაკრების („ტორპედოსაც“) მთავარმა მწვრთნელებმა, დავით ყიფიანმა და რევაზ ძოძუაშვილმა სამართლიანი მოთხოვნით ბოლოსთვის მოიტოვეს?

**ვახტანგ ჭიკაძე**

# ჩვენში დარჩეს...

## უმცროსმა სიომინმა კაკაშვილს მამის გეგმები გაანდო




ლადო კაკაშვილი

*ოთხშაბათს საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა აზერბაიჯანელებს სძლია „შევარდენზე“. მიუხედავად გამარჯვებისა, ჩვენმა ნაკრებმა ულიმლამოდ იბურთავა და მხოლოდ ცალკეულ ფეხბურთელთა ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე გავიდა ფონს. იმ მატჩში ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში დებიუტი ჰქონდა მოსკოვის „ლოკომოტივის“ ახალგაზრდა ქართველ მცველ ლადო კაკაშვილს.*

**სუსტი** მეტოქის წყალობით ჩვენ მცველებს ოთხშაბათის მატჩში დიდი დატვირთვა არც ჰქონიათ, მაგრამ კაკაშვილის კლასი და პროგრესი აშკარად თვალშისაცემი იყო. ნამატჩევს ლადო დაღლილ თანაგუნდელთა შორის ყველაზე მხნედ გამოიყურებოდა, მოედანზეც თავის საქმეს წყნარად, უშეცდომოდ ასრულებდა, ერთი-ორჯერ შეტევაშიც ენერგიულად ჩაერთო და, რაც ყველაზე საგულისხმოა, ბურთი სწრაფი, ზუსტი გადაცემით გადაჰქონდა მეტოქის ნახევარზე.

ნამატჩევს თავისი ამბების მოყოლა ვთხოვეთ, დაიმორცხვა, რა დროს ჩემი ინტერვიუა, ჯერაც არაფერი გამიკეთებიაო...

„მოსკოვში თავს ჩინებულად ვგრძნობ. „ლოკომოტივის“ სარეზერვო გუნდში სისტემატურად ვთამაშობ. მწვრთნელი, „ლოკომოტივის“ თავკაცის სიომინის ვაჟიც მემადლიერება, ყოველ შემთხვევაში, ვატყობ, რომ ჩემით კმაყოფილია, ამის დასტურია ისიც, რომ ამას წინათ გამანდო, ზაფხულში „ლოკომოტივის“ ძირითად შემადგენლობას შეუერთდებიო. თუ ასე მოხდა, ბედნიერი ვიქნები“— გვითხრა ლადომ.

კაკაშვილს ცოტა ხნის წინ „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელობამ კლუბის ახალ სასტუმროში გამოუყო ბინა...

„ახლა ვარჯიშისთვის მეტი დრო მაქვს. სტადიონი სასტუმროს სიახლოვესაა და მეც ვცდილობ, მხოლოდ ფეხბურთზე ვიფიქრო. „ლოკომოტივი 2“-ში თითქმის ყოველთვის უკანა მცველად მათამაშებენ, მაგრამ მზად ვარ, მწვრთნელების შეხედულებისამებრ კლუბშიც და ნაკრებშიც იმ პოზიციაზე ვითამაშო, რომელიც გუნდის ინტერესებისთვის უკეთესი იქნება“.

მატჩის შემდეგ ახლობელთა გარემოცვაში მოხვედრილს ყველა ულოცავდა. ბუნებრივიც იყო, ლადომ პირველად მოირგო საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მაისურა.

„ეს დღე არასდროს დამავიწყდება. მას დიდხანს ველოდი. ვიცოდი, რომ შანსი მომეცემოდა და მადლობელი ვარ მურთაზ ხურცილავასი. ნაკრების ინტერესები უპირველესია ჩემთვის, დღეს რაღაცნაირად განსხვავებული შეგრძნებით გავედი მოედანზე.“

დებიუტანტით უკმაყოფილო არც ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელები დარჩენილან. „კარგია, რომ კაკაშვილი გამოვცადეთ, ყოჩაღი და პერსპექტიული ახალგაზრდაა, მისი სახით ახალგაზრდულ ნაკრებს ნიჭიერი მცველი ჰყავს“ — განაცხადა აზერბაიჯანელებთან მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა სერგო კუტივაძემ.

**ბაათა ძგანტალიანი**

**გაფრთხილებთ**

**50 წლამდე ასაკის ადამიანებში მიოკარდის ინფარქტის 95 პროცენტი მწეველებზე მოდის.**

დაარქვით სიგარეტს სახელი,

გადააგდეთ შხამი!

**თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრი**

დამატებითი ინფორმაცია და უფასო კონსულტაცია: 30-64-44

*მერვე ეროვნულ ჩემპიონატში, 1996-97 წლების სეზონში ალზევდა უმაღლეს ლიგაში „მერანი“ და ევროტურნირის საგზურსაც დაეუფლა — ინტერტოტოს თასზე ითამაშა და არცთუ ურიგოდ. მის რიგებში უმეტესწილად ჩვენს ჩემპიონატში გამობრძმედილი ფეხბურთელები თამაშობდნენ, თუმც იყო ერთი ისეთიც, რომელსაც მანამდე არავინ იცნობდა. ალეკო გოგობერიშვილს ვგულისხმობთ, რომელიც მაშინ 20 წლის იყო. ბრწყინვალედ წარიმართა მისი კარიერა „მერანში“, ახალგაზრდული ნაკრების მაისურაც მოირგო. თემურ მახარაძემ ის რამდენიმე პოზიციაზე მოსინჯა — ნახევარდაცვის ორივე ფლანგზე, დაცვაში ლიბეროდ და სტოპერად, საყრდენად და გამთამაშებლად. გოგობერიშვილი ყველგან რიგიანად გაისარჯა და სპეციალისტებიც დიდ ფეხბურთში გზის გაკვლევას უწინასწარმეტყველებდნენ. მომდევნო სეზონში კი თბილისის „დინამომ“ 30 000 დოლარი გადაუხადა „მერანს“ და გოგობერიშვილი თავისთან გადაიყვანა. მერე კი, მერე ალეკოსთვის ჩარხი უკუღმა დატრიალდა...*



ალეკო გოგობერიშვილი მეორე სართულზე ფეხითაც თამაშობს

# ალეკო გოგობერიშვილი: ახლა არა, მერე...

**— „დინამოში“ გადასვლის შემდეგ შენგან კიდევ უფრო მეტს ელოდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა. რა იყო ამის მიზეზი?**

— „დინამოში“ ნახევარი სეზონი ვითამაშე, მერე ჰეპატიტით დაავადდი. გუნდთან შესაგუებლად კი დრო მჭირდებოდა. ავადმყოფობის გამო ბევრი გამიცდა, დროს კი თავისი მიაქვს და „დინამოში“ ჩემი სიტყვის თქმაც ვერ მოვასწარი.

**— ავადმყოფობამდე ჩემპიონატის პირველი წრე და ევროტურნირების მატჩები იყო. იმდროინდელ „დინამოში“ ცქიტიშვილი, კიკნაძე, ალექსიძე და მუჯირი თამაშობდნენ და ალბათ, მათთან კონკურენციაც მნიშვნელოვანი ფაქტორი გამოდგა შენთვის.**

— ის, რომ „დინამოში“ ფეხი ვერ მოვიკიდე თავიდან ამის ბრალიც იყო, მაგრამ ეს სავსებით ბუნებრივი გახლდათ. მერე და მერე ვუშინაურდებოდი სიტუაციას, მაგრამ „დინამოში“ თამაში არ დამცალდა...

**— მომდევნო სეზონში „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი მურთაზ ხურცილავა გახდა...**

— ხურცილავასთან საერთოდ არ მილაპარაკია, რადგან თემურ მახარაძესთან უკვე ვიყავი შეთანხმებული „ლოკომოტივში“ გადასვლაზე და „დინამოს“ ხელმძღვანელობაც ამის წინააღმდეგ არ წასულა.

**— „ლოკომოტივს“ თავიდანვე შეეგუე?**

— ჰეპატიტის მორჩენას ექვსი თვე მოვანდომე და მერე ინდივიდუალურად დავიწყე ვარჯიში ჩემი ბავშვობის მწვრთნელ თემურ ლორთქიფანიძესთან. „ლოკომოტივს“ 1998-99 წლების სეზონის მეორე წრისთვის შევუერთდი. ამ გუნდში გამიმართლა, ხანგრძლივი უთამაშებლობა თითქმის არ დამტყობია.

**— მერე რუსეთის პირველი ლიგის გუნდში, მახაჩყალის „ანჟიში“ აღმოჩნდი.**

— „ანჟის“ წარმომადგენლები ჯერ კიდევ „ლოკომოტივში“ გადასვლამდე დამიკავშირდნენ. როცა ხელმეორედ შემეხმიანნენ, დავთანხმდი — იმ მომენტში ეს კარგ გადაწყვეტილებად ჩავთვალე. „ანჟი“ პირველი ლიგის გუნდი იყო, მაგრამ ამბიციური, უმაღლესში გადასვლისთვის მებრძოლი. კარგ პერსპექტივას ვხედავდი და პირობებიც ნორმალური იყო. თავიდან ყველაფერი კარგად ამეწყო. მართალია, გუნდის მთავარი მწვრთნელი გაჯი გაჯიევი უმეტესწილად შეცვლებზე მათამაშებდა, მაგრამ ჩემს თავს ვატყობდი, რომ თანდათან ვუმატებდი. უმაღლეს ლიგაში გადასვლის შემდეგ კი ვითარება შეიცვალა — ძირითადში აღარ მათამაშებდნენ, არადა, ვგრძნობდი, რომ შემეძლო.

**— რუსეთის წინა ჩემპიონატის პირველი წრის ჩამთავრებისთანავე დატოვე „ანჟი“ და რამდენიმე თვე უგუნდოდ იყავი...**

— მიუხედავად ყველაფრისა, გაჯი გაჯიევთან კონფლიქტი არ მომსვლია, მასთან ნორმალური ურთიერთობა მქონდა. მან კიდევ ნახევარი წლით „ანჟიში“ დარჩენა შემომთავაზა, მაგრამ საქართველოში დაბრუნება ვამჯობინე — „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელობასთან და იმდროინდელ მთავარ მწვრთნელ ძოძუაშვილთან უკვე მოლაპარაკებული ვიყავი, მაგრამ, როცა თბილისში ჩამოვედი, ზურგი შემაქციეს. ეს რომ მცოდნოდა, „ანჟიდან“ საერთოდ არ წამოვიდოდი. კვლავ ინდივიდუალურად დავიწყე ვარჯიში, დღეს არ ვაცდენდი და მერე ისევ თემურ მახარაძის გუნდში აღვმოჩნდი, ამჯერად „ვიტ ჯორჯიაში“.

**— თემურ მახარაძესთან ალბათ განსაკუთრებული ურთიერთობა გაქვს. „მერანშიც“ მან მიგიწვია, მერე „ლოკომოტივში“, ახლა „ვიტ ჯორჯიაში“ — ის ყოველთვის გენდობა და სჯერა შენი.**

— თემურ მახარაძესთან მართლაც კარგი ურთიერთობა მაქვს. როგორც ფეხბურთელი, თუ რამეს წარმოვადგენ, მისი დამსახურებაა. მან გაიგო ჩემი ხასიათი, ჩემი დადებითი და უარყოფითი მხარეები, იცის, როგორ მომექცეს. მახარაძე საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ სპეციალისტად მიმაჩნია.

**— „ვიტ ჯორჯიაზეც“ ვთქვათ, კლუბის ხელმძღვანელობამ, ალბათ, მაღალი მიზნები დაგისახათ, თუმც საგაზაფხულო ეტაპი უხეიროდ დაიწყეთ.**

— მოსამზადებელ პერიოდში იტალიაში, პატარა ქალაქ ნორჩაში გახლდით შეკრებაზე. ჩინებული პირობების გარდა, იქ ჰავაც ისეთი იყო, რომ ვარჯიში და თამაში მართლაც გვსიამოვნებდა. ერთი სიტყვით, ძალიან კარგად მოვემზადეთ საგაზაფხულო ეტაპისთვის. შინ „გორდასთან“ ფრე და სტუმრად „ლოკომოტივთან“ წაგება იმით იყო განპირობებული, რომ საშუასეზონო პერიოდის შემდეგ პირველი მატჩები ყოველთვის ძნელია, თამაში გვიმძიმდა. თსუ-სთან მოგება კი ფსიქოლოგიურად ძალიან წაგვადგა. მომდევნო მატჩი ფოთში გვაქვს. „კოლხეთი“ ჩვენთვის უხერხული მეტოქეა და ძნელი მატჩი გველის, მაგრამ ჩვენ ჩვენსას ვეცდებით. „ტორპედოსთანაც“ მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ. რაც შეიძლება მაღალი ადგილი უნდა დავიკავოთ ჩემპიონატში. „ვიტ ჯორჯიას“ მთავარი მიზანი კი თასსზე გამარჯვებაა — აუცილებლად უნდა მოვიპოვოთ უეფას თასზე თამაშის უფლება.

**— ბოლოს, ეროვნულ ნაკრებზეც ვთქვათ, ალბათ, საქართველოს უპირველეს გუნდში თამაში, გულით გწადია...**

— მე ხომ, ფაქტობრივად, მხოლოდ ერთი წელი გამიცდა, ისიც ავადმყოფობის გამო. თავს არ დავზოგავ. ახლა არა, მაგრამ სამომავლოდ კი უნდა მივიპყრო ეროვნული გუნდის თავკაცების ყურადღება — ჩემი პოტენციიდან გამომდინარე, ამას შევძლებ.

**დავით თავართქილაძე**



ალეკო გოგობერიშვილმა „მერანს“ ინტერტოტოზე უკაპიტნა

## ჩემპიონთა ლიგა. VI ტური. C ჯგუფი

### ბაიერნი 1:0 არსენალი

1:0 ელბერი (10)
ბაიერნი: კანი, სალიჰამიჯიჩი, პ. ანდერსონი, ლინკე, ლიზარაზუ, კუფური, ფინკი, იერემისი, იანკერი, შოლი (ვისინგერი 90), ელბერი (ტარნატი 90)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
არსენალი: სიმენი, დიქსონი, ადამსი, გრიმანდი, ეშლი კოული, ლიუნგბერგი (პარლოუ 60), ლორენი, ვიეირა, პირესი (სილვინიო 75), ანრი, კანუ (ვილტორდი 60)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: დიქსონი, ვიეირა, ლიზარაზუ
მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)
58 000 მაყურებელი

**„ცოტა** უცნაური დღეა. წავაგეთ, მაგრამ გვიხარია. გაგვიმართლა, რომ „სპარტაკი" „ლიონს" ჯიგრით ეთამაშა. ყოჩაღ მოსკოველები, მათ არ მოაგებინეს ფრანგებს. გამოგიტყდებით, ძალიან ვნერვიულობდი. ამის მთავარი მიზეზი ჩემი გუნდის ცუდი თამაში გახლდათ, მეორეც, მეშინოდა „ლიონს" არ მოეგო" — ხარობდა ვნებადაცლილი მეთოფეთა მწვრთნელი არსენ ვენგერი მატჩის შემდეგ.

„არსენალს" თამაში მართლაც არ აეწყო. საერთოდ, მატჩმა მოლოდინი ვერ გაამართლა. სახიფათო მომენტები ბევრი არ შექმნილა. ყველაფერი კი მე-10 წუთზე გატანილმა გოლმა გადაწყვიტა. ლიზარაზუს ჩაწოდებას ელბერმა ვარდნაში შესრულებული თავური მიაყოლა და ანგარიში ასე გაიხსნა.

მასპინძლებს არ ჰყავდათ დისკვალიფიცირებული გამთამაშებელი ეფენბერგი. ის ოლიმპიური სტადიონის ტრიბუნაზე მოკალათებულიყო და ნერვიულად უცქერდა თამაშს. სამაგიეროდ, შოლმა აიწყვიტა. რამდენჯერმე მეთოფეთა დაცვა ისე გააბითურა, პატარა ბავშვები გეგონებოდათ.

„არსენალმა" თავდასხმაში ანრის მეწყვილედ კანუ გაამწესა, მაგრამ არაფერი რომ გამოუვიდათ, ნიგერიელი ვილტორდით შეცვალეს. არც ამან უშველათ და მართალია ვენგერი, მოსკოველებს რომ ემადლიერება.

„ბაიერნმა" მცირე ჩავარდნის მერე ისევ ამოყვინთა და ამან მწვრთნელ ოტმარ ჰიცფელდს ყოჩლოჩინობის საბაბი მისცა. „ჩვენ რვა საუკეთესოს შორის მოვხვდით. უახლოეს ხანში კიდევ მოვუმატებთ და ვფიქრობ, ყველა მოწინაალმდეგის დამარცხება შეგვეძლება".

ჰიცფელდს მენეჯერი ული ჰიონესიც ეთანხმება და ამბობს, რომ ბოლოდროინდელმა კრიტიკამ გუნდზე დადებითად იმოქმედა. მთავარი ბრძოლები კი ახლა იწყებაო.

REUTERS მიუნხენიდან




გერმანელი მეჰმეთ შოლი ინგლისელ ლი დიქსონზე გადახტომას ცდილობს

### სპარტაკი 1:1 ლიონი

1:0 პარფიონოვი (4პ), 1:1 ანდერსონი (68პ)
სპარტაკი: ფილიმონოვი, კოვტუნი, ჩუისე, პარფიონოვი (ბეზროდნი 52), მიტრესკი, ბარანოვი, ბულატოვი, ტიტოვი, კალინიჩენკო, მარკაო (ლოშჩევი 76), რობსონი (ირისმეტოვი 83)
მწვრთნელი: ოლეგ რომანცევი
ლიონი: კუპე, ედმილსონი, ლეგლი, ვიოლო (ბრეშე 85), დორასო, დელმოტი (გოვუ 58), შანელე, მიულერი, კაკაპა, ს. ანდერსონი, მარლე (ლოკო 83)
მწვრთნელი: ჟაკ სანტინი
გაფრთხილება: მიტრესკი, მიულერი, ფილიმონოვი, ვიოლო
მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)
10 000 მაყურებელი

**მოსკოვის** „სპარტაკმა", რომელმაც ჯერ კიდევ წინა ტურში დაკარგა ჯგუფიდან გასვლის შანსი, კერკეტ „ლიონს" მაინც დიდი ბრძოლა გაუმართა და ექვსმატჩიანი უგოლო სერიაც შეწყვიტა.

„ლიონს" მეოთხედფინალში გასასვლელად აუცილებლად უნდა მოეგო, მაგრამ ფრემ „არსენალის" წისქვილზე დაასხა წყალი და ფრანგები ჯგუფში ჩატოვა.

სტუმრებს მხოლოდ დისკვალიფიცირებული დეფლანდრე აკლდათ. წინა მატჩის გმირი გოვუ კი მხოლოდ შეცვლაზე შეიყვანეს, თუმცა დიდი არაფერი გაუკეთებია. მასპინძლებმა დაშავებული ანანკო ვერ ათამაშეს, თუმცა მისი ადგილის დამკავებელმა, მაკედონიელმა მიტრესკიმ ამოცანას მშვენივრად გაართვა თავი.

„სპარტაკს" პირველ 15 წუთში ყველაფერი გამოსდიოდა, განსაკუთრებით ტიტოვი და ბულატოვი გამოირჩეოდნენ. არადა, „ლუჟნიკის" აზელილ და მძიმე მინდორზე მოძრაობა ერთობ ჭირდა.

ანგარიში მალევე გაიხსნა. ედმილსონმა თავის საჯარიმოში ბულატოვი წააქცია და პარფიონოვმა მაღალ კუთხეში ზუსტად დაარტყა პენალტი. „სპარტაკმა" დაწოლა გააგრძელა, ჯერ ტიტოვმა ვარდნაში დაარტყა ეფექტურად, მაგრამ მეკარე კუპემ ივაჟკაცა, მერე რობსონი მოხვდა კარგ პოზიციაში, თუმცა ბურთი ხარიხის ზემოთ დაარტყა.

ფრანგები კი იმით გამოირჩნენ, რომ რამდენიც შეუტიეს, იმდენი თამაშგარეში მოხვდნენ. მათგან საუკეთესო ბრაზილიელი ანდერსონი ტაიმის შუაში ფილიმონოვთან პირისპირაც დარჩა, მაგრამ მეკარემ ბურთი კუთხურზე მოიგერია. ჩააწოდეს და ახლა მარლემ დაჰკრა ღონიერი თავური, მაგრამ მოსკოველები ისევ გადარჩნენ.

აი, მეორე ნახევარში კი „ლიონი" სერიოზულად გახურდა. დასაწყისშივე ჩინებული შესაძლებობა ვერ შეირგო იმავე ანდერსონმა, მიტრესკიმ იყოჩაღა, მერე ედმილსონს უნდა შეეგდო, მაგრამ სუსტად დაარტყა.

ბოლოს მონდომებამ ნაყოფი მაინც გამოიღო, თუმცა სტუმრებს გათანაბრებაში ფილიმონოვიც დაეხმარა — ანდერსონი ჩუისეს გაექცა, მეკარე კი ნაადრევად გამოვარდა საჯარიმოში და ბრაზილიელი წააქცია. პენალტი თავად დაზარალებულმა გაიტანა. ეს იყო და ეს. სტუმრები მერეც ბევრს ეცადნენ, მაგრამ ალარაფერი გამოუვიდათ.

„ფეხბურთელებს მადლობა მინდა გადავუხადო. მართალია, მეოთხედფინალში ვერ გავედით, მაგრამ თამაშის ხარისხი მაფიქრებინებს, რომ მართებულ გზას ვადგავართ" — ასე დაემშვიდობა ფრანგთა მწვრთნელი ჟაკ სანტინი ჩემპიონთა ლიგას.

კმაყოფილი დარჩა „სპარტაკის" დამრიგებელი ოლეგ რომანცევი: „მიხარია, რომ ჭორები, თითქოს „სპარტაკი" „ლიონს" სამ ქულას დაუთმობდა, გავაქარწყლეთ. მართალია, სატურნირო მოტივაცია აღარ გვქონდა, მაგრამ ჩემმა ფეხბურთელებმა დაამტკიცეს, რომ ნამდვილი პროფესიონალები არიან."

**სოლომონ გულისაშვილი**

| | C ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბაიერნი | | 1:0 | 1:0 | 1:0 | 8:5 | 13 |
| 2 | არსენალი | 2:2 | | 1:1 | 1:0 | 6:8 | 8 |
| 3 | ლიონი | 3:0 | 0:1 | | 3:0 | 8:4 | 8 |
| 4 | სპარტაკი | 0:3 | 4:1 | 1:0 | | 5:10 | 4 |

## ჩემპიონთა ლიგა. VI ტური. D ჯგუფი

### ლიდსი 3:3 ლაციო

0:1 რავანელი (21), 1:1 ბოიერი (27), 1:2 მიხაილოვიჩი (29პ), 2:2 უილკოქსი (43), 3:2 ვიდუკა (62), 3:3 მიხაილოვიჩი (90)
ლიდსი: რობინსონი, კელი, მაიბერი (ბეტი 90), მილსი, ჰარტი, ბარმბი, ბოიერი, უილკოქსი, მატეო, ვიდუკა (ჰუკვორთი 64), კიუელი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
ლაციო: მარკეჯანი, მიხაილოვიჩი, კოლონეზე, პეზარეზი, ფერნანდუ კოუტუ, ბარონიო, ნედვედი, სტანკოვიჩი, კასტრომანი (რუგოუ 89), კლაუდიო ლოპესი (სალასი 72), რავანელი
მწვრთნელი: დინო ძოფი
გაფრთხილება: კოლონეზე, მატეო, კასტრომანი, სტანკოვიჩი
მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)
36 741 მაყურებელი

**შეხვედრა** „ელანდ როუდზე" უხვგოლიანი გამოდგა, თუმცა ამ გოლებს პრაქტიკული მნიშვნელობა არ ჰქონია. „ლიდსისთვის" ეს მატჩი მეოთხედფინალისწინა რეპეტიცია იყო, ხოლო „ლაციო" ინგლისს შელახული რეპუტაციის აღსადგენად ეწვია. ეწვია და კინაღამ დამარცხდა. სტუმრები მორიგი მარცხისგან წამატებულ დროში სინიშა მიხაილოვიჩის დიდებულმა საჯარიმო დარტყმამ იხსნა. მიხაილოვიჩმა იქამდე პენალტიც გაიტანა.

„ლაციო" 21-ე წუთზე დაწინაურდა. ფაბრიციო რავანელი ყველაზე მაღლა ახტა და პაველ ნედვედის საჯარიმოში ჩაწოდებული გოლად აქცია.

მასპინძლებმა ექვს წუთში გაათანაბრეს. აზიელთა რისხვამ, სასამართლო ქრონიკების მუდმივმა პერსონაჟმა ლი ბოიერმა ჰარი კიუელისგან ბურთი გადაიბარა და ლუკა მარკეჯანი გააბითურა.

წონასწორობა ორიოდე წუთში ისევ დაირღვა — რავანელი ლიდსელთა საჯარიმოში წაიქცა და პენალტი, როგორც თავში აღვნიშნეთ, ზანგთმოძულე სერბმა გაიტანა.

მეორედ ანგარიში ტაიმის მიწურულს გათანაბრდა. იან ჰარტმა კუთხური ჩააწოდა და ჯეისონ უილკოქსმა ახლო კუთხეში ყუმბარასავით გაისროლა. მარკეჯანი და ძელთან მდგომი ლუკას მარტინ კასტრომანი ვერაფერს გახდნენ — კასტრომანს სულაც ფეხებში გაუძვრა ბურთი.

62-ე წუთზე მარკ ვიდუკას გოლმა ორჯერ მდევრად მყოფი „ლიდსი" წინ გაიყვანა. ავსტრალიელმა ჰარტის ჩაწოდებული საჯარიმო თავურით გაიტანა. ამ ეპიზოდში ვიდუკას მეურვეება მიხაილოვიჩს ევალებოდა და მან ვერ ივარგა, ვიდუკას გოლის მერე მარსელო სალასმა ძელს გაარტყა, ხოლო ბოლოს მიხაილოვიჩმა „ლაციო" მარცხისგან იხსნა.

არაფრისმომცემი მატჩი, ფრე — თითქოს მწვრთნელებს უკმაყოფილების საბაბი არ უნდა ჰქონოდათ, მაგრამ დევიდ ოლირი პრესკონფერენციაზე განრისხებული გამოცხადდა და სტუმრები გვარიანად ლანძლა, ხომ ნახეთ, რა საძაგლობა ჩაიდინესო.

იგი იმ ეპიზოდს გულისხმობდა, როცა პაველ ნედვედმა ბინძურ ვარდნაში ყმაწვილი ლიდსელი ალან მაიბერი დაამტვრია. ეს თამაშის მიწურულს მოხდა და ფეხბურთელს კოჭლობით მოუხდა მოედნიდან გასვლა.

დინო ძოფმა ნედვედი დაიცვა, შეგნებულად არ გაუკეთებიაო, თუმცა მაიბერი, ცხადია, შემეცოდა, ძალიან კარგი ბიჭიაო.

### ანდერლეხტი 2:0 რეალი

1:0 დინდანე (85), 2:0 გოორი (90)
ანდერლეხტი: მილოშევიჩი, ილიჩი, დე ბოეკი, დოლი, ვან დიემენი, გოორი, ბასეჯიო, სტოიკა (დინდანე 83), ჰასი (ვანდერეგე 75), რაძინსკი, იულა (კოლერი 70)
მწვრთნელი: ემე ანტუნესი
რეალი: კასილიასი, ჯერემი, სალგადო, სანჩისი (რუბენი 87), რობერტო კარლოსი (სოლარი 70), ელგერა, სელადესი, რივერა, სავიო, მორიენტესი (ტოტე 62), მუნიტისი
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
გაფრთხილება: დოლი, დე ბოეკი, სოლარი
მსაჯი: ალან სარსი (საფრანგეთი)
22 000 მაყურებელი

**თუ** რამდენად უმნიშვნელო იყო ეს მატჩი, ამაზე ლაპარაკით თავს არ შეგაწყენთ. მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ჩემპიონთა თასის მფლობელის დამარცხება ყველა შემთხვევაში სასიამოვნოა. ამაზე, შეცვლაზე შესულმა არტურ დინდანემ და ბარტ გოორმა იზრუნეს და „რეალს" ბოლო ხუთ წუთში ორი გოლი გაუტანეს. ბელგიელთათვის ერთი სასიამოვნო სიახლეც — რადგან „ლაციო" ლიდსში ოდენ ქულას დასჯერდა, „ანდერლეხტი" ჯგუფში მესამე ადგილზე გავიდა.

„რეალმა" მეორე ჯგუფურ ეტაპზე წაუგებელი სერია დაასრულა. სხვათა შორის, საინტერესო ფაქტია: ბოლო ორმოცი წლის მანძილზე მადრიდული სუპერკლუბი ბელგიაში არათუ გამარჯვებას, გოლის გატანასაც კი ვერ ახერხებს.

რაკილა მატჩი ალარაფერს წყვეტდა, მწვრთნელებმა ექსპერიმენტებისთვის მოიცალეს. მაგალითად, „რეალის" იმ შემადგენლობიდან, რომელმაც პირველ წრეში „ანდერლეხტს" 4:1 მოუგო, ახლა მხოლოდ ხუთმა ფეხბურთელმა ითამაშა. ვისენტე დელ ბოსკემ საიუბილეო მატჩი მოუწყო 35 წლის დიდ კაპიტან მანუელ სანჩისს, რომელიც სეზონის ბოლოს ფეხბურთიდან მიდის და ეს შეხვედრა ევროტურნირებზე მისთვის მეასე იყო.

მწვრთნელის განწყობა ფეხბურთელებსაც გადაედოთ და ისე ირჯებოდნენ, თითქოს ვარჯიშზე ყოფილიყვნენ — ისინი მხოლოდ მატჩის მიწურულს გამოცოცხლდნენ. „რეალი" შეტევაზე არ გადადიოდა და ამჯობინებდა, ბურთიც და ტერიტორიაც მეტოქისთვის დაეთმო.

„ანდერლეხტმა", რომელმაც თავისი ლიდერის იან კოლერის გარეშე ითამაშა, პირველ ტაიმში უამრავი მომენტი შექმნა. თუმცა, უფრო სწორი იქნება ვთქვათ, რომ ბელგიელებმა უამრავი იერიში წამოიწყეს, მაგრამ დამასრულებელ ეპიზოდებში უსუსურად გამოიყურებოდნენ.

ბოლოს გოლებიც გავიდა. გოორისა და ტომაშ რაძინსკის კომბინაცია დინდანემ დაასრულა, ხოლო გოორმა იკერ კასილიასის მოგერიებულს დაამატა.

**გიორგი დარჯანია**

| | D ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რეალი | | 3:2 | 3:2 | 4:1 | 14:9 | 13 |
| 2 | ლიდსი | 0:2 | | 2:1 | 3:3 | 12:10 | 10 |
| 3 | ანდერლეხტი | 2:0 | 1:4 | | 1:0 | 7:12 | 6 |
| 4 | ლაციო | 2:2 | 0:1 | 2:1 | | 9:11 | 5 |

REUTERS ლიდსიდან




სინიშა მიხაილოვიჩმა ლიდსელთა მეკარე პოლ რობინსონს პირველი პენალტით გაუტანა

# ვის ეტყვის ბერლუსკონი: შენ!

## მცოდნე ხალხი ტასოტიზე დიდ ფსონს ჩადის





ჩეზარე მალდინი ჯერჯერობით „მილანსაც" დამოძღვრავს და მწვრთნელად შეგულებულ მაურო ტასოტისაც, ფეხბურთელებში რომ ჩამდგარა

**გუშინწინ** „მილანმა" ალბერტო ძაკერონი მადლობით გაისტუმრა და გუნდი ჩეზარე მალდინის ჩააბარა — ამ ცნობამ საფეხბურთო სამყარო ელვის სისწრაფით მოიარა.

გუშინ მამა მალდინიმ ფეხბურთელები პირველად გაიყვანა სავარჯიშოდ.

თითქოს ყველაფერი გაირკვა, კარგა ხნის წინ ნაწინასწარმეტყველები, ძაკერონის „მილანში" დიდი დრო აღარ დარჩენიაო, ახდა. ახალი მწვრთნელის ვინაობაც ვიცით და მასზე ბევრი ლაპარაკიც არ გვჭირდება, წინა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე თბილისს ჩამოსული მამა მალდინის მოღვაწეობაზე, ფაქტობრივად, ყველაფერი ვიცით.

მაგრამ დაუკმაყოფილებლობის გრძნობა მაინც რჩება. ეს იმითაა გამოწვეული, რომ კლუბმა ჩეზარე მალდინის ამ სეზონის ბოლომდე გაუფორმა კონტრაქტი. მერე? არავის უთქვამს, თუ მალდინიმ გუნდს ხელი დაატყო, დავტოვებთო. არც ფატიჰ თერიმის შესაძლო დანიშვნას ადასტურებენ. ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ თურქ სპეციალისტზე საუბარი არ ისურვა, მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ კონკრეტული შეთანხმება არავისთან დაგვიდიაო. ჰოდა, თუ მალდინი დროებითი მოვლენაა, ხოლო ახალ სეზონში ახალი მწვრთნელის ვინაობა არ ვიცით, ცხადია, მხოლოდ ამით ვერ დავკმაყოფილდებით.

თერიმი, მალდინი, აქა-იქ მარსელო ლიპიც გაიხსენეს, ერთი კაცი კი ყურადღების მიღმა დარჩა — მაურო ტასოტი, აქამდე ახალგაზრდა მილანელთა მწვრთნელი, ახლა კი ჩეზარე მალდინის თანაშემწე.

თავისთავად ტასოტი ხელწამოსაკრავი კაცი არაა, ბოლოს და ბოლოს, ოთხჯერ უთამაშია ჩემპიონთა თასის ფინალში და სამჯერ თასსაც დაუფლებია. ტასოტი „მილანის" კაპიტანიც იყო. დამსახურება დამსახურებად, მაგრამ გუნდში მთავარი მაინც მწვრთნელია და თანაშემწეები მუდამ ყურადღებისი მიღმა რჩებიან ხოლმე.

მომავალ სეზონში მაურო ტასოტი, შესაძლოა, „მილანის" მთავარი მწვრთნელი გახდეს. შანსი? ტასოტი — 80 პროცენტი, თერიმი — 12 პროცენტი, ლიპი — 8 პროცენტი. როგორც ვხედავთ, სხვაობა ძალიან დიდია, ხოლო ჩეზარე მალდინის აღარც ახსენებენ. აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ ეს ამბავი „მილანის" შინაურ სამზარეულოში კარგად ჩახედულმა ხალხმა გაახმაურა, ამიტომაც, ტასოტისთვის დათმობილი ოთხმოცი პროცენტი ორმაგად საყურადღებოა.

დასაბუთებას მოითხოვთ? კი ბატონო.

მალდინისა და ტასოტისთან შეხვედრისას სილვიო ბერლუსკონიმ სამომავლო გეგმებზე ილაპარაკა. აქ მხოლოდ სეზონის ბოლომდე დარჩენილ დროს არ ვგულისხმობთ, რაც მიგვანიშნებს, რომ პრეზიდენტს მალდინი-ტასოტის კლუბში საქმიანობაც მომავალშიც სურს.

„მილანში" დაბრუნდა ჯუზეპე პინჩოლინი. ის მეკარეების მწვრთნელია და გუნდში არიგო საკისა და ფაბიო კაპელოს დროს მუშაობდა. ირწმუნებიან, პინჩოლინის და ტასოტის იდეალურად ესმით ერთმანეთისო, რაც ასევე ტასოტის სასარგებლოდ მეტყველებს.

ალბერტო ძაკერონი გუნდს 3-4-3 სქემით ათამაშებდა, ხოლო ბერლუსკონი 4-4-2-ს ამჯობინებს. სწორედ ამ სქემით მოაგებინა არიგო საკიმ „მილანს" ორჯერ ჩემპიონთა თასი და იქიდან მოყოლებული მაურო ტასოტიც ამგვარი განლაგების მოყვარულია (ჩეზარე მალდინის 3-5-2 მოსწონს).

მალდინი და ტასოტი „მილანის" დიდებული ისტორიის ერთ-ერთი შემქმნელები არიან, სილვიო ბერლუსკონის კი უყვარს ძველი გმირებით მომავლის შექმნა.

და მთავარი არგუმენტი. უკვე ნახსენებ შეხვედრაზე ბერლუსკონიმ მალდინისა და ტასოტის ახალი ფეხბურთელების შერჩევის უფლება მისცა. ცხადია, თუკი მწვრთნელს (ან მწვრთნელებს) ორ-სამ თვეში გაშვებას უპირებ, ფეხბურთელების ყიდვას არ დაავალებ, ეს საქმე დიდი ხნით მოწვეულ მწვრთნელს უნდა დააკისრო. ისიც გავითვალისწინოთ, რომ იტალიაში სატრანსფერო სეზონი დახურულია და მალდინი - ტასოტის დუეტმა ვინც გინდა შეარჩიონ, ზაფხულამდე, ანუ ამათი კონტრაქტის დასრულებამდე ვერ ითამაშებენ. ჰოდა, დიდი უაზრობა გამოდის, თუ, რა თქმა უნდა...

მოკლედ, ყველაფერი ტასოტის სასარგებლოდ მეტყველებს და როგორც ამბობენ, სეზონის ბოლომდე დარჩენილ დროში ბერლუსკონის — მამა მალდინი ტასოტისთვის გამოცდილების გასაზიარებლად სჭირდება.

ბოლოს ერთიც დავამატოთ, გუშინ „მილანმა" ორი ბერგამოელი ფეხბურთელი დაიბევა, რომლებიც მომავალი სეზონიდან შავ-წითელ მაისურებს მოირგებენ. 23 წლის კრისტიან ძენონი მილანელებს 12 მილიონი დოლარი უჯდებათ, ხოლო 18 წლის მასიმო დონატი — ათი მილიონი. აღსანიშნავია, რომ დონატის ფასის ნახევარი ადრიანო გალიანიმ უკვე გადაიხადა — ასე ჯობს, ველარავინ შეეცილება.

**გიორგი დარჯანია**



კრისტიან ძენონი



მასიმო დონატი



**ლიბერიელმა** ჟორჟ ვეამ განაცხადა, რომ სეზონის ბოლოს მარსელის „ოლიმპიკის" დატოვებას აპირებს. შეგახსენებთ, რომ 35 წლის ვეა ფრანგულ კლუბში შარშან ოქტომბერში „მანჩესტერ სიტიდან" გადავიდა და რვათვიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის ვადაც ზაფხულში იწურება. „შეთანხმების გახანგრძლივება შესაძლებელია, თუმცა, ალბათ, ახალ გუნდში გადავალ, ზუსტად სად, ჯერჯერობით არ ვიცი" — განაცხადა წარსულში მსოფლიოს 1995 წლის საუკეთესო ფეხბურთელმა, რომელმაც დაახლოებით ერთი წლის წინ „მილანიდან" გადასვლის შემდეგ უკვე ორი კლუბი გამოიცვალა.

**რუმინელმა მცველმა კრისტიან კივუმ „აიაქსთან" კონტრაქტი გააგრძელა — „ამსტერდამ არენაზე" იგი 2006 წლამდე დარჩება. 20 წლის ფეხბურთელის შეძენის სურვილი ბოლო ხანს არაერთმა წამყვანმა ევროპულმა კლუბმა გამოთქვა, თუმც რუმინელმა ჯერჯერობით ჰოლანდიაში დარჩენა გადაწყვიტა. როგორც იუწყებიან, მას ხელფასიც საგრძნობლად მოუმატეს, თუმცა რამდენი დაუნიშნეს, არ აცხადებენ. კონტრაქტით გათვალისწინებულია, რომ კივუს გადაბირების მსურველმა კლუბმა „აიაქსს" 15 მილიონი გირვანქა უნდა გადაუხადოს.**

**იტალიელი** მწვრთნელის ალბერტო მალეზანის თავისთან მიწვევა „ესპანიოლს" რომ სურს, ამას წინათ გაუწყეთ. ახლახან კი ეს ბერძნულმა „პანათინაიკოსმაც" მოინდომა. ერთ-ერთი სააგენტოს ცნობით, აპენინელ სპეციალისტს ამ უქმეებზე ათენში ელიან და მან, შესაძლოა, „პანათინაიკოსთან" ორწლიანი კონტრაქტიც გააფორმოს. შეგახსენებთ, რომ მალეზანი ბოლოს „პარმას" წვრთნიდა, ამ გუნდს ორი წლის წინ უეფას თასი მოაგებინა, პოსტი კი იანვარში დატოვა. იგი ადრე „ფიორენტინასაც" თავკაცობდა.

**არგენტინელი ნახევარმცველი პაბლო აიმარი და ფრანგი დიდიე დეშამპი „ვალენსიას" დაახლოებით ათ დღეს ვერ დაეხმარებიან. ორივე ფეხბურთელმა „პანათინაიკოსთან" ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში კუნთი დაიჭიმა. თავიდან შიშობდნენ, რომ მათი ტრავმა სერიოზული იყო და ნახევარმცველები თვეზე მეტ ხანს გამოტოვებდნენ, მაგრამ ხელახალი გამოკვლევის შედეგი გაცილებით დამაიმედებელი აღმოჩნდა.**

**ინგლისურმა** „ჩარლტონმა" ახალგაზრდა მოთამაშე ჩარლი მაკდონალდი იჯარით ქვედალიგელ „ჩელტენემში" გაუშვა. 20 წლის ნახევარმცველმა წლეულს პრემიერლიგაში მხოლოდ ერთი შეხვედრა ჩაატარა. მწვრთნელის, ალან კერბიშლის განცხადებით, სჯობს, მაკდონალდი დროებით გავანათხოვროთ, რათა მან სათამაშო პრაქტიკა შეიძინოსო. „ჩელტენემში" ფეხბურთელი სადებიუტო მატჩს, ალბათ, ამ უქმეებზე „ჰალიფაქსის" წინააღმდეგ ჩაატარებს.

**პორტუგალიელმა ნახევარმცველმა რიკარდუ ზა პინტუმ მძიმე ტრავმის შემდეგ ვარჯიში განაახლა და მალე, შესაძლოა, „სპორტინგის" შემადგენლობაშიც გამოჩნდეს. ეს ფეხბურთელი სამ თვეზე მეტია, მუხლს მკურნალობდა. „ახლა გაცილებით უკეთ ვარ, თითქმის სრული დატვირთვით ვვარჯიშობ. ექიმები მაიმედებენ, რომ უახლოეს ტურებში მინდორზე გავალ" — განაცხადა ზა პინტუმ, რომლის შეძენის სურვილიც ადრე მადრიდის „რეალმა" გამოთქვა.**

**ინგლისური** „ლესტერი" ამ ორ დღეში ალბათ „ჯილინგემის" ნახევარმცველ ჯუნიორ ლუისს შეიძენს. რამდენიმე დღეა, ეს ფეხბურთელი პრემიერლიგურ კლუბში შემოწმებას გადის. „ლუისით კმაყოფილი ვარ. კონტრაქტის გაფორმებას ხელს ალბათ არაფერი შეუშლის. მართალია, მას პრემიერლიგაში თამაშის გამოცდილება არა აქვს, მაგრამ ჩანს ძლიერი ფეხბურთელია" — განაცხადა „ლესტერის" თავკაცმა პიტერ ტეილორმა, რომელიც ადრე „ჯილინგემს" წვრთნიდა და ჯუნიორის თამაშს კარგად იცნობს. 27 წლის ნახევარმცველის სანაცვლოდ „ჯილინგემი" 150 ათას გირვანქას მიიღებს, ხოლო როცა ფეხბურთელი „ლესტერში" 40 შეხვედრას ჩაატარებს, პრემიერლიგელები მათ დამატებით 50 ათას გირვანქას გადაუხდიან.

**გერმანული „კაიზერსლაუტერნის" ნახევარმცველ ჯეფ შტრასერის შეძენის სურვილი პრემიერლიგურმა „იფსვიჩმა" და ინგლისის პირველდივიზიონურმა „ფულემმა" გამოთქვეს. როგორც იუწყებიან, ბრიტანელები თანახმა არიან, ბუნდესლიგელებს 4 მილიონი გირვანქა გადაუხადონ. ეროვნებით ლუქსემბურგელი შტრასერი „კაიზერსლაუტერნში" 1999 წლიდან თამაშობს და გუნდის ძირითადი შემადგენლობის უცვლელი წევრია — გერმანიაში გადასვლამდე კი მან ექვსი სეზონი ფრანგულ „მეცში" გაატარა. იგი 26 წლისაა და ამპლუით ნახევარმცველია, თუმცა დაცვაშიც შეუძლია თამაში.**

**ესპანეთის** ჩემპიონ „დეპორტივოს" პრიმერადივიზიონის მომდევნო ტურში ბრაზილიელი ნახევარმცველი მაურო სილვა ვერ დაეხმარება. ჩემპიონთა ლიგის მატჩში „მილანის" წინააღმდეგ მას კუნთი დაეჭიმა. გალისიელები ამ უქმეებზე „ლას პალმასს" ხვდებიან და ეგებ უფრო სერიოზული დანაკლისიც ჰქონდეთ. ერთ-ერთი ესპანური წყაროს ცნობით შესაძლოა, მატჩი ბრაზილიელმა ჯალმინიამ და მეკარე ხოსე ფრანსისკო მოლინამ გამოტოვონ.

## ვისთვის, რისთვის იკლავთ თავს, ხალხო?!

**დღეს** საფეხბურთო ვნებათაღელვანი არავის უკვირს. ამასწინათ, რუმინელ ფეხბურთელთა მკვლელი ვირუსის შესახებ გაუწყებდით. მართლაც საოცარია — 15 თვეში ოთხი გვამი საფეხბურთო მოედანზე. თანაც მობურთალთა საკვირველი ჭირის მიზეზს ვერავინ მიმხვდარა.

მრავალი რამ არის უცნაური, მაგრამ წინა უქმეებზე ნიგერიელი გულშემატკივრის საქციელმა მართლაც რომ ყველა გააოცა. ტრაგედია ნიგერია — განის თამაშის შემდეგ დატრიალდა. მატჩი ფრედ დამთავრდა. მავანმა ქომაგმა თავისი მხლებლების თვალწინ ბოთლი გახსნა და გაურკვეველი სითხის გვარიანი ულუფა დაიგემოვნა. ვიდრე მეგობრები რაიმეს მოისაზრებდნენ, გულფიცხმა ნიგერიელმა წამის მეასედში სული უფალს მიაბარა. არადა, ვის, თუ არა მათ, სიფრთხილე მართებდათ — განსვენებულს ისინი ადრევე გაუფრთხილებია, ნაკრების წარუმატებლობის შემთხვევაში თავს არ ვიცოცხლებო. მოდი და, სერიოზულად აღიქვი ამგვარი სისულელე. ძმაკაცებსაც ყოველივე ხუმრობა ეგონათ, მაგრამ...

ველარაფერმა უშველა რუს გულშემატკივარ იგორ ფორმენსკისაც. ნიგერიელისგან განსხვავებით, პეტერბურგელი საყვარელი გუნდის თამაშამდე გაცილებით ადრე გამოემშვიდობა წუთისოფელს. იგი გამხეცებულმა ბრბომ იმსხვერპლა. 75 წლის მოხუცს ძალიან უნდოდა მატჩის ხილვა, ამისთვის მუტრუკთა მარაქაში გარევასაც არ მოერიდა და უშედეგოდ სცადა სალარომდე გზის გაკვლევა. ხალხმა იგი არ დაინდო და როდესაც საქმეში პოლიცია ჩაერია, უკვე გვიან იყო. პეტერბურგში ამგვარი არეულობები ადრეც ყოფილა, თუნდაც „ზენიტი" — „სელტას" მატჩი გავიხსენოთ.

ლამის დახოცეს ერთმანეთი „ზენიტის" — „სპარტაკის" თამაშზე დასწრების მსურველებმაც, მაგრამ ზემონახსენები შემთხვევისგან განსხვავებით, მაშინ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა.

## აბა, პასპორტი მაჩვენე!

## იტალიური ბერძნულზე იაფია

**ევროპაში** აგორებულმა საპასპორტო ციებ-ცხელების ტალღამ, ფრანგულ კლუბებში მოთამაშე სამი სამხრეთამერიკელი ფეხბურთელის ყალბისმქმელობა გამოამზეურა. საფრანგეთში, კლუბს მხოლოდ ხუთი არაევროკავშირელი ფეხბურთელის შეძენის უფლება აქვს. ამიტომაცაა, კლუბები ყოველგვარი ხერხებით ცდილობენ, კაცმა არ იცის, რა ჯურის ფეხბურთელის ევროპული ფესვები გამოჩხრიკონ და მათი ევროკავშირელობის დამადასტურებელ პასპორტს შესაბამისი საფუძველი მოუძებნონ. რაღა თქმა უნდა, ევროპელები ყველას გულში ვერ ჩაიხუტებენ და ამ ბოლო დროს ცრუ ევროპელებსაც ძველ კონტინენტზე შავი დღე უდგათ.

საპასპორტო რეიდში ამას წინათ „მეცის" კოლუმბიელი მეკარე ფარიდ მანდრაგონი, „ნიცას" არგენტინელი ემილიო რომაი და ყოფილი მონაკოელი, ჩილელი პაბლო კონტრერასი გაებნენ. კოლუმბიელს თავი წარმოშობით ელინი ეგონა და ყალბი ბერძნული პასპორტის ტარებისთვის 300000 ფრანკით (41,700 დოლარი) მოუწევს ჯიბის შეთხელება.

ბერძნული პასპორტის გაყალბებასთან შედარებით ორჯერ იაფი ყოფილა იტალიის მოქალაქეობა. კონტრერასი და რომაი 150000 ფრანკს სწორედ ცრუ აპენინელობისთვის გადაიხდიან.

სამხრეთამერიკელებმა ბევრი იყვირეს, არ ვართ ჩვენ ის ხალხი, არ ვართ თაღლითები, გვერწმუნეთ, პასპორტების უკანონობის შესახებ არაფერი ვიცითო, მაგრამ რა?

ამით ფრანგ გამომძიებელ ჟილბერ კერვონის გულს, ალბათ, ვერ მოულბობენ და გვარიანი ფულადი ჯარიმის გარდა, საკმაოდ ხანგრძლივ დისკვალიფიკაციასაც გამოჰკრავენ ხელს. საბოლოო განაჩენს ოთხ აპრილს გამოიტანენ, მანამდე კი სამხრეთამერიკელები ჩივიან, გვაპატიეთ, მწარედ მოგვატყუესო. სამართალდამცავები კი იმის გარკვევას შეეცდებიან, ვინ ვის აყრის ნაცარს თვალში.



# ჩემით ხართ, რაცა ხართ!

## ჰაჯიმ თურქებს თავი დააყვედრა და ფურთხვა -გინება ხახვივით შერჩა

**გეორგე ჰაჯის** ამასწინანდელი, არ შეგვრცხვება და ვიტყვით, ქაჯურ საქციელზე გუშინდელ „სარბიელში" უკვე მოგახსენეთ. რუმინელი თითქოს აზრზე მოვიდა და ცოტა ხნის მერე რაღაც ბოდიშის მაგვარი წამოსცდა. მაგრამ ეს იყო და ეს. ეტყობა, ჰაჯი ჩვეულია ამგვარ ტრიუკებს და იმის ნაცვლად, რომ დაირცხვინოს, სასჯელი კაცურად ზღოს, დიდი რიხით გალმა შეედავა თურქული ფეხბურთის სადისციპლინო კომიტეტის ხელმძღვანელებს.

სტამბოლში „კარპატების მარადონას" თითით საჩვენებელ, სამაგალითო დასჯაზე საუბრობდნენ, ქვეყნის ჩემპიონატის მატჩებს ექვსი თვის მანძილზე მხოლოდ ტრიბუნიდან ვაყურებინებთო. ამან ჰაჯი ალაშფოთა, თურქებს დაემუქრა და საკუთარი ამაგიც დაამადლა: „მე დიდი სარგებელი მოვუტანე არა მარტო „გალათასარაის", არამედ მთელ თურქულ ფეხბურთს. ამდენად არ ვიმსახურებ ასეთ დამოკიდებულებას. თუ სეზონის ბოლომდე მომკვეთენ, „გალათასარაის" ჩემპიონთა ლიგაში უჩემოდ მოუწევს თამაში".

თურქები შეშინდნენ. ევროსარბიელზე „გალათასარაის" წარმატება და ქაჯად ქცეული ჰაჯი დაზარალებული მსაჯის, ერზოის შეგინებულ ღირსების აღდგენის საქმეს ანაცვალეს და გუშინდელი გადაწყვეტილებით რუმინელს ექვსმატჩიანი დისკვალიფიკაცია აკმარეს.


# იყიდება



ორკარიანი ავტომანქანა
„მიცუბიში პაჯერო" ბენზინზე
1986 წლის გამოშვება.
ფასი 3 500
ტელეფონი: 8 (99) 55 16 75


# იუნაიტედზე ნაკლები დანდი რეინჯერსმა შეჭამოს

## შოტლანდია

### გადადებული მატჩები

**რეინჯერსი 0:2 დანდი**

0:1 კანიჯა (13), 0:2 მილნი (90)

რეინჯერსი: კლოსი, მური, უილსონი, ამორუზო (კაუპილა 83), ბორინი, კარსონი (დოდსი 46), კონტერმანი, ფერგიუსონი, ჯონსტონი (მალკოლმი 50), გეილი, ფლო

მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი

დანდი: როკატი, სმიტი, მაროკო, ტვიდი, კოინი, არტერო, რაე, გარიდო, ნემსაძე (დელ რიო 89), კანიჯა, სარა (მილნი 86)

მწვრთნელი: ივანო ბონეტი

გაფრთხილება: უილსონი, მური, ფერგიუსონი, კანიჯა, სმიტი

გაძევება: მური (48)

45 035 მაყურებელი

**ჰართსი 3:0 კილმარნოკი**

1:0 ფლოგელი (72), 2:0 ხუანხო (77), 3:0 სევერინი (90)

**სენტ ჯონსტონი 1:2 სელტიკი**

0:1 ჯონსონი (29), 1:1 მაკლასკი (43), 1:2 ლარსონი (61)

**აბერდინი 1:0 ჰიბერნიანი**

1:0 ჟუნტვეტი (2)

**ეს** რა ფეხი ჰქონია ზურაბ ხიზანიშვილს — ჯერ მხოლოდ ჩაირიცხა „დანდიში" და ეს გუნდი უკვე „აიბროქსზე" იგებს. აბა, თამაშს რომ დაიწყებს, მერე რაღა იქნება?

სერიოზულად კი გაცნობებთ, რომ იმ დროს, როცა დანდური კლუბის მეორე ქართველი თბილისში აზერბაიჯანელ თანატოლებს ებურთავებოდა, მისი სქოთური გუნდი გლაზგოს „აიბროქსზე" სასწაულს სჩადიოდა და ამის ორგანიზატორი კიდევ ერთი ჩვენებური გიორგი ნემსაძე იყო.

გაზეთ „სკოტსმენის" მიმომხილველს თუ ვენდობით, სწორედ ნემსაძე დირიჟორობდა სტუმართა ორკესტრს და მწვავე გადაცემებით ხან ერთ თავდამსხმელს უქმნიდა ხელსაყრელ მომენტს, ხან მეორეს, თუმცა შტეფან კლოსის კარში გატანილი პირველი გოლი მისი ჩარევის გარეშე გავიდა — სმიტმა და არტერომ კედელი გაითამაშეს, ბურთი კანიჯას მიუვიდა და 0:1-იც გახდა. სტადიონზე შეკრებილი 45 035 კაციდან მხოლოდ 600 ხარობდა. ალბათ, მიხვდით, ისინი „დანდის" გულშემატკივრები იყვნენ.

მეორე ტაიმის დასაწყისში ამათ კიდევ ერთხელ იხუვლეს, როცა მასპინძელთა ავსტრალიელმა მცველმა კრეიგ მურმა 60 წამის განმავლობაში ხუან სარა ორჯერ მოცელა და ჯერ ყვითელი, მერე კი წითელი ბარათი იხილა. მიუხედავად ამისა, გლაზგოელთა დებიუტანტ მარკუს გეილის („უიმბლდონიდან" იყიდეს) და ტორე ანდრე ფლოს შეეძლოთ ანგარიშის გაქვითვა, მაგრამ კანიჯასავით ზუსტი დარტყმა არცერთს გამოუვიდა.

...ივანო ბონეტიმ, ცხადია, დროის გაყვანის შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვა: დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე სარას ნაცვლად მინდორზე სტივენ მილნი შეუშვა, ბოლოსწინა წუთზე კი ნემსაძე ვალტერ დელ რიოთი შეცვალა. აქ მსაჯმა, კიდევ ოთხ წუთს ვთამაშობთო, აცნობა დამსწრე საზოგადოებას და „რეინჯერსსაც" იმედი მიეცა, მაგრამ წამატებული დროითაც დანდელებმა იხეირეს — სასიკვდილო ჩხვლეტა მილნის ანგარიშზეა.

ასე დამთავრდა ამბავი წლევანდელი სქოთური პრემიერლიგისა ანუ ჩემპიონი უკვე გაირკვა — 16 ქულიანი სხვაობის გაბათილება „რეინჯერსს" ნამდვილად აღარ შეუძლია. ეგ კი არა, ამ ბოლოლა გუნდმა იმდენი მოახერხა, ოთხ დღეში ორჯერ დამარცხდა და ორივეჯერ დანდურ კლუბთან — ჯერ „იუნაიტედმა" გააგდო თასიდან, ახლა კი „დანდიმ" უარესი დამართა.

ბოლოს, ტრადიციულად გაცნობებთ, რომ „სელტიკმა" ჰენრიკ ლარსონის გოლით მოიგო.

**გიგა ძოძაძიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 30 | 25 | 4 | 1 | 77:23 | 79 |
| რეინჯერსი | 29 | 20 | 3 | 6 | 56:27 | 63 |
| ჰიბერნიანი | 30 | 17 | 9 | 4 | 51:21 | 60 |
| კილმარნოკი | 30 | 13 | 6 | 11 | 34:39 | 45 |
| ჰართსი | 31 | 12 | 7 | 12 | 48:43 | 43 |
| დანდი | 30 | 10 | 7 | 13 | 42:37 | 37 |
| დანფერმლაინი | 30 | 10 | 7 | 13 | 28:44 | 37 |
| მოზერუელი | 30 | 10 | 6 | 14 | 35:43 | 36 |
| აბერდინი | 28 | 7 | 10 | 11 | 29:40 | 31 |
| სენტ ჯონსტონი | 29 | 7 | 10 | 12 | 30:43 | 31 |
| დანდი იუნ. | 29 | 4 | 6 | 19 | 25:52 | 18 |
| სენტ მირენი | 30 | 4 | 3 | 23 | 19:62 | 15 |



რეინჯერსი — დანდი 0:2. მსაჯმა კრეიგ მურს (№24) ხუან სარას ორჯერ ჩაწიხვლა არ აპატია და მოედნიდანაც გააძევა

## Copa Toyota Libertadores '2001

### ლიბერტადორესის თასი 2001

**II ჯგუფი. III ტური**

**სპორტ ბოიზი (პერუ) 1:4 პალმეირასი (ბრაზილია)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პალმეირასი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 | 6 |
| სერო პორტენო | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| უნივერსიდად დე ჩილე | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| სპორტ ბოიზი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:9 | 0 |

**VI ჯგუფი. IV ტური**

**ამერიკა დე კალი (კოლუმბია) 0:3 ვასკუ და გამა (ბრაზილია)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერიკა დე კალი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:5 | 9 |
| ვასკუ და გამა | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| პენიაროლი | 3 | 1 | 1 | 2 | 2:4 | 1 |
| დეპორტივო ტაჩირა | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | 1 |

## ავსტრია

25-ე ტური: ზალცბურგი — რაპიდი 0:3; ადმირა — ბრეგენცი 1:1; ლინცერი — რიდი 2:0; აუსტრია — გრაცერი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 25 | 13 | 7 | 5 | 47:23 | 46 |
| რაპიდი | 25 | 13 | 6 | 6 | 48:29 | 45 |
| აუსტრია | 25 | 11 | 6 | 8 | 36:23 | 39 |
| გრაცერი | 25 | 11 | 5 | 9 | 34:29 | 38 |
| შტურმი | 25 | 11 | 4 | 10 | 41:33 | 37 |
| ზალცბურგი | 25 | 10 | 7 | 8 | 35:31 | 37 |
| რიდი | 25 | 9 | 6 | 10 | 37:37 | 33 |
| ბრეგენცი | 25 | 7 | 5 | 13 | 31:50 | 26 |
| ადმირა | 25 | 5 | 7 | 13 | 21:53 | 22 |
| ლინცერი | 25 | 4 | 9 | 12 | 26:48 | 21 |

## ჩეხეთი

### გადადებული მატჩი

**სინოტი 0:0 ბოჰემიანსი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 19 | 16 | 1 | 2 | 49:15 | 49 |
| სიგმა | 19 | 9 | 7 | 3 | 36:19 | 34 |
| პრჟიბრამი | 19 | 9 | 5 | 5 | 29:19 | 32 |
| ტეპლიცე | 19 | 9 | 3 | 7 | 31:21 | 30 |
| ჟიჟკოვი | 19 | 8 | 6 | 5 | 31:29 | 30 |
| ლიბერეცი | 19 | 8 | 4 | 7 | 29:26 | 28 |
| სინოტი | 19 | 6 | 8 | 5 | 25:21 | 26 |
| სლავია | 19 | 6 | 8 | 5 | 23:22 | 26 |
| დრნოვიცე | 19 | 7 | 5 | 7 | 21:21 | 26 |
| ბოჰემიანსი | 19 | 5 | 8 | 6 | 24:26 | 23 |
| იაბლონეცი | 19 | 5 | 7 | 7 | 17:26 | 22 |
| ბლშანი | 19 | 5 | 5 | 9 | 18:26 | 20 |
| ბანიკი | 19 | 4 | 8 | 7 | 18:30 | 20 |
| ბრნო | 19 | 5 | 3 | 11 | 16:25 | 18 |
| ბუდეიოვიცე | 19 | 3 | 6 | 10 | 23:41 | 15 |
| პლზენი | 19 | 2 | 6 | 11 | 16:39 | 12 |

## იუგოსლავია

21-ე ტური: პარტიზანი — რადნიჩკი (კრაგუევაცი) 4:0; სუტიესკა — ცრვენა ზვეზდა 1:2; ჰაიდუკი — ბუდუჩნოსტი 2:0; ოფკ — ჟელეზნიკი 0:0; ვოივოდინა — მილიციონარი 6:1; რადი — ზეტა 3:2; ობილიჩი — ჩუკარიჩკი 1:1; რადნიჩკი (ნიში) — სარტიდი 0:1; ზემუნი — ნაპრედაკი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცრვენა ზვეზდა | 21 | 17 | 4 | 0 | 55:11 | 55 |
| პარტიზანი | 21 | 17 | 0 | 4 | 60:18 | 51 |
| ობილიჩი | 21 | 14 | 3 | 4 | 35:20 | 45 |
| ოფკ | 21 | 11 | 4 | 6 | 31:20 | 37 |
| სარტიდი | 21 | 10 | 2 | 9 | 30:30 | 32 |
| ჰაიდუკი | 21 | 8 | 4 | 9 | 30:23 | 28 |
| სუტიესკა | 21 | 8 | 4 | 9 | 24:34 | 28 |
| ვოივოდინა | 21 | 7 | 6 | 8 | 26:20 | 27 |
| ჟელეზნიკი | 21 | 7 | 6 | 8 | 25:13 | 27 |
| ზემუნი | 21 | 6 | 7 | 8 | 21:29 | 25 |
| ზეტა | 21 | 5 | 9 | 7 | 26:31 | 24 |
| რადი | 21 | 7 | 3 | 11 | 27:38 | 24 |
| მილიციონარი | 21 | 7 | 2 | 12 | 19:31 | 23 |
| ნაპრედაკი | 21 | 6 | 5 | 10 | 21:35 | 23 |
| ბუდუჩნოსტი | 21 | 6 | 4 | 11 | 16:25 | 22 |
| კრაგუევაცი | 21 | 6 | 4 | 11 | 18:36 | 22 |
| ჩუკარიჩკი | 21 | 6 | 2 | 13 | 22:32 | 20 |
| ნიში | 21 | 5 | 3 | 13 | 16:38 | 18 |

## ინგლისი

### I დივიზიონი

გადადებული მატჩები

**პრესტონი 2:0 ვულვერჰემპტონი**

1:0 მაკკენა (43), 2:0 კროსველი (77)

ვულვერჰემპტონი: ოუქსი, მუსკატი, ლესკოტი, ბატლერი, ნეილორი, ბრენჩი, დინინგი (ენდრიუსი 37), რობინსონი, სინტონი (კამარა 66), პრუდლოკი, ნდა

მწვრთნელი: დეივიდ ჯოუნსი

15 457 მაყურებელი

**ბირმინგემი 0:2 ბლეკბერნი**

0:1 ბენტი (42), 0:2 დაფი (52)

**ტრანმერი 1:1 პორტსმუთი**

1:0 ელისონი (28), 1:1 ბარბერი (56)

**უოტფორდი 0:1 ბარნლი**

0:1 ტეილორი (72)

**ქრიუ 1:0 ნოტინგემი**

1:0 რივერსი (76)

**გრიმსბი 1:1 უიმბლდონი**

0:1 ეგიმენგი (5), 1:1 ენუა (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფულემი | 36 | 25 | 7 | 4 | 75:25 | 82 |
| ბოლტონი | 36 | 19 | 11 | 6 | 61:37 | 68 |
| ბლექბერნი | 34 | 20 | 8 | 6 | 54:31 | 68 |
| ბირმინგემი | 35 | 21 | 5 | 9 | 51:35 | 68 |
| ვესტ ბრომვიჩი | 37 | 18 | 8 | 11 | 49:42 | 62 |
| პრესტონი | 36 | 18 | 6 | 12 | 49:42 | 60 |
| ნოტინგემი | 36 | 18 | 5 | 13 | 47:40 | 59 |
| უოტფორდი | 37 | 17 | 7 | 13 | 61:52 | 58 |
| შეფილდ იუნ. | 36 | 16 | 8 | 12 | 41:36 | 56 |
| ბარნლი | 35 | 15 | 7 | 13 | 35:40 | 52 |
| უიმბლდონი | 34 | 13 | 11 | 10 | 55:37 | 50 |
| ბარნსლი | 37 | 12 | 8 | 17 | 39:45 | 44 |
| ვულვზი | 35 | 11 | 10 | 14 | 36:37 | 43 |
| პორტსმუთი | 37 | 9 | 16 | 12 | 38:43 | 43 |
| ნორვიჩი | 37 | 11 | 10 | 16 | 35:46 | 43 |
| ქრიუ | 36 | 12 | 6 | 18 | 36:48 | 42 |
| ჯილინგემი | 36 | 9 | 14 | 13 | 46:50 | 41 |
| კრისტალ პალასი | 36 | 9 | 10 | 17 | 47:55 | 37 |
| გრიმსბი | 36 | 9 | 9 | 18 | 32:51 | 36 |
| უენსდი | 36 | 10 | 6 | 20 | 38:62 | 36 |
| სტოკპორტი | 37 | 6 | 16 | 15 | 45:61 | 34 |
| ქუინზ პარკი | 36 | 6 | 15 | 15 | 35:59 | 33 |
| ჰადერსფილდი | 35 | 7 | 11 | 17 | 35:46 | 32 |
| ტრანმერი | 34 | 8 | 8 | 18 | 34:54 | 32 |

## სლოვენია

### თასის ნახევარფინალი

I მატჩები

**ველენიე 0:2 ოლიმპია**

0:1 ციმეროტიჩი (13), 0:2 ილიჩი (16)

**ნოვა გორიცა 3:1 ნოვო მესტო (!!)**

1:0, 2:0 გუტალი (36, 55), 3:0 ზლოგარი (62), 3:1 ზაგარი (86)

*საპასუხო მატჩები გაიმართება 4 აპრილს*

## ბოსნია

### თასის მეოთხედფინალი

I მატჩები

სარაევო — კოზარა 1:0; ცელიკი — ომლადინაცი 2:3; ბოკშიტი — პოსუშიე 0:0; რადნიკი — ოლიმპიკი 0:2

**სუპერთასი**

ფინალი. II მატჩი

ჟელეზნიჩარი — ბროტნიო 3:1 (0:0)





| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | (1) | ბრაზილია | 814 |
| 2 | (2) | საფრანგეთი | 797 |
| 3 | (3) | არგენტინა | 771 |
| 4 | (6) | პორტუგალია | 738 |
| 5 | (4) | იტალია | 735 |
| 6 | (5) | ჩეხეთი | 734 |
| 7 | (7) | ესპანეთი | 727 |
| 8 | (10) | პარაგვაი | 703 |
| 9 | (8) | ჰოლანდია | 702 |
| 10 | (9) | იუგოსლავია | 701 |
| 11 | (11) | გერმანია | 698 |
| 12 | (12) | მექსიკა | 684 |
| 13 | (13) | რუმინეთი | 680 |
| 14 | (14) | ნორვეგია | 670 |
| 15 | (14) | კოლუმბია | 667 |
| 16 | (17) | ინგლისი | 659 |
| 17 | (18) | ხორვატია | 656 |
| 18 | (16) | აშშ | 655 |
| 19 | (20) | რუსეთი | 639 |
| 20 | (19) | სამხრეთ აფრიკა | 631 |
| 38 | (36) | უკრაინა | 584 |
| 47 | (48) | უნგრეთი | 560 |
| 66 | (66) | საქართველო | 503 |
| 69 | (67) | ესტონეთი | 502 |
| 72 | (74) | უზბეკეთი | 488 |
| 89 | (87) | ლიტვა | 453 |
| 91 | (93) | ლატვია | 449 |
| 93 | (92) | სომხეთი | 440 |
| 97 | (95) | მოლდოვა | 426 |
| 99 | (96) | ბელარუსი | 423 |
| 117 | (114) | აზერბაიჯანი | 346 |
| 122 | (120) | ყაზახეთი | 321 |
| 129 | (126) | თურქმენეთი | 303 |
| 138 | (138) | ტაჯიკეთი | 279 |
| 161 | (163) | ყირგიზეთი | 188 |

*შენიშვნა: I გრაფაში — ადგილი; II გრაფაში — ადგილი წინა თვეში; III გრაფაში — ქვეყანა; IV გრაფაში — ქულა*



რაული სახელმა იხსნა

# კარგი ბიჭია, ვაპატიოთ!

**მადრიდის** „რეალის“ თავდამსხმელ რაულ გონსალეს ბლანკოს უეფამ სანქციები მოუხსნა. მიხვდებოდით, საქმე „ლიდსის“ კარში ხელმარჯვედ გატანილ ბურთს ეხება. უეფა, არასაფეხბურთო ილეთის გამოყენების გამო რაულის ერთი მატჩით დისკვალიფიცირებას და თორმეტი ათასი დოლარით დაჯარიმებას გეგმავდა. თავდამსხმელი გუნდს ბრიუსელში აღარ გაჰყოლია, რადგანაც იმედი არ ჰქონდა, რომ უეფა „ანდერლეხტთან“ თამაშის ნებას დართავდა. თუმცა მადრიდელებმა ბიჭი არავის დააჩაგვრინეს და როგორც კი შეატყვეს, რომ რაულს უსაფუძვლოდ ედავებოდნენ, უმალ სააპელაციო კომიტეტში არზა აფრინეს. საქმე გაირკვა, გაირჩა და რაულის კაცური სახელიც შებღალვას გადაურჩა. მართლაც არ იქნებოდა უპრიანი, რაულის დარი ფეხბურთელის უმნიშვნელო, თუნდაც შეგნებული შეცდომის გამო ამგვარი დამცრობა.

„რაულს აღარ დავსჯით, რადგანაც მსაჯი შეცდა, მოსადავებელი რაულთან კანონით არაფერი გვაქვს“ — თქვა უეფას ხელმძღვანელობამ და, ალბათ, რაულსა და მის ამალას გულს შემოწოლილი სირცხვილნარევი ბოღმაც გაუქარვა. გაიხარა „რეალის“ სპორტულმა დირექტორმა, არგენტინელმა ხორხე ვალდანომაც: „გაკვირვებული ვარ. უეფას სააპელაციო კომიტეტის გადაწყვეტილება იცავს არა მარტო რაულის, არამედ მთელ საფეხბურთო სამყაროში ყველა პატიოსანი ფეხბურთელის ღირსებას.“

# კარაჭრიალებული ბარსელონა ტოლდოს ეპატიჟება

**ესპანეთში** სულ უფრო და უფრო ხშირად ლაპარაკობენ, რომ „ბარსელონა“ „ფიორენტინასა“ და იტალიის ნაკრების კარის დარაჯის, ფრანჩესკო ტოლდოს „კამპ ნოუზე“ გადაბირებითაა დაინტერესებულიო. კატალონიურ კლუბში ამჟამად სამი მეკარე ირიცხება — ფრანგი რიშარ დუტრუელი, ფრანსისკ არნაუ და ახალგაზრდა მანუელ რეინა. ბოლო ხანს „ბარსელონას“ კარს სწორედ ეს უკანასკნელი იცავს.

„ბარსელონას“ ხელმძღვანელებს კი ამათგან არც ერთის დონე არ აკმაყოფილებთ და ამიტომაც, ამჟამად მათი ერთ-ერთი უმთავრესი საფიქრალი სწორედ ძლიერი მეკარის შერჩევა და „კამპ ნოუზე“ გადაყვანაა.

ტოლდო ერთ-ერთი უძლიერესი გოლკიპერია მსოფლიოში. მის შეძენას სხვა არაერთი კლუბიც ცდილობს და მათ რიგებში „ბარსელონაც“ ჩადგა. ესპანელები დათანხმდნენ, ფრანჩესკოს სანაცვლოდ ფლორენციაში ჰოლანდიელი ნახევარმცველი ბუდევინ ზენდენი გაუშვან. მით უმეტეს, რომ „ფიორენტინას“ აქამდეც არაერთხელ გამოუთქვამს ზენდენის შეძენის სურვილი.

„არტემიო ფრანკიზე“ ახლახან მისულმა მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმაც ამას წინათ გაკვრით ახსენა, რომ ბუდევინისდარი ფეხბურთელები ჩემს გუნდს დიდად წაადგებაო, თუმცა რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, იქვე დასძინა, ტოლდოს გუნდიდან გაშვება გამართლებული არ იქნება და თუ მეკარეს ნახევარმცველში გაცვლიან, „ბარსელონა“ უფრო იხეირებს. ფლორენციელები კი წაგებული დარჩებიანო. ასე რომ, ბარსელონელებს მიზნისკენ მიმავალი ის გზა, ალბათ, საბოლოოდ მოეჭრათ, ახლა სხვა ღონე უნდა იხმარონ.

სანამ „ბარსელონა“ ახალი მეკარის ძიებაშია, გაირკვა, რომ პატრიკ კლუივერტს კლუბისადმი გარკვეული პრეტენზიები ჰქონია. ჰოლანდიელი თავდამსხმელი თურმე ხელფასის გაზრდას მოითხოვს, კონკრეტული ულტიმატუმიც წამოუყენებია — წელიწადში 5,7 მილიონი დოლარი ჯამაგირი დამინიშნეთო.

**ნიკა შუბლაძე**



ფრანჩესკო ტოლდო


# რესტორანი მზიანი ღამე






**განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით**

**დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე**

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

**კუტუზოვის ქუჩა №3**

**(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)**

**მობრძანდით, გვეწვიეთ: კმაყოფილი დარჩებით**

# ყინულოვან გზაზე ნაპოლეონის გეგმით

## მთამსვლელებს კილომეტრიანი ყინულის ლოლო გადაუყლაპავთ

## მიდი, გია, დაჰაი, საშა!

„ეს სად ჯანდაბაში მოვხვდით, საშა, ჰა"? — რუსულად კითხულობს აქოშინებული მთამსვლელი და თან ცალი ხელით კისერში ჩაყრილ თოვლს იბერტყავს, მეორე ხელით კი ყინულის კედელზე ნისკარტჩარჭობილი წერაყინი ჩაუბღუჯავს. მერე ყვითელ საიერიშო კოსტიუმიანი მთამსვლელი, რკინეულობით რომ აჩონჩხლილა და თოვლში მთლად ამოლუნლულული თეთრ დათვს დამსგავსებია, თანდათან ობიექტივს შორდება და ბოლოს ვხედავთ ისეთ კადრს, რომლის დანახვაზეც სისხლი გვეყინება. ყვითელსაიერიშო კოსტიუმიანი ალაპლაპებული ყინულის ვერტიკალურ კედელს მიწებებია. კედელს არც თავი უჩანს, არც ბოლო. ჩანს იმ მთამსვლელზე გამობმული და გადმოკიდებული, ასე თხუთმეტმეტრამდე თოკი, რომლის მეორე ბოლო მარჯვნივ მოემართება და ლამის შიგ ობიექტივში შემოდის.

„ჰოო, მართლაც სად ჯანდაბაში მოვხვდით"? — კითხვითვე პასუხობს თოკის ბოლოში გამობმული, არანაკლებ გულამოვარდნილი და აქოშინებული მეწყვილე, თავად კი კადრში არა ჩანს.

„მართლაც, სად ჯანდაბაში მოხვდით"? ახლა მე ვეკითხები ჩემს თანამოსაუბრე გია თორთლაძეს, რომელიც თებერვლის ბოლოს ტიან შანზე, ალა არჩის ხეობაში აღმართულ მწვერვალ ბაიჩეჩეკეიზე (4 500მ). ასვლისას გადაღებულ ვიდეოკადრებს გვიჩვენებს.

—ძალიან „მაგარი" ასვლა გამოგვივიდა — გვეუბნება თორთლაძე.

„მაგარში" სირთულეს გულისხმობს. ამბობს, თითქმის მთელი მარშუტი ყინულოვანი იყოო. თავდაპირველად სიმაღლეში დაახლოებით 300 მეტრი 40 გრადუსიანი დახრილობის ყინულზე ვიარეთ, მერე ძალიან რთული, დაახლოებით 300-მეტრიანი მონაკვეთი 80 გრადუსიანი დახრილობისა იყო. ალაგ-ალაგ მთლად ვერტიკალური, 90 გრადუსიანი მონაკვეთებიც დავძლიეთ. ამას მოჰყვა 60-70 გრადუსიანი დახრილობის ქიდი, სადაც რამდენიმეგან ისევ მთლად ვერტიკალური კედლის დაძლევა მოგვიხდაო.

იმასაც ამბობს, ამ ასვლით უდიდესი სიამოვნება მივიღეო. სიამოვნებაში ორჯერ ზვავში მოხვედრასაც გულისხმობს, რაც ნაწილობრივ ვიდეოკამერის ფირზე აღუბეჭდავს. ნაწილობრივ იმიტომ, რომ კადრში ვხედავთ ჩანჩქერივით გადმომსკდარ ზვავს, რომელიც პირდაპირ ობიექტივისკენ ეშვება, მერე კადრი ყირავდება, რადგან გადამღები ვიდეო კამერას ზვავისგან იცავს, თავად მთამსვლელი კი, ცხადია, პროსპექტზე არ არის, რომ ხიფათს გაექცეს.

— მადლობა ღმერთს, დიდი ზვავი არ იყო. პატარა მდინარესავით გადმოეშვა და პირადპირ თავს დამატყდა და თოვლის კორიანტელში გავეხვიე. კედელზე აკრულს კისერზე და ზურგჩანთაზე საშინელი სიმძიმე დამაწვა. ზურგჩანთაზე და კისერზე დარჩენილი თოვლის მასა ისეთი მძიმე იყო, რომ მთელი ბარგის მოხსნა და გადაგდება მომინდა. ასეთ ხიფათში ორჯერ აღმოვჩნდით.

ამ ნაამბობს თორთლაძე ვიდეოკამერით აღბეჭდილი კადრებით გვისურათებს და ფოტოსურათებსაც გვიჩვენებს. მათი მნახველი მთამსვლელთა ადგილზე ყოფნას არამც და არამც არ ისურვებს, მაგრამ კაცია და გუნება. თორთლაძე ისევ და ისევ ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ მსგავსი სიამოვნება დიდ ხანია არ მიუღია.

— რატომაც არ უნდა ვიყო ნასიამოვნები. ასეთი რთული ყინულოვანი კედელი, რამდენადაც ვიცი, საქართველოს მთამსვლელთაგან არავის გაუვლია. ძალიან ძლიერი მთამსვლელები გვყავდა, მაგრამ მათგან არაერთხელ გამიგონია, ვთქვათ, ასეთი რამ, ამა და ამ მარშრუტზე 50-მეტრიანი ყინულის კედელია და იმას რა გაივლისო...

— ამით რისი თქმა გინდათ? — წინადადების დამთავრებას არ ვაცდით თორთლაძეს და თან ეკრანს მივჩერებივართ...

— არა, ამით იმას კი არ ვამტკიცებ, რომ არიქა, ყინულზე მე ყველაზე ძლიერი ვარ-მეთქი. „უბრალოდ", ჩემი წინამორბედი თაობის დროს არ იყო ისეთი წრიაპები, ფეხსაცმელი, წერაყინები, ყინულის პალოების ჩასახრახნები, თუ სხვა ინვენტარი, როგორიც ახლაა...

ამას რომ გვიამბობს, თან მთელი მთამსვლური რკინეულობა გამოაქვს და დეტალურად, თვალნათლივ გვიხსნის მათი გამოყენების მეთოდს. ჩვენც ვრწმუნდებით, რომ ამგვარად აღჭურვილი თუნდაც მთვარემდე აყუდებულ ყინულის კედელზე ახვალ.

თქვენ ჯანი და გამბედაობა იკითხეთ...

ჰო, ამ ასვლისას არც გია თორთლაძე და არც მისი მეწყვილე თავიდან მთლად ჯანზე ვერ ყოფილან.

— მარშრუტზე რომ გავედით, სულ ორი-სამი თოკი გავიარეთ და ვხედავ, ფეხებს ძლივს მივათრევ. გულიც აჩქარებული მაქვს და სუნთქვაც. საშამ შუბლზე ხელი დამადო და მეუბნება, მისმინე, მგონი სიცხე გაქვს. მეც რაღაც კარგად ვერ ვარ და მოდი, დავბრუნდეთო. კიდევ კარგი, სადღაც შუა კედელზე არ ვიყავით, თორემ იქიდან დაბრუნებაზე იოლი ასვლა იქნებოდა. ამიტომ პირი ვიბრუნეთ. ორივეს მართლაც სიცხე გვქონდა. რამდენიმე დღის მერე მოვმჯობინდით და ისევ მარშრუტზე გავედით. გავედით და ავედით კიდეც.

— ეგ საშა ვინღაა?

— ოო, საშა ალექსანდრ რუჩკინია. რუსეთის მოქალაქეა, ომსკელი, მაგრამ ალმა-ათაში ცხოვრობს. 37 წლისაა. ჯიგარი ვინმეა. ჯიგარიც არის და მაგარი მთამსვლელიც. მთაში ბევრი მინახავს და ბევრთანაც მივლია: ამერიკელებთანაც, ინგლისელებთანაც, იაპონელებთანაც, პოლონელებთანაც, ნეპალელებთანაც, მაგრამ საშასავით ტექნიკურად ძლიერი მთამსვლელი არ შემხვედრია. ზოგჯერ სადღაც მთლად შვეულ კლდეზე 20-სანტიმეტრიანი სიგანისა და 5-სანტიმეტრიანი სისქის ყინულის „ჰალსტუხს" თუ ლოლოს პოულობს და იმაზე ადის. ასეთი სისქის ყინულზე ასვლა ძალზე სახიფათოა. მასში ჩახრახნილი პალო შეიძლება ყინულიანად კლდეს მოწყდეს. ისე, საშა კლდეზეც ძლიერია და თოვლზეც, თუმცა, ყინულზე სიარული უფრო იზიდავს. ბევრი უმაღლესი, მე-6 კატეგორიის სირთულის მარშრუტი მარტოდმარტოს გაუვლია. თუ სხვებთან ერთად ადის მწვერვალზე, ყველაზე რთულ ადგილებზე წინმავალი მუდამ ეგაა.

— მაგრამ ამ ასვლისას წინ სულ თქვენ იყავით, საშა კი ისე ჩანდა, რომ ოპერატორი და ფოტოგრაფი უფრო იყო.

— ასე იყო, მაგრამ ახლა თავად ვთხოვე, ყველაზე რთულ ადგილებზე წინ მე ვივლი-მეთქი. ასეთი სირთულისა და სიგრძის ყინულოვან კედელზე პირველად ვიყავი და თავის გამოცდა მინდოდა. ჩვენი ასვლა ამ ზამთარს იმ რაიონში ერთ-ერთი საუკეთესო აღმოჩნდა.

— ეგ ვიღამ დაასკვნა?

— იქ საერთაშორისო შეკრება ჩატარდა. მასში ამერიკის, რუსეთის, უზბეკეთისა და ყაზახეთის მთამსვლელები მონაწილეობდნენ. საქართველოდან მხოლოდ მე ვიყავი. სწორედ ამ შეკრების მონაწილეთა საერთო აზრი მოგახსენეთ.

— ერთ-ერთ საუკეთესო ასვლაში სხვაც ბევრი იგულისხმება?

— ჩვენი მარშრუტი მე-5 კატეგორიის სირთულისა იყო. იგივე სირთულისა იყო კიდევ ერთი გუნდის მიერ გავლილი, ასევე ყინულოვანი მარშრუტი. ამ ორ მარშრუტს შორის განსხვავება ის იყო, რომ ჩვენი ყინულის ლოლო შედარებით მოკლე, მაგრამ გაცილებით რთული გამოდგა, იმათი მარშრუტი კი ნაკლები დახრილობის იყო, მაგრამ „წონა" სიგრძემ შემატა.

მანამ ჩვენ ყინულის ამ ზომა-წონაზე ვსაუბრობდით, გიას და საშას ყინულის ლოლო აუთავებიათ და ცოტა „გაუვაკებიათ", მაგრამ კადრში ისევ თორთლაძეს ვხედავთ.

„დავაი, საშა, დავაი, სნიმაი"! — მძიმე ნაბიჯებით მიმავალი და აქოშინებული ეუბნება თავის მეწყვილეს თორთლაძე.

კიდევ რამდენიმე მძიმე ნაბიჯი და თორთლაძე უკვე მწვერვალზეა. რაღაც უცნაურ, თეთრ-მწვანე, წარწერიან დროშას აფრიალებს.

— ეს დროშა ჩემი სპონსორის, უზბეკურ-გერმანული ფირმა „ინტერპრომბიზნესისაა" — გვეუბნება გია თორთლაძე — მან ბაიჩეჩეკეიმდე ჩემი სხვა ასვლებიც დააფინანსა და ძალიანაც ვემადლიერები. თავადაც კმაყოფილია, მწვერვალზე მისი საფირმო დროშას რომ ვაფრიალებ, რასაც ტელემაყურებელიც ხედავს. ბაიჩეჩეკეიზე გადაღებულ თხუთმეტწუთიან ფილმს ამ კვირაში მეცხრე არხის მაყურებლებს ვუჩვენებ.

— აქამდე სულ თქვენ იღებდით ვიდეოთი და ახლა სხვას რატომ გადაულოცეთ ეს საქმე?

— სწორედ მაგიტომაც გადავულოცე. საქმე ისაა, რომ აქამდე ასვლისას რიგიანად ვიდეოფირზე გადაღებული არ ვყოფილვარ.

— საშასთან ერთად მანამდე სად ყოფილხართ?

— ერთმანეთს კარგა ხანია ვიცნობთ. მთაში ბევრჯერ შევხვედრივართ ერთმანეთს, მაგრამ ერთად პირველად ავედით მწვერვალზე. ეს საქმე ტელეფონით საუბრისას დავგეგმეთ.

— როგორ აქტყობთ, ერთ თოკში კიდევ ჩაებმებით?

— აუცილებლად. კი გითხარით, დიდი ხნის ნაცნობობა გვაქვს-მეთქი, მაგრამ ერთმანეთი ბაიჩეჩეკეიზე ვიპოვეთ. ჩვენ დიდი მიზნები გვაქვს და გეგმები ერთმანეთს შევუჯერეთ. საშა თავის გეგმებს „ნაპოლეონის გეგმებს" უწოდებს.

— ეგ რას ნიშნავს, მსოფლიოს დაპყრობის გეგმას ხომ არა?

— ჰმ, ეშმაკმა იცის მაგისი თავი, მაგრამ მწვერვალის დაპყრობას კი ითვალისწინებს.

ყოველ შემთხვევაში, გვინდა ერთ წყვილში დავლაშქროთ ჰიმალაის, ყარაყორუმისა და კავკასიონის მწვერვალები. დღეს სწორედ წყვილთა მიერ ურთულესი მარშრუტების გავლა ფასობს.

— „ნაპოლეონის გეგმის" მიხედვით კონკრეტულად რას და როდის აპირებთ?

— გვსურს მწვერვალებზე ალპურ სტილში, მარშრუტების წინასწარდაუმუშავებლად ავიდეთ. პირველივე ეტაპზე გვაქვს ისეთი გეგმები, რომლების განხორციელებაც ძალიან რთულად ითვლება. ყინულის ლოლოზე ასვლაც ამ გეგმის მცირე შემადგენელი ნაწილი იყო. მჯერა, კლდეზეც ისეთი სირთულის მარშრუტს გავივლით, როგორიც იმ ყინულის ლოლოზე დავძლიეთ. მაგრამ კონკრეტულად საუბარი ჯერ არ მინდა. ისე კი გეტყვით, რომ სხვა გეგმებიც მაქვს. მიწვეული ვარ საერთაშორისო ექსპედიციებში, რომლებიც ევერესტზე და ლჰოცზეზე ასვლას აპირებს. ჰიმალაისკენ თვის ბოლოს გავემგზავრები.

**ავთანდილ გურასაშვილი**



გია თორთლაძის ფოტო

ბაიჩეჩეკეი და მასზე გადმოკიდებული ყინულის „ლოლო"



ალექსანდრ რუჩკინის ფოტო

მიდი, გია!



ალექსანდრ რუჩკინის ფოტო

გია თორთლაძის „უმაღლესი პილოტაჟი" გიგანტურ ყინულის ლოლოზე

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ამათ უნდათ ჩემპიონობა?!

14 მარტი

**პორტლენდი 79:84 ფინიქსი**

პორტლენდი: უოლესი (29 ქულა, 11 მოხსნა)

ფინიქსი: მარიონი (26 ქულა, 13 მოხსნა), კიდი (21)

**სან ანტონიო 106:100 მინესოტა**

(ძირითადი დრო 92:92)

სან ანტონიო: ანდერსონი (30), დანკანი (23 ქულა, 20 მოხსნა), რობინსონი (18)

მინესოტა: გარნეტი (24 ქულა, 13 მოხსნა, 8 პასი), ბრენდონი (17 ქულა, 10 პასი, 7 მოხსნა)

**ვაშინგტონი 103:96 დეტროიტი**

ვაშინგტონი: ჰამილტონი (40)

დეტროიტი: სტეკჰაუზი (38), უილიამსონი (16), უოლესი (12 ქულა, 13 მოხსნა, 5 დაფარება)

**შარლოტი 100:95 ვანკუვერი**

შარლოტი: მეშბურნი (23), უესლი (20)

ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (23 ქულა, 12 მოხსნა), ბიბი (22 ქულა, 11 პასი), დიკერსონი (20 ქულა, 10 პასი, 8 მოხსნა)

**კლივლენდი 87:97 ორლანდო**

კლივლენდი: ჰარპრინგი (19), მიმი (15 ქულა, 10 მოხსნა)

ორლანდო: მილერი (18), გარიტი (18), არმსტრონგი (15)

**მაიამი 114:104 საკრამენტო**

მაიამი: მეისონი (25 ქულა, 13 მოხსნა), გრანტი (23), სებალოსი (21 ქულა, 11 მოხსნა), ჰარდევეი (20)

საკრამენტო: უებერი (26 ქულა, 17 მოხსნა), კრისტი (24), სტოიაკოვიჩი (17)

**ჩიკაგო 67:85 ფილადელფია**

ჩიკაგო: ფიზერი (18), მერსერი (16)

ფილადელფია: ჰილი (16), მუტომბო (15 ქულა, 12 მოხსნა)

**დენვერი 95:83 ინდიანა**

დენვერი: ვან ექსელი (37), ლაფრენცი (22 ქულა, 14 მოხსნა, 5 დაფარება)

ინდიანა: ონილი (22 ქულა, 13 მოხსნა), ჰარინგტონი (18), როუზი (17)

**გოლდენ სტეიტი 83:102 იუტა**

გოლდენ სტეიტი: ბლეილოკი (17)

იუტა: რასელი (18), მელოუნი (16), მენინგი (16), მარშალი (15 ქულა, 14 მოხსნა)

**ჩრდილოური** პატარა ქალაქი (ცხადია შტატების მასშტაბით) პორტლენდი შეშფოთებულია. ხუმრობა ხომ არაა, იქაურ „თრეილ ბლეიზერსს" გულში ჩემპიონობა ამოუჭრია, ზედიზედ ხუთი თამაში კი წააგო. ნამდვილად სერიოზული საბაბია შფოთისთვის. გუნდი, რომელშიც შვიდი ოლსტარელი და სამი ოლიმპიური ჩემპიონი თამაშობს, ასე არ უნდა დაეცეს. ფაქტი კია, პორტლენდელთა თამაშის ხარისხი სულაც არაა იმ დონის, ჩემპიონობისკენ მიმავალი ეკლიანი გზა გაკაფოს.

საყოველთაო აზრით, „პორტლენდს" „ფინიქსთან" მაინც უნდა მოეგო, მაგრამ კვლავ შერცხვა. გამარჯვება სტუმართათვის ერთგვარი სასიამოვნო სიურპრიზი გახლდათ. არ ველოდით, თუ მოვიგებდითო, უთქვამს „სანზის" თავკაც სკოტ სკაილზს, ხოლო როცა ჰკითხეს, როგორ ფიქრობთ, რა ჭირს თქვენს მეტოქესო, უპასუხა — „აბა, რა ვიცი. მე არ ვარ იმ გუნდის მწვრთნელი, ჯობს მაიკს ჰკითხოთ". „ბლეიზერსის" თავკაცი მაიკ დანლივი ორი წლის წინ სეზონის საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს, დღეს კი მისი შეგირდები თვალსაჩინო მაგალითად ქცეულან იმისა, თუ როგორ არ უნდა ითამაშოს გუნდმა.

„პორტლენდი" უკვე პირველ მეოთხედის შემდეგ 13:23 აგებდა. აბა, რა იქნებოდა. იმ დღეს მასპინძელთაგან დამაკმაყოფილებლად ოდენ რაშიდ უოლესი ირჯებოდა, სხვები კი ტყემალზე ისხდნენ. თავად მრავლისმნახველმა ლიტველმა გიგანტმა არვიდას საბონისმაც კი, თითქოს ცხოვრებაში პირველად მოჰკიდა ბურთს ხელიო, არ იცოდა, რა უნდა ექეთებინა და ეს კალათბურთში ჭიპმოჭრილი კაცი ვერაფერს უხერხებდა მეტოქეს, სოხუმში დაბადებულ-გაზრდილ 21 წლის პირტიტველა ბერძენ იაკოვოს ცაკალიდისს. ლიტველმა თამაში ხუთი ქულით დაამთავრა. არც 14-წლიანი კარიერის მანძილზე თითქმის ყოველგვარი ტიტულის მომხვეჭ სკოტი პიპენს (9 ქულა) ულხინდა შონ მარიონთან ჭიდილში. „ფინიქსის" ლიდერმა, გამთამაშებელმა ჯეისონ კიდმა კი პირწმინდად დაჩაგრა სტუდემაიერ-სტრიკლენდის დუეტი.

მესამე მეოთხედის შუაწელს „ბლეიზერსი" უკვე 17 ქულით ჩამორჩებოდა მეტოქეს. მასპინძლებმა ერთადერთი ხეირიანი რამ მეოთხე მეოთხედში გააკეთეს, როცა სიდნეის ოლიმპიადის ჩემპიონის სტივ სმიტის ექვსი ქულის (სმიტს მეტი არც დაუგროვებია) წყალობით ერთი მონაკვეთი 13:0 მოიგეს და შეხვედრის დამთავრებამდე სამნახევარი წუთით ადრე 75:72 დაწინაურდნენ, მაგრამ იმ დღეს ეს მათი მაქსიმუმი იყო. წუთიერი გაბრწყინების შემდეგ „პორტლენდმა" კვლავ აურია და დარჩენილი დრო 4:12 წააგო.

მაშინ, როცა „პორტლენდს" გამარჯვება სანატრელი გახდომია, კიდევ ერთი ბობოლა, „სან ანტონიო სფურზი" დროს უქმად არ კარგავს და თამაშს თამაშზე იგებს. „დეზებმა" ზედიზედ მერვე გამარჯვება მოიხვეჭეს და დასავლეთ კონფერენციაში პირველობა შეინარჩუნეს. ერთი კია, „მინესოტასთან" ბლომად ოფლი დაღვარეს. მიუხედავად იმისა, რომ „სან ანტონიო" კონფერენციაში პირველია, „მინესოტა" კი მერვე, შეხვედრა ორი ტოლძალოვანი გუნდის შერკინებას ჰგავდა. „მგლები" არ უთმობდნენ მასპინძლებს, მწარედ იკბინებოდნენ და სულ ცოტა დააკლდათ გამარჯვებამდე.

თითქმის ქულა ქულაში წარმართული შეხვედრის ბოლო მეოთხედში, სტუმარმა ენტონი პილერმა ისარგებლა იმით, რომ მასპინძელთა ყურადღება ძირითადად „ვულვზის" ორი ლიდერის — კევინ გარნეტისა და ტერელ ბრენდონისკენ იყო მიპყრობილი და „სფურზს" ამ თორმეტწუთეულში ოთხი სამქულიანი ჩაუგდო. კიდევ ერთმა სტუმარმა ჩონსი ბილაფსმა მეოთხედის დამთავრებამდე რვა წამით ადრე საჯარიმოთი 92:90 დააწინაურა „მინესოტა". მასპინძლები მარცხისგან 216-სანტიმეტრიანმა დევიდ რობინსონმა იხსნა. „ადმირალმა" საკუთარი ნახევრიდან დრიბლინგით (!) წაიღო ბურთი, სამი წამით ადრე ჩაუგდო სტუმრებს და შეხვედრა ოვერტაიმში გადაიყვანა.

დამატებითი დრო მასპინძლებისა იყო. პირველივე წამებზე „სან ანტონიოს" მსროლელმა, წინა კვირის საუკეთესო მოთამაშემ დერიკ ანდერსონმა სამიანი ჩააგდო და „სფურზს" უპირატესობის შენარჩუნება და გაზრდა არ გასჭირვებია.

წააგო „სან ანტონიოს" უახლესმა მდევარმა „საკრამენტომ". მაიამიში ჩასული „მეფეები" ერთბაშად ოთხ კაცს მოისაკლისებდნენ, ოთხივე დისკვალიფიკაციას იხდიდა — ბობი ჯექსონი წინა შეხვედრაში ორლანდოელ ტრეისი მაკგრეიდისთან ჩხუბის გამო, ხოლო ვლადე დივაცი, სკოტ პოლარდი და არტ ლონგი ჩხუბის დროს სათადარიგოთა სკამის თვითნებურად დატოვებისთვის.

„საკრამენტომ" დასაწყისში დანაკლისი არ დაიტყო და საწყისი მეოთხედი თორმეტი ქულით — 35:23 მოიგო, თუმც მეორე მეოთხედი ოცი ქულით — 14:34 წააგო. „მეფეებს" მეორე ტაიმში მთელი სიმძიმით დააწვათ დამოკლებული სკამი. მხოლოდ რვა კაცის ამარა მოთამაშენი მალევე მოიღალნენ და „მაიამიმ" მშვიდად მიიყვანა შეხვედრა სასურველ ფინალამდე. აღსანიშნავია, რომ მაიამელებმა საკუთარ პრინციპებს უღალატეს, დაცვაზე უარი თქვეს და „საკრამენტოს" მისივე მთავარი იარაღით, უკანმოუხედავი შეტევით დაუპირისპირდნენ და არცთუ ურიგოდ, ერთბაშად ოთხმა მაიამელმა მოიხვეჭა ორი ათეული ქულა.

ზემოაღნიშნულმა ჩხუბმა „ორლანდოც" აზარალა. ჩხუბისთავი ტრეისი მაკგრეიდი (მან ბობი ჯექსონს სახეში ბურთი ესროლა და ამანაც ხურდა დაუბრუნა) ორთამაშიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს და ათი ათასითაც შეუთხელეს ჯიბე. თუმც „ორლანდოს" მაინცდამაინც არ განუცდია ლიდერის არყოფნა, მაკგრეიდის გარეშეც წააქცია უსუსური „კლივლენდი".

ერთი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ჭორი დაირხა, „ვაშინგტონის" პრეზიდენტი მაიკლ ჯორდანი აპირებს, საქმეები გვერდზე გადადოს და ბურთსა და მოედანს დაუბრუნდესო და ამით დამფრთხალმა ვაშინგტონელმა რიჩარდ ჰამილტონმა კარიერაში სარეკორდო, 40 ქულა ჩაუგდო „დეტროიტს". ეს ხუმრობით. ცხადია, ჰამილტონმა ჩვენზე უკეთ იცის, რომ ეს მხოლოდ ჭორია. ჯორდანი სულაც არ აპირებს დაბრუნებას და ჰამილტონისთვის ძირითადში ადგილის წართმევას, რომელიც ამპლუით მსროლელია, ისევე, როგორც უწინ მისი ბოსი იყო. „ვაშინგტონმა" კი მოიგო, ბოლო ოთხ შეხვედრაში მესამედ.

„ფილადელფია" პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი გუნდია, ვინც პლეი ოფში თამაში დაიბევა. 14 მარტს „სიქსერზი" ლიგის უსუსტეს გუნდს, „ჩიკაგოს" სტუმრობდა და მიუხედავად იმისა, რომ ალენ აივერსონი აკლდა, მაინც შეარცხვინა მასპინძელი.

**ირაკლი ფირუზმილი**



მაიამი — საკრამენტო. დან მარლიმ საკრამენტოელი დუგ კრისტი (ბურთით) და მისი გუნდი დააშინა

საქართველოს ჩემპიონატი

15 მარტი. ვერის ბაღი

**შევარდენი 86:96 თსუ**

24:20, 21:21, 21:25, 20:30

შევარდენი: ნ. ნოზაძე (15), კაზანჯიანი (12), გიგაური (20), გელაშვილი (15), სუხიშვილი (18); ალავიძე (6), ნუცუბიძე

თსუ: დ. ბერიშვილი (11), მაისურაძე (21), გ. მარკოიშვილი (19), ახალკაცი (32), სანიკიძე; ხეცურიანი (13), ი. ბერიშვილი

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ზურაბ აბაშიძე

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

15 მარტი. ვერის ბაღი

**აზოტი 106:97 მაკაბი**

19:29, 27:21, 36:17, 24:30

აზოტი: ა. ფლენტი (20), გოგობერიშვილი (21), კოკოლიშვილი (7), ბაბიაშვილი (9), ჯაფარიძე (20); მიქიაშვილი, ბერუაშვილი (13), ჩაჩუა (5), შენგელია (11), ჯიმშელეიშვილი

მაკაბი: წოწელია (21), შანიძე (25), სარიშვილი (23), ტუჯანი (12), დაჩუმი (16); ანდღულაძე

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე

კომისარი: მურმან ქურიძე

# კატათაგვობანა აზოტის ტაქტიკაა



ირაკლი ჯაფარიძე „მაკაბის" რისხვად დაატყდა

**გიორგი ბიკაშვილი**

**„მაკაბისთან"** მატჩში „აზოტმა" ორი უკანახაზელი, მამუკა ტურაშვილი და ზაზა გაბისონია მოისაკლისა. რუსთაველთა მთავარმა მწვრთნელმა ოთარ ხმელიძემ გამთამაშებელ არჩილ ფლენტს რამაზ გოგობერიშვილი შეუწყვილა, ფრთაზე ნუგზარ კოკოლიშვილი გაამწესა, წინა ხაზში კი ზვიად ბაბიაშვილი და ირაკლი ჯაფარიძე დაასაქმა. ამ უკანასკნელთ ამავდროულად მეტოქის ?ერუნული ტანდემის, ტუჯან-დაჩუმის გაუვნებლება დაევალათ.

მაკაბელთა სასტარტო ხუთეული უცვლელი იყო, ამ გუნდის მწვრთნელებმა ტრადიციას არც ამჯერად უღალატეს და მოწინააღმდეგეს კარგად დამუშავებული ზონური დაცვა დაუპირისპირეს.

საწყისი წუთები თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. რუსთაულმა გუნდმა მაინცდამაინც არ მოინდომა და „მაკაბიც" ფავორიტად მიჩნეულ მეტოქეს ტოლ-სწორად ეპაექრებოდა. მოგვიანებით მაკაბელებმა ლიდერობაც იგდეს ხელთ, რაც უმეტესწილად ირაკლი შანიძის დამსახურება იყო. პარტნიორები მას სასროლ პოზიციაში ტოვებდნენ და შანიძეც უმართლებდა თანაგუნდელებს. პირველი ათწუთეულის მიწურულს, „შანოს" ზედიზედ მეოთხე ზუსტი სამქულიანის შემდეგ, „აზოტი" „მაკაბის" 12 ქულითაც ჩამორჩა.

მეორე მეოთხედში ხმელიძემ ჯაფარიძის ნაცვლად კახა შენგელიას უხმო მოედანზე, მაგრამ ამ ცვლილებას რუსთაველთათვის სასიკეთო არაფერი მოუტანია. „მაკაბიმ" კი საკუთარი ძალების უფრო მეტად ირწმუნა და სულ მალე თითქმის უიმედო მდგომარეობაში ჩააგდო „აზოტი" — შანიძის მორიგი სამქულიანის, სარიშვილის გარღვევისა და წოწელიას სიზუსტის წყალობით მეთხუთმეტე წუთზე სხვაობამ 18 ქულას უწია — 42:24.

„აზოტმა" ტაიმის მიწურულსღა იკადრა გამოფხიზლება. კარგად ჩაერთო თამაშში ლევან ჩაჩუა, რომელმაც მოედანზე გამოჩენა ზუსტი სამიანით აღნიშნა. თანაგუნდელს მიხეილ ბერუაშვილმაც მიჰბაძა, რამაც კიდევ უფრო შეასხა ფრთები ვიცე-ჩემპიონს და სასწორიც რუსთაველებისენ გადახარა. შესვენებამდე დარჩენილ წამებში „აზოტმა" სამი უპასუხო პირველი შეტევა განავითარა და „მაკაბის" სოლიდური უპირატესობაც თვალსა და ხელს შუა გაქრა.

მესამე ათწუთეულში ხმელიძის სამწყსომ ბრჭყალები ბოლომდე გამოაჩინა. შეუცვლელად მოთამაშე და, ცხადია, დაღლილ „მაკაბის" ირაკლი ჯაფარიძე დაატყდა რისხვად. „აზოტის" წინახაზელმა მწვრთნელის დავალებით გარედან იწყო თამაში და ზედიზედ ორი სამქულიანით მეტოქეს ანგარიში გაუთანაბრა — 54:54.

ამის მერე რუსთავული გუნდის ლიდერი რამაზ გოგობერიშვილი ამოქმედდა ჩვეულად. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩამორჩენილი „აზოტი" სწორედ მან დააწინაურა, ამას კახა შენგელიას გარღვევა მოჰყვა, რასაც ჯაფარიძის სიზუსტეც დაერთო და ვიცე-ჩემპიონი 8 ქულით გაექცა მეტოქეს.

იშტაზე მოსული „აზოტი" ბოლო მეოთხედის დაწყებას 15-ქულიანი უპირატესობით შეხვდა, რამდენიმე წუთში კი გოგობერიშვილმა შეხვედრას აზრიც დაუკარგა — მისი სამქულიანისა და გარღვევის შემდეგ სხვაობამ 20 ქულას მიაღწია, რამაც ხმელიძეს საშუალება მისცა, მატჩი სათადარიგო მოთამაშეებით ჩაემთავრებინა.

„შევარდენი" — თსუ-ს შეხვედრაში სტუდენტებს უეჭველად უნდა მოეგოთ, რათა ამ გუნდის ოთხეულში მოსახვედრად ბრძოლას აზრი შერჩენოდა. უნივერსიტეტელთა წისქვილზე წყალს ისიც ასხამდა, რომ საავიაციოქარხნელებს ძირითადი ხუთეულის ორი კალათბურთელი, გიორგი ჩხეიძე და ლევან ქევხიშვილი აკლდათ. თავის მხრივ თსუ-მ წამყვანი ცენტრი, შოთა მაჭარაძე ვერ დაიხმარა, თუმც ამას მორიგი ორი ქულის მოპოვებაში ხელი არ შეუშლია.

მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში ვასილ გოგუას გაწვრთნილი „შევარდენი" უკეთ გამოიყურებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ გუნდს საამმატჩოდ არანაირი მოტივაცია არ გააჩნდა, მეტოქეს ტოლს არ უდებდა და ტაიმი თავის სასარგებლოდ დაასრულა. მერე და მერე თსუ-მ გამოასწორა თამაში და გაუთანაბრა კიდეც მოწინააღმდეგეს, უმთავრესი მოვლენები კი მეოთხე ათწუთეულის შუაგულში განვითარდა.

თსუ-მ სწრაფი პირველი შეტევებით იხეირა. გიორგი მარკოიშვილი, შიო ხეცურიანი და გულივერ ახალკაცი დაუნდობლად აწიოკებდნენ მეტოქეს და სირენამდე სამიოდ წუთით ადრე სტუდენტები 9 ქულით გაიჭრნენ წინ. მატჩს კი ეფექტური ჩატენვით ახალკაცმა დაუსვა წერტილი.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აზოტი | 25 | 20 | 5 | 2128:1862 | 45 |
| ბასკო | 21 | 21 | 0 | 2110:1547 | 42 |
| სტუ-ჯეოსელი | 23 | 16 | 7 | 2142:1988 | 39 |
| მაკაბი | 23 | 12 | 11 | 2032:1936 | 35 |
| თსუ | 25 | 10 | 15 | 2154:2286 | 35 |
| შევარდენი | 25 | 7 | 18 | 1882:2050 | 31 |

შევარდენს დაკლებული აქვს 1 ქულა

მასტერსის სერია
ინდიან უელსი (აშშ)
ჰარდი. საპრიზო 5 მილიონი $

# დებების შოუ

**ქალები**

**მეოთხედფინალი: სერენა უილიამსი (7, აშშ) — ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) 6:1, 6:2; ვინუს უილიამსი (3, აშშ) — ელენა დემენტიევა (8, რუსეთი) 6:0, 6:3**

ასეთი მატჩების შემდეგ, ალბათ, გაკვირვებული ან აღფრთოვანებული შემაზილი უნდა აღმოგხდეს, მაგალითად; „აი, ეს მესმის“ ან „დაუჯერებელია“. მართლაც, მეოთხედფინალში დები უილიამსების თამაშს სხვაგვარ კომენტარს ვერ გაუკეთებ — პოტენციურად უმძიმესი გამოცდა ორივემ ცალკარა მატჩად და ერთი ჩოგბურთელის შოუდ აქცია.

ყველაზე მეტად ამით მსოფლიოს მეორე ჩოგანი ლინდსი დევენპორტი დაზარალდა — ჯანიანი ამერიკელი უმცროს უილიამსთან შეხვედრაში ბავშვივით უმწეოდ გამოიყურებოდა. სერენას მძლავრ მოწოდებებსა და ტყვიასავით ფორჰენდებზე დევენპორტი ხშირად რეაგირებასაც ვერ ასწრებდა, ბურთები ბადის მეორე მხრიდან იმდენად სწრაფად ბრუნდებოდა უკან, ლინდსის ხელის მოქნევის დროც არ რჩებოდა.

მეტოქეები ხეირიანად გახურებულნიც არ იყვნენ, რომ პირველი სეტი უკვე დასასრულს მიუახლოვდა, სერენას ფანტასტიკური თამაშის შემყურე დევენპორტი კი, თავის მხრივ, სრულ პანიკაში ჩავარდა და შეცდომა შეცდომას მიაყოლა. მეორე ხელში ანგარიშის დასველებაც კი ლინდსიმ მხოლოდ 0:4-ზე მოახერხა და გამარჯვების ნიშნად ხელები მაღლა ასწია. მთელი მატჩი 54 წუთს გაგრძელდა.

„არა მგონია, ასე ცუდად ოდესმე მეთამაშოს, მაგრამ ამავე დროს სერენასაც არ უნდა დავუკარგო დამსახურება, ის არაჩვეულებრივად ირჯებოდა. ყველაფერი ისე სწრაფად წარიმართა, ვერც კი გავიაზრე. კიდევ კარგი, რამდენიმე გეიმი მაინც მოვიგე. სიმართლე გითხრათ, ამჟამად ცოტათი შოკში ვარ, ჯერაც ვერ მოვსულვარ გონზე“ — განაცხადა დევენპორტმა მოგვიანებით.

სერენა, ბუნებრივია, სიხარულით მეცხრე ცაზე იყო — მან ხომ შარშან აშშ-ის ღია პირველობის მეოთხედფინალში წაგებისთვის შური იძია: „თითქმის სრულყოფილად ვითამაშე. ჩვეულებრივ ასე ცოტა შეცდომას არ ვუშვებ, ყველა გაკვირვებული დარჩა, მაგრამ ამავე დროს ეს ბევრი ვარჯიშისა და მძიმე შრომის შედეგია. თქვენ ახალი სერენა იხილეთ. ისე, ცოტა პირველი მოწოდების დაბალი პროცენტით დავრჩი უკმაყოფილო. წარმოიდგინეთ, მაგასაც რომ გამოვასწორებ, ჩემი დამარცხება რა ძნელი იქნება“.



სერენა უილიამსმა ლინდსი დევენპორტზე შური იძია

ნახევარფინალში ამას სერენას უფროსი და, საუკეთესო მეგობარი და სპარინგ-პარტნიორი ვინუსი შეეცდება. უიმბლდონისა და სიდნეის ოლიმპიადის ჩემპიონი ამომავალ ვარსკვლავ ელენა დემენტიევასთან შეხვედრაში უმცროს დასავით შთამბეჭდავად არ გამოიყურებოდა, მაგრამ ამან ამბიციური რუსის განადგურებაში ხელი სულაც არ შეუშალა.

ვინუსს ცოტათი მეორე ხელის შუაში გაუჭირდა, როდესაც ერთ გეიმში ერთბაშად 6 ბრეიკ-პოინტის გადარჩენა მოუხდა, თუმცა ამის შემდეგ მეტოქეს შანსი აღარ დაუტოვა.

„ახლა სერენასთან მატჩისთვის კიდევ უფრო უკეთ უნდა მოვემზადო, ის საოცრად რთული მეტოქეა. თუ მთელი ძალით ვერ ვითამაშებ ან ყურადღება გამეფანტება, შედეგი შეიძლება ჩემთვის საშინელი გამოდგეს“ — აღნიშნა შავმა ვენერამ, რომელიც კორტსგარეთ უმცროსი დის კერპად რჩება.

დემენტიევამ, რომელიც ორიოდ დღის წინ იქადნებოდა, უილიამსს დავამარცხებო, გული იმითლა იჯერა, რომ დების მომავალ შეხვედრას ჩაწყობილი უწოდა: „ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, მათი მამა რიჩარდი რას ფიქრობს. ჩემი აზრით, სწორედ ის გადაწყვეტს, ხვალ ვინ უნდა მოიგოს. მახსოვს, კი ბისკეინის ტურნირის ფინალში რომ ითამაშეს ერთმანეთთან, მათი ცქერა უბრალოდ, სასაცილო იყო, აშკარად წინასწარ იყვნენ მორიგებულნი“ (მაშინ ვინუსმა იმარჯვა).

ისე, დემენტიევას გარდა ამგვარი ვარაუდი ადრე მსოფლიოს პირველ ჩოგან მარტინა ჰინგისსა და ლინდსი დევენპორტსაც გამოუთქვამთ.

**ვაჟები**

ვადაზე ადრე საქმის დასრულებად მიჩნევას ხეირი არავისთვის დაუყრია. ამაში მსოფლიოს პირველი ჩოგანი გუსტავო კუერტენი ინდიან უელსის ტურნირის მეორე წრეში პირადად დარწმუნდა. 19 წლის მასპინძელ ტეილორ დენტს „გუგა“ 6:4, 5:1-ს უგებდა, როდესაც წინდაწინ საღამოს გეგმები დააწყო, ჰოდა, საქმეც უკან-უკან წაუვიდა.

70-იანი წლების ავსტრალიელი ვარსკვლავის, ფილ დენტის ზორბა ვაჟიშვილმა, რომელიც აშშ-ის სახელით ასპარეზობს, მეტოქის შეცდომებით შესანიშნავად ისარგებლა, ჯერ ანგარიშში სხვაობა შეამცირა, 4:5-ზე ზედიზედ სამი მატჩ-პოინტიც გადაარჩინა და ტაი-ბრეიკზე იმარჯვა კიდეც.

კუერტენისთვის საბედნიეროდ, გადამწყვეტ ხელში ზურგმტკივანი დენტი მრისხანე მოწოდებამ დაალალატა და მომდევნო წრის საგზური მაინც ბრაზილიელს დარჩა — 6:4, 6:7(4:7), 6:2. „აი, რა შეიძლება მოჰყვეს ცოტა ხნით ყურადღების გაფანტვას. როდესაც მატჩ-პოინტებს მივატანე, ვიფიქრე, უკვე მოვიგე-მეთქი და მწარედაც დავისაჯე. შევეცდები, მსგავსი შეცდომა მომავალში აღარ გავიმეორო“.

სეზონის პირველ მასტერსის სერიის ტურნირზე ჯერჯერობით ბედს არ უჩივის ხორვატი გორან ივანიშევიჩი. უიმბლდონის სამგზის ფინალისტმა, რომელსაც ორგანიზატორებმა „უაილდ ქარდი“ გამოუყვეს, მეორე წრეში ტომას ენკვისტი (9) იმსხვერპლა 7:6(7:1), 6:3 და პირველად ალაპარაკდა სეზონის ბოლოს სპორტიდან წასვლის შესახებ.

„ჯერ არ გადამიწყვეტია, რას გავაკეთებ. ვნახოთ, წლეულს როგორ ვითამაშებ. რა თქმა უნდა, გული დამწყდება, თუ კარიერას დიდი სლემის ტიტულის გარეშე დავასრულებ, მაგრამ რას იზამ, საამაყო მაინც მაქვს — მსოფლიოს მეორე ჩოგანი ვიყავი, უამრავი ტურნირი მოვიგე, ყველა დავამარცხე, ყველაზე მეტი ჩოგანი გავტეხე და ჯარიმებში იმაზე მეტი ფული გადავიხადე, ვიდრე ზოგიერთს მთლიანად მოუხვეჭია“.

გორანმა პრესკონფერენციაზე ჩოგნის მტვრევის ტექნიკაზეც საკმაოდ ისაუბრა: „ზოგჯერ ტელევიზორში ვუყურებ, მოთამაშეები ჩოგნებს პედერასტებივით რომ ისვრიან, თითქოს ეშინიათ, ხელიდან არ გაუშვან. თუ გინდა, ბრაზი გადმოანთხიო, ამას მაჯა უნდა დაახმარო და მაგიანად დაახეთქო. მე ძალიან მომწონს მარატ საფინი, ის ამ საქმეში ჩემი ღირსეული მემკვიდრე იქნება. მარატი ჩოგანს ემოციების თანხლებით ისვრის, სწორედ ისე, როგორცაა საჭირო“.

**მეორე წრე: პიტ სამპრასი (3, აშშ) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:3, 3:6, 6:0; ანდრე აგასი (4, აშშ) — ტომი ჰაასი (გერმანია) 7:6(7:5), 6:3; ლეიტონ ჰიუიტი (6, ავსტრალია) — პარადორნ სრიჩაპანი (ტაილანდი) 6:3, 6:3; ევგენი კაფელნიკოვი (7, რუსეთი) — ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) 6:3, 7:6(8:6); ალექს კორეჩა (8, ესპანეთი) — სხენგ შალკენი (ჰოლანდია) 6:4, 7:6(7:2); ტიმ ჰენმანი (10, ინგლისი) — სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) 6:3, 6:3; პატრიკ რაფტერი (11, ავსტრალია) — არნო დი პასკუალე (საფრანგეთი) 6:2, 6:2; არნო კლემანი (13, საფრანგეთი) — ჯანლუკა პოცი (იტალია) 6:3, 6:4; სებასტიან გროჟანი (16, საფრანგეთი) — კარლოს მოია (ესპანეთი) 6:3, 4:6, 7:6(7:3); ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:3, 6:2**

**ავთანდილ სვანიძე**



NHL. რეგულარული ჩემპიონატი

14 მარტი

**კაროლინა 3:6 მონრეალი (0:1 3:2 0:3)**
0:1 ზედნიკი 1(17), 0:2 სავაჟი 21(20), 1:2 ბატალია 23(11), 2:2 ტანაბე 27(4), 2:3 დაიპიუსი 28(5), 3:3 კაპანენი 30(15), 3:4 პეტროვი 44(12), 3:5 პეტროვი 49(13), 3:6 დარბი 59(9)

**ოტავა 8:1 ატლანტა (3:0 1:1 4:0)**
1:0 მაკიჩერნი 3(29), 2:0 ჰავლატი 11(15), 3:0 ბონკი 16(23), 3:1 დომენიჩელი 28(12), 4:1 ჰავლატი 38(16), 5:1 ალფრედსონი 45(20), 6:1 ჰავლატი 47(17), 7:1 დაკელი 48(10), 8:1 სილინჯერი 52(14)

**პიტსბურგი 1:3 აილენდერსი (0:1 1:0 0:2)**
0:1 კონოლი 14(9), 1:1 ლემიე 29(28), 1:2 სკაჩარდი 43(16), 1:3 კეირნსი 60(1)

**ბუფალო 6:3 რეინჯერსი (1:1 3:0 2:2)**
1:0 ჰაინცი 6(23), 1:1 დვორჟაკი 10(23), 2:1 ანდრეიჩუკი 24(17), 3:1 დიუმონი 31(22), 4:1 გრეტონი 39(16), 4:2 გრონშეკი 51(6), 5:2 დიუმონი 57(23), 5:3 კ. იუნსონი 59(4), 6:3 ვარადა 60(10)

**ფინიქსი 2:3 ნიუ ჯერსი (0:1 2:1 0:1)**
0:1 მოგილნი 17(34), 1:1 ბრერი 25(10), 1:2 სიკორა 29(30), 2:2 ილონენი 32(7), 2:3 გომესი 47(12)

**კოლუმბუსი 3:0 კალგარი (1:0 1:0 1:0)**
1:0 ტიმანდერი 3(2), 2:0 რაიტი 28(11), 3:0 პიუარდი 50(7)

**ფლორიდა 2:2 ედმონტონი (0:0 1:0 1:2 0:0)**
1:0 პ. ბურე 35(49), 1:1 უეიტი 45(11), 2:1 ნილსონი 53(12), 2:2 უეიტი 60(20)

**ტორონტო 3:2 ანაჰაიმი (0:1 1:1 2:0)**
0:1 კარია 13(26), 0:2 კარია 38(27), 1:2 რობერტსი 40(26), 2:2 პერო 49(21), 3:2 კაბერლე 59(6)

**მინესოტა 0:1 სენტ ლუისი (0:0 0:0 0:0 0:1)**
0:1 იანგი 64(37)

**სან ხოსე 1:4 ლოს ანჯელესი (1:1 0:1 0:2)**
0:1 რობიტაილი 13(34), 1:1 სუტერი 18(10), 1:2 ბელანჟე 24(9), 1:3 სმოლინსკი 51(23), 1:4 ლაპერიე 59(8)

# ლინდროსისთვის სამუშაო არ არის

**14 მარტს** ერიკ ლინდროსმა მერვედ მიიღო ტვინის შერყევა. უეინ გრეცკისა და მარიო ლემიეს მემკვიდრედ შერაცხულ მოთამაშეს ხშირმა ტრავმებმა და კიდევ სხვა მიზეზებმა შეუშალა ხელი, უმაღლეს დონეზე ეთამაშა. ამჯერად სერიოზული არაფერია, მაგრამ დედლაინზე რომ უკლუბოდ დარჩა, ეს არანაკლები კატასტროფაა. ბოლო დღეებში მან სენტ ლუისში ამოყო თავი. იქაურ კლუბს თითქმის დააინტერესა იგი,გაუჩნდა მისი ინტერესი, რამდენჯერმე ივარჯიშა და ტესტირებაც გაიარა, მაგრამ, ეტყობა, „ბლუზმენთა“ მესვეურები მისმა ჯანმრთელობის მდგომარეობამ არ დააკმაყოფილა და გარიგების მოლოდინში მყოფი ფორვარდი ხაზგარეშე დატოვეს.

ერიკს ახლა ორი გზა დარჩა: ან ცოდვები მოინანიოს (გუნდის ხელმძღვანელებთან კონფლიქტი და მომდევნო ჯიუტობა) და ფილადელფიის მენეჯერ ბობ კლარკს ბოდიში მოუხადოს, ან 28 აპრილს გერმანიაში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის დაიწყოს მზადება. თუმც ისიც საკითხავია, სურს კი უფროსობას მისი გუნდში მიბრუნება?

„ერიკს მხოლოდ იმით შეუძლია თავი ინუგეშოს, რომ ბოლონდროინდელ ციებ-ცხელებას და ნერვიულობას ბოლო მოეღო, ყველაფერი ჩაწყნარდა. ახლა სულს მოითქვამს და მომავალ გეგმებზე იფიქრებს“ — ასე გაამხნევა ლინდროსი თავისმა ადვოკატმა გორდ კირკმა. ასე თუ ისე, ლინდროსს დედლაინზე ხელი მოეცარა. სენტ ლუისმა კი კარგი გარიგება განახორციელა და ფინიქსის კაპიტანი კეიტ ტკაჩუკი შეიმატა. წლების განმავლობაში ფინიქსის ლიდერი კეიტი ნამდვილი კაპიტანი და მებრძოლია, ხოლო კარის სიახლოვესა და კუთხეებში ბრძოლისას ერთეულები თუ შეედრებიან ლიგაში. ფინიქსის ერთ-ერთმა მესვეურმა, უეინ გრეცკიმ ამას წინათ განაცხადა, რომ გუნდი მას 8,3 მილიონ დოლარს ველარ გადაუხდის, ამიტომ ტკაჩუკის „კოიოტებში“ თამაშის დღეები დათვლილი იყო და ასეც მოხდა. „კეიტი ერთ-ერთი იმ მოთამაშეთაგანია, რომელთაც შეუძლიათ, მატჩის ბედი გადაწყვიტონ. იგი მარჯვეა ყველანაირ სიტუაციაში. გულახდილად გეტყვით, ასეთი ფორვარდი აქამდე არ გვყოლია“ — სენტლუისელთა მენეჯერმა ლარი პლომ ქათინაურები არ დაიშურა. 28 წლის ტკაჩუკს სადღეისოდ 323 გოლი, 300 პასი და 1508 საჯარიმო წუთი აქვს (ჩხუბიც ეხერხება), წლეულსაც ფინიქსის საუკეთესო ბომბარდირი იყო 71 (29 გოლი, 42 პასი) ქულით. მის ნაცვლად ფინიქსმა სამი ახალგაზრდა მოთამაშე, მათ შორის, ორი სლოვაკი — მიხალ ჰანდზუსი და ლადისლაუ ნაგი მიიღო. გარდა ტკაჩუკისა, სენტ ლუისმა კალგარის ერთ-ერთი ლიდერი კორი სტილმანიც მიიწვია და, შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მეტად ისარგებლა დედლაინით. ახლა იგი, გვარიანად გამაგრებული, დასავლეთის მთავარ ფავორიტად იქცა კოლორადოსთან ერთად.

სხვა სადედლაინო მოვლენებიდან ვაშინგტონისა და ბუფალოს გარიგებას გამოვყოფ. პირველმა იმით ისარგებლა, რომ მონრეალი ზედიზე მესა-



ერიკ ლინდროსი კვლავ უგუნდოდ დარჩა

მედ დარჩა პლეი ოფს მიღმა და ოდესღაც სახელოვან კლუბთან სარფიანი ტრეიდი განახორციელა. ახალგაზრდა ფორვარდების — რიხარდ ზედნიკისა და იან ბულისის ნაცვლად დედაქალაქელებმა გამოცდილი ფორვარდი ტრევორ ლინდენი და ნიჭიერი ლიტველი დაინიუს ზუბრუსი შეიმატეს. უფრო ლინდენს გამოვყოფდით. 30 წლის ფორვარდს დიდი საპლეიოფო გამოცდილება აქვს. ნებისმიერ გუნდში (მანამდე ვანკუვერის კაპიტანი გახლდათ) ერთ-ერთ სულისჩამდგმელად და პლეიმეიკური ოსტატობის მქონე ცენტრად ითვლება.

ბუფალომ კი გუნდის ყველაზე სუსტი რგოლი, შეტევის ხაზი გააძლიერა. აღსანიშნავია, რომ მისი ორივე ახალწვეული თავ-თავიანთ გუნდებში ბომბარდირები იყვნენ. დონალდ ოდეტი ადრეც თამაშობდა ბუფალოში, მაგრამ მხოლოდ წლეულს, ატლანტაში გამოიჩინა თავი, როგორც მეგოლემ, ამიტომ მისი მეორედ მოსვლა „ხმლებს“ დიდ სიკეთეს მოუტანს. არც სტივ ჰაინცი დაიკარგება ახალ გუნდში. ის ხომ კოლუმბუსში მეორე იყო შედეგიანობით (12 გოლი და 42 ქულა). აი, ჯიუტი მაიკ პეკი კი უსაქმოდ დარჩა ლინდროსის დარად. იგი, ლიგაში ერთ-ერთი მარჯვე მცველი, ახალ კონტრაქტზე ედავებოდა კლუბის ხელმძღვანელებს და ბოლო წუთამდე არ დაუკარგავს სხვა გუნდში გადასვლის იმედი, მაგრამ ხელცარიელი დარჩა. თუ ალექსეი იაშინის შარშანდელ საკონტრაქტო კონფლიქტსაც გავიხსენებთ (ბოლოს ფორვარდმა დათმო), შეიძლება ითქვას, რომ გუნდების მესვეურნი დიდ პრინციპულობას იჩენენ, თავნება ჰოკეისტების ანკესს აღარ ეგებიან. ეს დედლაინიც ამის დასტურია.

საბოლოო ჯამში დედლაინზე 17 გაცვლა მოხდა, რომელშიც 31 მოთამაშემ მიიღო მონაწილეობა (შარშან 12 და 29 შესაბამისად), თუმც ვერ გეტყვით, რომ წლეულს დედლაინი განსაკუთრებით უხვმოვლენიანი გამოდგა. გარდა ლინდროსის და პეკას უგუნდოდ დარჩენისა, პიტსბურგის უმოქმედობაც გვაოცებს. სწორედ მარიო ლემიესაგან ელოდნენ რაიმე ხმაურიან გაცვლას. ერთხანს იაგრის სახელიც ამოტივტივდა სადედლაინო ჭორებში, მაგრამ საბოლოოდ „პინგვინები“ იმასაც კი არ შეეცადნენ, რომ მეკარის პოზიცია გაეძლიერებინათ. არც უხეშობით ცნობილ მარტი მაკსორლის გამოუჩნდა მყიდველი. ერთწლიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ ქვედა ლიგაში დარჩენილი მარტი ოტავასგან ელოდა წინადადებას, მაგრამ... დანარჩენმა ფავორიტებმა მანამდე გადადგეს გადამწყვეტი ნაბიჯები და ბოლო დღეს მათგან აქტიურობას აღარავინ ელოდა.

მარკ მესიეს კი, მიუხედავად იმისა, რომ მისმა რეინჯერსმა ბუფალოსთან წააგო, მაინც გამოუვიდა ზეიმი, თანაც ორმაგი, თავის 1549-ე ნჰლ-ურ თამაშში, რითაც იგი ლიგის ისტორიაში მეოთხე ადგილზე მყოფ ალექს დელვეკიოს გაუტოლდა, მარკმა ერთი პასი მითვალა და პირადი მონაგარი 1771 (649 ქულა, 1122 პასი) ქულამდე გაზარდა. ამ მიღწევით კი სახელოვანი ჰოკეისტი კიდევ ერთ ლეგენდას, მარსელ დიონს წამოეწია და ყველა დროის ბომბარდირთა სიის მესამე ადგილი გაიყო.

**სამველ ლარიბიანი**

**ბომბარდირები:** იაგრი (პიტსბურგი) 102 (42+60), საკიკი (კოლორადო) 197 (41+56), კოვალიოვი (პიტსბურგი) 84 (40+44), ელისონი (ბოსტონი) 80 (29+51), სტრაკა (პიტსბურგი) 80 (24+56), პ. ბურე (ფლორიდა) 79 (49+30), ფორსბერგი (კოლორადო) 79 (27+52), რობიტაილი 77 (37+55), ოუთსი (ვაშინგტონი) 75 (13+62), ფლერი (რეინჯერსი) 74 (30+44), ბონდრა (ვაშინგტონი) და ნესლუნდი (ვანკუვერი) 73 (41+32)

# სარბიელი


## სპორტული ლატარია კროკო

### გერმანია. ბუნდესლიგა. 26-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 16 მარტი | | | |
| 23.15 | 001 | კიოლნი-ვოლფსბურგი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| | | 17 მარტი | | | |
| 18.30 | 002 | დორტმუნდი-ლევერკუზენი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 18.30 | 003 | შალკე-ფრაიბურგი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 18.30 | 004 | ჰანზა-ბოხუმი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 18.30 | 005 | კოტბუსი-ჰერტა | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.30 | 006 | აინტრახტი-ჰამბურგი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 23.15 | 007 | მიუნხენი-ბაიერნი | 4,0 | 3,0 | 1,85 |
| | | 18 მარტი | | | |
| 20.30 | 008 | ვერდერი-კაიზერსლაუტერნი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 20.30 | 009 | უნტერჰახინგი-შტუტგარტი | 2,1 | 3,0 | 3,3 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. 26-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 16 მარტი | | | |
| 22.00 | 010 | ალემანია-ზაარბრიუკენი | 1,85 | 3,0 | 4,0 |
| 22.00 | 011 | კიკერსი-ჰანოვერი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| | | 17 მარტი | | | |
| 18.00 | 012 | ნიურნბერგი-ფიურტი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 18.00 | 013 | ობერჰაუზენი-ულმი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| | | 18 მარტი | | | |
| 18.00 | 014 | ალენი-მიონხენგლადბახი | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 18.00 | 015 | როიტლინგენი-დუისბურგი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 18.00 | 016 | მაინცი-ოსნაბრიუკი | 1,7 | 3,0 | 4,4 |
| 18.00 | 017 | ზანქტ პაული-ქემნიცი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 018 | ზანქტ პაული-ქემნიცი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | | 19 მარტი | | | |
| 23.15 | 019 | ვალდჰოფი-არმინია | 1,55 | 3,4 | 5,6 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. 30-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 17 მარტი | | | |
| 19.00 | 020 | ბრედფორდი-სიტი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 021 | ჩარლტონი-ლიდსი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 19.00 | 022 | ჩელსი-სანდერლენდი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 19.00 | 023 | მანჩესტერი-ლესტერი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 024 | მანჩესტერი-ლესტერი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 19.00 | 025 | ნიუკასლი-მიდლსბრო | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.00 | 026 | ტოტენჰემი-ქოვენთრი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 027 | ვესტ ჰემი-იფსვიჩი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 19.00 | 028 | საუთჰემპტონი-ევერტონი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| | | 18 მარტი | | | |
| 19.00 | 029 | ლივერპული-დერბი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 030 | ლივერპული-დერბი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 20.00 | 031 | ასტონ ვილა-არსენალი | 2,8 | 2,9 | 2,3 |

### ინგლისი. I დივიზიონი. 38-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 17 მარტი | | | |
| 19.00 | 032 | ბლექბერნი-უიმბლდონი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 033 | ქრიუ-პორტსმუთი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 19.00 | 034 | კრისტალ პალასი-ფულემი | 4,0 | 3,1 | 1,8 |
| 19.00 | 035 | ჯილინგემი-უოტფორდი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 036 | ჰადერსფილდი-შეფილდი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 037 | ნორვიჩი-პრესტონი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 19.00 | 038 | ნოტინგემი-ბოლტონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 039 | ქუინზ პარკი-გრიმსბი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 19.00 | 040 | უენსდი-ბარნლი | 2,1 | 3,1 | 3,0 |
| 19.00 | 041 | სტოკპორტი-ბირმინგემი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 19.00 | 042 | ტრანმერი-ბარნსლი | 1,9 | 3,1 | 3,4 |
| | | 18 მარტი | | | |
| 17.00 | 043 | ვულვერჰემპტონი-ვესტ ბრომვიჩი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

### ინგლისი. II დივიზიონი. 38-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 16 მარტი | | | |
| 23.45 | 044 | ბრისტოლი-მილუოლი | 2,5 | 3,0 | 2,4 |
| 23.45 | 045 | კოლჩესტერი-ბრენტფორდი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| | | 17 მარტი | | | |
| 19.00 | 046 | ბერი-ნოთსი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 047 | ლუტონი-ოქსფორდი | 1,3 | 4,0 | 6,5 |
| 19.00 | 048 | ნორთჰემპტონი-პორტ ვეილი | 1,85 | 3,3 | 3,0 |
| 19.00 | 049 | პიტერბრო-უოლსოლი | 2,5 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 050 | როტერჰემი-როვერსი | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 051 | სტოკი-კემბრიჯი | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 052 | სუინდონი-სუონსი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 19.00 | 053 | უიგანი-ბორნმუთი | 1,6 | 3,3 | 5,0 |
| 19.00 | 054 | რექსემი-რედინგი | 2,5 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 055 | უიკომბი-ოლდემი | 1,9 | 2,9 | 4,0 |

### ინგლისი. III დივიზიონი. 38-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 17 მარტი | | | |
| 19.00 | 056 | ბარნეტი-საუთენდი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 19.00 | 057 | ბლეკპული-მენსფილდი | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 058 | კარდიფი-კარლაილი | 1,3 | 3,8 | 7,0 |
| 19.00 | 059 | ჩელტენემი-ჰალიფაქსი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 19.00 | 060 | ჩესტერფილდი-როჩდეილი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 19.00 | 061 | ჰარტლპული-ბრაიტონი | 2,3 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 062 | ჰალი-ექსეტერი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 19.00 | 063 | კიდერმინსტერი-დარლინგტონი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 19.00 | 064 | სკანთორპი-პლიმუთი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 19.00 | 065 | შრიუსბერი-ლეიტონი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 066 | ტორკი-მაკლსფილდი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 19.00 | 067 | იორკი-ლინკოლნი | 1,9 | 3,2 | 3,3 |

### საფრანგეთი. 1-ლი დივიზიონი. 29-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 17 მარტი | | | |
| 20.15 | 068 | ტულუზი-ლილი | 2,5 | 3,0 | 2,4 |
| 23.00 | 069 | სენტ ეტიენი-ბასტია | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 23.00 | 070 | ოსერი-ლიონი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 23.00 | 071 | ლანსი-მეცი | 1,75 | 2,9 | 4,7 |
| 23.00 | 072 | გენგამი-რენი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 23.00 | 073 | ნანტი-სედანი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 23.00 | 074 | მარსელი-სტრასბური | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 23.00 | 075 | მონაკო-ტრუა | 1,75 | 2,9 | 4,7 |
| | | 18 მარტი | | | |
| 23.45 | 076 | ბორდო-პარი სენ ჟერმენი | 1,65 | 3,2 | 5,6 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. 31-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 16 მარტი | | | |
| 21.30 | 077 | ნანსი-აიაჩო | 1,45 | 3,2 | 7,5 |
| 23.00 | 078 | ლორიანი-მონპელიე | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| | | 17 მარტი | | | |
| 23.00 | 079 | გენიონი-ანჟე | 1,35 | 3,6 | 6,5 |
| 23.00 | 080 | ბოვე-კაენი | 2,0 | 2,7 | 4,0 |
| 23.00 | 081 | ლავალი-კანი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 082 | ლავალი-კანი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 23.00 | 083 | ნიცა-შატორუ | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 23.00 | 084 | ლე ავრი-ლე მანი | 1,7 | 2,7 | 5,0 |
| 23.00 | 085 | კრეტეი-მარტიგი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 23.00 | 086 | ნიმი-ნიორი | 2,2 | 2,8 | 3,3 |
| 23.00 | 087 | ვასკეალი-სოშო | 2,7 | 2,8 | 2,4 |

### იტალია. სერია A. 23-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 18 მარტი | | | |
| 18.00 | 088 | ფიორენტინა-ბოლონია | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 18.00 | 089 | ლეჩე-ინტერი | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 18.00 | 090 | მილანი-ბარი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 091 | მილანი-ბარი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 18.00 | 092 | უდინეზე-პარმა | 2,5 | 2,8 | 2,7 |
| 18.00 | 093 | ვერონა-ვიჩენცა | 1,9 | 2,8 | 4,2 |
| 20.00 | 094 | ნაპოლი-პერუჯა | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 23.30 | 095 | ლაციო-იუვენტუსი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 23.30 | 096 | რეჯინა-რომა | 4,4 | 3,0 | 1,75 |
| | | 19 მარტი | | | |
| 23.30 | 097 | ბრეშა-ატალანტა (ნეიტრ.) | 2,5 | 2,8 | 2,7 |

### იტალია. სერია B. 27-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 16 მარტი | | | |
| 23.30 | 098 | ტრევიზო-ვენეცია | 3,2 | 2,7 | 2,3 |
| | | 18 მარტი | | | |
| 18.00 | 099 | ანკონა-კიევო | 2,3 | 2,6 | 3,3 |
| 18.00 | 100 | კალიარი-სამპდორია | 2,3 | 2,5 | 3,4 |
| 18.00 | 101 | ჩიტადელა-მონცა | 1,65 | 2,9 | 6,0 |
| 18.00 | 102 | კროტონე-პისტოიეზე | 1,7 | 2,8 | 5,6 |
| 18.00 | 103 | ჯენოა-პესკარა | 1,75 | 2,6 | 5,6 |
| 18.00 | 104 | რავენა-ემპოლი | 2,3 | 2,5 | 3,4 |
| 18.00 | 105 | სალერნიტანა-ტერნანა | 2,2 | 2,5 | 3,4 |
| 18.00 | 106 | ტორინო-პიაჩენცა | 1,85 | 2,6 | 4,7 |
| | | 19 მარტი | | | |
| 23.30 | 107 | სიენა-კოზენცა | 2,2 | 2,5 | 3,6 |

### იტალია. სერია C1/a. 27-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 18 მარტი | | | |
| 18.00 | 108 | ალბინოლეფე-ლუმეცანე | 2,1 | 2,4 | 4,0 |
| 18.00 | 109 | ალესანდრია-სპეცია | 2,7 | 2,6 | 2,7 |
| 18.00 | 110 | ალძანო-სპალ | 2,4 | 2,5 | 3,2 |
| 18.00 | 111 | კარარეზე-ბრეშელო | 1,8 | 2,5 | 5,0 |
| 18.00 | 112 | კომო-ჩეზენა | 1,75 | 2,5 | 5,6 |
| 18.00 | 113 | ლივორნო-არეცო | 1,9 | 2,5 | 5,0 |
| 18.00 | 114 | ლუკეზე-ლეკო | 1,8 | 2,5 | 5,3 |
| 18.00 | 115 | რეჯანა-მოდენა | 3,0 | 2,5 | 2,4 |
| 18.00 | 116 | ვარეზე-პიზა | 2,4 | 2,5 | 3,0 |

### იტალია. სერია C1/b. 27-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 18 მარტი | | | |
| 18.00 | 117 | ასკოლი-აველინო | 1,8 | 2,5 | 5,0 |
| 18.00 | 118 | ბენევენტო-ჯულიანოვა | 1,9 | 2,5 | 5,0 |
| 18.00 | 119 | კატანია-ატლეტიკო | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 18.00 | 120 | ფანდრია-პეზარო | 2,2 | 2,5 | 3,4 |
| 18.00 | 121 | მესინა-დი სანგრო | 1,75 | 2,6 | 5,3 |
| 18.00 | 122 | ნოჩერინა-ლოდიჯანი | 1,75 | 2,6 | [illegible] |
| 18.00 | 123 | პალერმო-აკილა | 1,6 | 2,8 | [illegible] |
| 18.00 | 124 | სავოია-ფერმანა | 1,55 | 3,1 | 7,0 |
| 18.00 | 125 | ვიტერბეზე-ტორესი | 2,4 | 2,5 | 3,0 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. 27-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 17 მარტი | | | |
| 24.00 | 126 | ლას პალმასი-დეპორტივო | 3,1 | 3,0 | 2,2 |
| | | 18 მარტი | | | |
| 20.00 | 127 | სოსიედადი-ალავესი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 20.00 | 128 | რაიო ვალეკანო-ოვიედო | 1,55 | 3,3 | 6,0 |
| 20.00 | 129 | ესპანიოლი-ვალიადოლიდი | 1,85 | 2,9 | 4,2 |
| 20.00 | 130 | ოსასუნა-მალაგა | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 20.00 | 131 | სარაგოსა-ბილბაო | 1,95 | 2,9 | 3,8 |
| 20.00 | 132 | ნუმანსია-ბარსელონა | 3,6 | 3,1 | 1,9 |
| 20.00 | 133 | მალიორკა-რეალი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 20.00 | 134 | ვილიარეალი-რასინგი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 23.30 | 135 | სელტა-ვალენსია | 2,6 | 2,9 | 2,5 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. 29-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 17 მარტი | | | |
| 21.00 | 136 | ელჩე-ატლეტიკო | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 21.00 | 137 | ბადახოსი-კორდობა | 1,75 | 2,7 | 4,7 |
| | | 18 მარტი | | | |
| 14.30 | 138 | ხეტაფე-სევილია | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 15.00 | 139 | ბეტისი-ტენერიფე | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 15.00 | 140 | ლევანტე-სალამანკა | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 20.00 | 141 | ფეროლი-უნივერსიდადი | 1,65 | 2,9 | 5,3 |
| 20.00 | 142 | კომპოსტელა-ესტრემადურა | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 20.00 | 143 | ხაენი-ეიბარი | 2,3 | 2,7 | 3,0 |
| 20.00 | 144 | უელვა-მურსია | 1,75 | 2,8 | 4,4 |
| 20.00 | 145 | სპორტინგი-ლ[illegible] | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| 20.00 | 146 | ალბასეტე-ლეგანესი | 1,55 | 3,2 | 5,6 |

### პორტუგალია. I ლიგა. 24-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 16 მარტი | | | |
| 01.00 | 147 | ბოავიშტა-კამპომაიორენსე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 148 | ბოავიშტა-კამპომაიორენსე 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | | 17 მარტი | | | |
| 20.00 | 149 | ამადორა-მარიტიმუ | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 22.00 | 150 | ბრაგა-ბელენენსეში | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| | | 18 მარტი | | | |
| 20.00 | 151 | ბენფიკა-ფერეირა | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 152 | ბენფიკა-ფერეირა 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 20.00 | 153 | ლეირია-ფარენსე | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 20.00 | 154 | ავეში-ალვერკა | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.00 | 155 | სალგეირუში-ჟილ ვისენტე | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| 01.00 | 156 | ბეირა მარი-გიმარაეში | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| | | 19 მარტი | | | |
| 01.00 | 157 | პორტუ-სპორტინგი | 1,85 | 2,9 | 4,2 |

### პორტუგალია. II ლიგა. 25-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 18 მარტი | | | |
| 19.00 | 158 | ნავალი-ლეცა | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 19.30 | 159 | რიუ ავე-ნასიონალი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 19.30 | 160 | ლამაში-აკადემიკა | 1,85 | 2,9 | 4,2 |
| 20.00 | 161 | სეტუბალი-სანტა კლარა | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 20.00 | 162 | შავეში-ფელგეირაში | 1,75 | 2,9 | 4,7 |
| 20.00 | 163 | მაია-ოვარენსე | 1,55 | 3,3 | 6,0 |
| 20.00 | 164 | ესპინიუ-იმორტალი | 1,6 | 3,1 | 6,0 |
| 20.00 | 165 | პენაფიელი-ვარზიმი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 20.00 | 166 | მარკუ-ფრეამუნდე | 1,55 | 3,3 | 6,0 |

### ჰოლანდია. I დივიზიონი. 25-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 16 მარტი | | | |
| 23.00 | 167 | როზენდალი-ვიტესი | 3,8 | 3,2 | 1,8 |
| | | 17 მარტი | | | |
| 22.30 | 168 | როდა-გრააფსხაპი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 169 | როდა-გრააფსხაპი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 22.30 | 170 | ბრედა-ჰერენვეენი | 2,1 | 3,0 | 3,1 |
| 23.00 | 171 | ალკმაარი-სიტარდი | 1,55 | 3,4 | 5,0 |
| | | 18 მარტი | | | |
| 17.30 | 172 | ფეიენოორდი-ტვენტე | 1,25 | 4,4 | 8,0 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | 173 | ფეიენოორდი-ტვენტე 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 17.30 | 174 | პსვ-უტრეხტი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 175 | პსვ-უტრეხტი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 17.30 | 176 | აიაქსი-სპარტა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 177 | აიაქსი-სპარტა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 17.30 | 178 | ვალვაიკი-ტილბურგი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 17.30 | 179 | ნაიმეგენი-გრონინგენი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| | | **ჰოლანდია. II დივიზიონი. 25-ე ტური** | | | |
| | | **17 მარტი** | | | |
| 22.00 | 180 | ვეენდამი-ეინდჰოვენი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 22.00 | 181 | ტელსტარი-ჰელმონდი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 22.00 | 182 | დენ ჰააგი-ჰაარლემი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 22.00 | 183 | დენ ბოსხი-კამბური | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 184 | დენ ბოსხი-კამბური 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 22.00 | 185 | ექსელსიორი-ემენი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 22.00 | 186 | მაასტრიხტი-დორდრეხტი | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| 22.00 | 187 | ვენლო-ჰერაკლესი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 22.00 | 188 | ზვოლე-ოსი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 189 | ზვოლე-ოსი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | | **18 მარტი** | | | |
| 17.30 | 190 | ვოლენდამი-იგლსი | 1,95 | 3,0 | 3,6 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი. 26-ე ტური** | | | |
| | | **17 მარტი** | | | |
| 19.00 | 191 | გენტი-ანდერლეხტი | 2,9 | 3,0 | 2,2 |
| 23.00 | 192 | სტანდარდი-ბევერენი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 193 | სტანდარდი-ბევერენი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 23.00 | 194 | ლოკერენი-შარლერუა | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 23.00 | 195 | მუსკრონი-ანტვერპენი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 23.00 | 196 | გენკი-ლიერსი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 23.00 | 197 | ბეერსხოტი-სტ.ტრუიდენი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 198 | ბეერსხოტი-სტ.ტრუიდენი 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 23.00 | 199 | ლუვიე-ვესტერლო | 2,8 | 3,1 | 2,2 |
| | | **18 მარტი** | | | |
| 18.00 | 200 | მეხელენი-ჰარელბეკე | 2,1 | 3,1 | 3,0 |
| 18.00 | 201 | ბრიუგე-აალსტი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 202 | ბრიუგე-აალსტი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | | **ბელგია. II დივიზიონი. 28-ე ტური** | | | |
| | | **17 მარტი** | | | |
| 22.30 | 203 | დესელი-ლიეჟი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 22.30 | 204 | გეელი-სტრომბეკი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 205 | გეელი-სტრომბეკი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 23.00 | 206 | ჰეკელგემი-მონსი | 2,9 | 3,2 | 2,2 |
| 23.00 | 207 | მაასლანდი-ჰეუსდენი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| | | **18 მარტი** | | | |
| 18.00 | 208 | ოსტენდე-ინგელმუნსტერი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.00 | 209 | დენდერლეუ-სერკლი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 18.00 | 210 | მოლენბეკი-დაინცე | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 211 | მოლენბეკი-დაინცე 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 18.00 | 212 | ტურნჰაუტი-ლომელი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 18.00 | 213 | ტინენი-რუზელარე | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| | | **საბერძნეთი. 23-ე ტური** | | | |
| | | **17 მარტი** | | | |
| 21.00 | 214 | ოლიმპიაკოსი-პაოკ | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | | **18 მარტი** | | | |
| 18.00 | 215 | კალამატა-პანაჰაიკი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 18.00 | 216 | ირაკლისი-პანილიაკოსი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 217 | ირაკლისი-პანილიაკოსი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 18.00 | 218 | პანიონიოსი-იონიკოსი | 1,95 | 2,9 | 3,8 |
| 18.00 | 219 | ათინაიკოსი-ოფი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 18.00 | 220 | არისი-ეთნიკოსი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 221 | არისი-ეთნიკოსი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 21.00 | 222 | ქსანთი-პანათინაიკოსი | 3,6 | 3,1 | 1,9 |
| | | **19 მარტი** | | | |
| 18.00 | 223 | იანინა-აეკ | 3,8 | 3,1 | 1,85 |
| | | **ჩეხეთი. 21-ე ტური** | | | |
| | | **16 მარტი** | | | |
| 19.30 | 224 | სპარტა-სლავია | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| | | **17 მარტი** | | | |
| 19.35 | 225 | ბანიკი-დრნოვიცე | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| | | **18 მარტი** | | | |
| 18.00 | 226 | ბრნო-ბლშანი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 18.00 | 227 | პრჟიბრამი-ჟიჭკოვი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 18.00 | 228 | ბოჰემიანსი-პლზენი | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| 19.30 | 229 | სიგმა-იაბლონეცი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 230 | სიგმა-იაბლონეცი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 19.30 | 231 | ტეპლიცე-ბუდეიოვიცე | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 232 | ტეპლიცე-ბუდეიოვიცე 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | | **19 მარტი** | | | |
| 22.00 | 233 | ლიბერეცი-სინოტი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| | | **პოლონეთი. მე-17 ტური** | | | |
| | | **17 მარტი** | | | |
| 17.00 | 234 | სტომილი-პოლონია | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.00 | 235 | ვისლა-გროცლინი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 236 | ვისლა-გროცლინი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 18.00 | 237 | კატოვიცე-ოდრა | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 19.00 | 238 | რუხი-გურნიკი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 20.30 | 239 | ლეგია-რაძიონკოვი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 240 | ლეგია-რაძიონკოვი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 20.30 | 241 | პლოცკი-ვიძევი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 23.00 | 242 | ამიცა-ზაგლებე | 1,95 | 3,0 | 3,6 |
| | | **18 მარტი** | | | |
| 17.30 | 243 | შლიონსკი-პოგონი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| | | **თურქეთი. 25-ე ტური** | | | |
| | | **16 მარტი** | | | |
| 22.00 | 244 | ქოჯაელი-სამსუნი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| | | **17 მარტი** | | | |
| 16.00 | 245 | ანთალია-ანკარა | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 16.00 | 246 | გენჩლერბირლინგი-ერზურიმი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 247 | გენჩლერბირლინგი-ერზურუმი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 16.00 | 248 | ისთანბული-ბურსა | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 21.00 | 249 | რიზე-ფენერბაჩე | 3,8 | 3,1 | 1,8 |
| | | **18 მარტი** | | | |
| 16.00 | 250 | იეთფა-გალათასარაი | 6,5 | 3,6 | 1,4 |
| 16.00 | 251 | იოზგათი-გაზიანთეფი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 16.00 | 252 | დენიზლი-ადანა | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 21.00 | 253 | ბეშიქთაში-ტრაბზონი | 1,55 | 3,3 | 6,0 |
| | | **შოტლანდია. 31-ე ტური** | | | |
| | | **17 მარტი** | | | |
| 19.00 | 254 | დანდი-იუნაიტედი-აბერდინი | 2,0 | 3,1 | 3,2 |
| 19.00 | 255 | დანფერმლაინი-ჰიბერნიანი | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 19.00 | 256 | მოზერუალი-რეინჯერსი | 5,0 | 3,4 | 1,6 |
| 19.00 | 257 | სენტ მირენი-სენტ ჯონსტონი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| | | **შოტლანდია. გადადებული მატჩი** | | | |
| | | **18 მარტი** | | | |
| 18.00 | 258 | დანდი-ჰართსი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| | | **ავსტრია. 26-ე ტური** | | | |
| | | **16 მარტი** | | | |
| 22.30 | 259 | ტიროლი-აუსტრია | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| | | **17 მარტი** | | | |
| 18.30 | 260 | ბრეგენცი-ლინცერი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 18.30 | 261 | გრაცერი-ზალცბურგი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 18.30 | 262 | რიდი-ადმირა | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | | **18 მარტი** | | | |
| 19.30 | 263 | რაპიდი-შტურმი | 1,9 | 3,1 | 3,4 |
| | | **შვეიცარია. A ჯგუფი. მე-4 ტური** | | | |
| | | **18 მარტი** | | | |
| 17.30 | 264 | სიონი-სერვეტი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 17.30 | 265 | სენტ გალენი-ლოზანა | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 19.15 | 266 | ბაზელი-ლუგანო | 1,9 | 3,1 | 3,4 |
| 19.15 | 267 | ციურიხი-გრასჰოპერი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **შვეიცარია. A/B ჯგუფი. მე-4 ტური** | | | |
| | | **18 მარტი** | | | |
| 17.30 | 268 | ბელინცონა-ვინტერთური | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 17.30 | 269 | ლუცერნი-არაუ | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 17.30 | 270 | იანგ ბოისი-ქსამაქსი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 17.30 | 271 | ივერდონი-ვილი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| | | **შვეიცარია. B ჯგუფი. მე-4 ტური** | | | |
| | | **18 მარტი** | | | |
| 17.30 | 272 | ბადენი-კრინსი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 17.30 | 273 | სოლოთურნი-თუნი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 17.30 | 274 | ვანგენი-ლოკარნო | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 19.15 | 275 | კარუჟი-დელემონი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| | | **დანია. მე-20 ტური** | | | |
| | | **18 მარტი** | | | |
| 18.00 | 276 | ორჰუსი-ჰადერსლევი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 18.00 | 277 | ჰერფიოლგე-სილკებორგი | 2,7 | 3,0 | 2,3 |
| 18.00 | 278 | კოპენჰაგენი-ოდენსე | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 18.00 | 279 | ვიბორგი-ბრიონდბიუ | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.05 | 280 | ლიუნგბიუ-ოლბორგი | 1,75 | 3,2 | 3,8 |
| | | **19 მარტი** | | | |
| 22.00 | 281 | მიდტიულანდი-აკადემისკი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| | | **რუსეთი. მე-2 ტური** | | | |
| | | **17 მარტი** | | | |
| 16.00 | 282 | ალანია-ფაკელი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 16.00 | 283 | ანჟი-სატურნი | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 16.00 | 284 | სოკოლი-როტორი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 17.00 | 285 | ზენიტი-როსტსელმაში | 1,7 | 2,9 | 5,3 |
| 18.00 | 286 | ტორპედო-დინამო | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 19.00 | 287 | ლოკომოტივი-ზილ | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 19.00 | 288 | ცსკა-კრილია | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | | **18 მარტი** | | | |
| 16.30 | 289 | ჩერნომორეცი-სპარტაკი | 4,2 | 3,0 | 1,8 |
| | | **შოტლანდია. ლიგის თასის ფინალი** | | | |
| | | **18 მარტი** | | | |
| 19.00 | 290 | სელტიკი-კილმარნოკი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | | **კალათბურთი** | | | |
| | | **16 მარტი** | | | |
| 04.00 | 801 | ინდიანა-ატლანტა | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 04.00 | 802 | ფილადელფია-საკრამენტო | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 04.00 | 803 | ვაშინგტონი-ლეიკერსი | 4,0 | 12,0 | 1,15 |
| 04.30 | 804 | კლივლენდი-შარლოტი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 04.30 | 805 | ორლანდო-ვანკუვერი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 05.30 | 806 | ჩიკაგო-სიეტლი | 3,1 | 12,0 | 1,25 |
| 05.30 | 807 | სან ანტონიო-ნიუ ჯერსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 06.00 | 808 | დენვერი-ბოსტონი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 07.00 | 809 | პორტლენდი-იუტა | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 07.30 | 810 | კლიპერსი-გოლდენ სტეიტი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| | | **17 მარტი** | | | |
| 04.30 | 811 | ატლანტა-დეტროიტი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 04.30 | 812 | შარლოტი-ვაშინგტონი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 04.30 | 813 | მაიამი-ვანკუვერი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 04.30 | 814 | ნიუ იორკი-ჩიკაგო | 1,05 | 12,0 | 5,0 |
| 05.30 | 815 | დალასი-ფინიქსი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 05.30 | 816 | ჰიუსტონი-სან ანტონიო | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 05.30 | 817 | მილუოკი-ფილადელფია | 1,8 | 12,0 | 1,55 |
| | | **18 მარტი** | | | |
| 21.00 | 818 | ორლანდო-ლეიკერსი | 1,9 | 12,0 | 1,5 |
| 24.00 | 819 | ინდიანა-საკრამენტო | 2,1 | 12,0 | 1,4 |
| 00.30 | 820 | მინესოტა-კლივლენდი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 04.00 | 821 | დეტროიტი-მილუოკი | 2,1 | 12,0 | 1,45 |
| 06.00 | 822 | გოლდენ სტეიტი-სიეტლი | 3,1 | 12,0 | 1,2 |
| 06.00 | 823 | კლიპერსი-იუტა | 3,1 | 12,0 | 1,2 |
| 07.00 | 824 | დენვერი-ნიუ ჯერსი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| | | **19 მარტი** | | | |
| 04.30 | 825 | ატლანტა-ლეიკერსი | 3,1 | 12,0 | 1,2 |
| 05.30 | 826 | სან ანტონიო-პორტლენდი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 07.00 | 827 | სიეტლი-ფილადელფია | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| | | **ჰოკეი** | | | |
| | | **16 მარტი** | | | |
| 04.00 | 901 | ბუფალო-ვანკუვერი | 1,8 | 4,0 | 2,5 |
| 04.00 | 902 | ოტავა-ანაჰაიმი | 1,3 | 4,0 | 5,6 |
| 04.30 | 903 | ატლანტა-კოლუმბუსი | 1,8 | 4,0 | 2,5 |
| 04.30 | 904 | ფლორიდა-პიტსბურგი | 2,7 | 4,0 | 1,7 |
| 05.30 | 905 | დალასი-ფინიქსი | 1,55 | 4,0 | 3,2 |
| | | **17 მარტი** | | | |
| 24.00 | 906 | ფილადელფია-რეინჯერსი | 1,45 | 4,0 | 3,6 |
| 24.00 | 907 | კოლორადო-დეტროიტი | 1,75 | 4,0 | 2,6 |
| 01.20 | 908 | ლოს ანჯელესი-სან ხოსე | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 04.00 | 909 | მონრეალი-ბოსტონი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 04.00 | 910 | ვაშინგტონი-ბუფალო | 1,75 | 4,0 | 2,6 |
| 04.00 | 911 | ფლორიდა-ტორონტო | 2,6 | 4,0 | 1,75 |
| 04.30 | 912 | ტამპა ბეი-პიტსბურგი | 2,5 | 4,0 | 1,8 |
| 04.30 | 913 | კოლუმბუსი-აილენდერსი | 1,75 | 4,0 | 2,6 |
| 05.00 | 914 | ნეშვილი-ფინიქსი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 06.00 | 915 | კალგარი-სენტ ლუისი | 2,4 | 4,0 | 1,85 |
| 07.00 | 916 | ედმონტონი-ნიუ ჯერსი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| | | **18 მარტი** | | | |
| 24.00 | 917 | ატლანტა-ვანკუვერი | 2,7 | 4,0 | 1,7 |
| 24.00 | 918 | ჩიკაგო-ანაჰაიმი | 1,5 | 4,0 | 3,4 |
| 24.00 | 919 | დალასი-ოტავა | 1,8 | 4,0 | 2,5 |
| 24.00 | 920 | კოლორადო-მინესოტა | 1,3 | 4,0 | 5,6 |
| 02.00 | 921 | კაროლინა-აილენდერსი | 1,45 | 4,0 | 3,6 |
| 05.00 | 922 | სან ხოსე-დეტროიტი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| | | **19 მარტი** | | | |
| 04.00 | 923 | რეინჯერსი-ვაშინგტონი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 04.00 | 924 | კოლუმბუსი-ნეშვილი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 05.00 | 925 | მინესოტა-დალასი | 2,7 | 4,0 | 1,7 |
| 06.00 | 926 | კალგარი-ნიუ ჯერსი | 2,3 | 4,0 | 1,9 |
| 06.00 | 927 | ედმონტონი-ფილადელფია | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 07.30 | 928 | ლოს ანჯელესი-ფინიქსი | 1,85 | 4,0 | 2,4 |
| | | **რაგბი. ექვსი ერის თასი** | | | |
| | | **18 მარტი** | | | |
| 18.00 | 951 | საფრანგეთი-უელსი | 1,2 | 10,0 | 3,8 |
| 20.00 | 952 | შოტლანდია-იტალია | 1,02 | 20,0 | 10,0 |

**1-ლი ტაიმი/ძირითადი დროის კოეფიციენტებს გაეცნობით ადგილზე**
**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**




კეტი ფრიმენი ერთი წლით დაისვენებს

# ფრიმენმა შვებულება აიღო

**სიდნეის** ოლიმპიადაზე კეტი ფრიმენს უკვდავების წყალი გადაესხა. 27 წლის ავსტრალიელი აბორიგენი, გარდა იმისა, რომ 400 მეტრზე რბენაში ოქროს მედალი მწვანე კონტინენტზევე დატოვა, 100 ათას მაყურებელსა და მილიარდობით ტელემაყურებელს ყველაზე საზეიმო მომენტში ეჩვენა. მისი ხელიდან სიდნეის ოლიმპიურ სტადიონზე ოლიმპიური ცეცხლი აინთო. ამის შემდეგ ფრიმენი სიმბოლოდ, სათაყვანებელ სპორტსმენად იქცა. თუმცა დიდებაც მოსაბეზრებელია და ფრიმენი დაიღალა. გუშინწინ მან პირდაპირ განაცხადა, შთაბეჭდილებებით ბოლომდე მაძღარი ვარ და შიმშილი მინდაო. ფრიმენმა გადაწყვიტა, ერთი წლით ჩამოშორდეს მძლეოსნობას და მთელი დრო ოჯახთან გაატაროს.

„დავიღალე — ამბობს ფრიმენი — ემოციებით დავიტვირთე, ველარც ყოველ დილა-საღამოს დაძაბულ ვარჯიშს ვგუობ. გამოვიფიტე ბორცვებსა და ბილიკებზე უწყვეტი სირბილით". ფრიმენის გადაწყვეტილებას ტაში დაუკრა მისმა მწვრთნელმა პიტერ ფორჩუნმა და განმარტა, კეტი სულ კი არ მიდის, მხოლოდ ცოტა ხნით შეისვენებსო. მოძღვარი და შეგირდი ადასტურებენ, რომ აბორიგენი უეჭველად დაიცავს ტიტულს ათენის 2004 წლის ოლიმპიადაზე, თუ იქამდე ყველაფერი კარგად იქნება. მაგრამ ერთწლიანი უქმობა ნიშნავს, რომ ფრიმენის არყოფნა დაალონებთ კანადური ედმონტონის წლევანდელი მსოფლიოს პირველობისა და ბრისბენში გასამართი კეთილი ნების თამაშების ორგანიზატორებს. ავსტრალიელი, სავარაუდოდ, 2002 წლის თანამეგობრობის თამაშებზე, მანჩესტერში გამოჩნდება.

ფრიმენის შვებულებაში წასვლა სენსაციური ამბავი არ ყოფილა. თებერვალში მან ავსტრალიური მნიშვნელობის სამძლეოსნო ტურნირებს უგანა. გუშინწინდელი გადაწყვეტილებაც სავსებით მოსალოდნელი იყო.

**დავით გულუა**

**ჟურნალისტთა საყურადღებოდ!**

20 მარტს, 12 საათზე საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სააქტო დარბაზში გაიმართება დეპარტამენტის თავმჯდომარის, ირაკლი მეძმარიაშვილის პრესკონფერენცია.

**ავტომოყვარულთა საყურადღებოდ!**

შაბათს, 17 მარტს რიყის მოედანზე ჩატარდება ავტომოყვარულთა შეჯიბრება „ჩქაროსნულ მანევრირებაში". მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ ავტომოყვარულს. შეჯიბრების ორგანიზატორია საქართველოს საავტომობილო ფედერაცია. გამარჯვებულთათვის დაწესებულია პრიზები და ფასიანი საჩუქრები.

მონაწილეთა რეგისტრაცია იწარმოებს რიყის მოედანზე 10 საათიდან.
საკონტაქტო ტელეფონები: 536 536, 305 503.

**ექიმი კარდიოლოგი**
**გია მაზავრაშვილი**

- სუ ჯოკ აკუპუნქტურა
- სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
- კვებისადა ფიზიკური რეჟიმის კორექცია (აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)

*მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით*

თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი.
ტელეფონი: 31-55-35; 38-67-56; 8 99 107 109



# დარბაზში... კლდეებს შეჭიდებიან

**საქართველოში** ბოლო წლების სიდუხჭირემ სპორტის ყველა სახეობას დაატყო კვალი, მით უმეტეს არაოლიმპიურს, მათ შორის მეკლდეურობასაც. არადა, მოეხსნებათ, რამხელა ტრადიციები აქვს საქართველოში მეკლდეურობას. სპორტის ამ სახეობაში ერთ დროს მართლაც საქვეყნოდ ვიყავით ცნობილნი. სახელგანთქმულმა ქართველმა მთამსვლელებმა მიხეილ ხერგიანმა და იოსებ კახიანმა ინგლისის კლდეებზე ისე მოხიბლეს მასპინძლები, რომ ევერესტზე პირველი წარმატებული ექსპედიციის მეთაურმა, ლორდმა ჯონ ჰანტმა მათ „კლდის ვეფხვები" უწოდა. ახლა კი ისეთი მდგომარეობაა, რომ ინგლისის კლდეებზეც უარს ვამბობთ და ბევრ რამეზეც, მათ შორის არაერთი ტრადიციული ასპარეზობისა თუ ტურნირის ჩატარებაზე. არადა, ახალი თაობის აღსაზრდელად საუკეთესო საშუალება მათი ტურნირებში გამოწრთობაა.

— სასიხარულოა, რომ ორწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ შესაძლებელი გახდა ჩვენი სახელოვანი მთამსვლელისა და მეკლდეურის, ირაკლი გელდიაშვილის ტრადიციული მემორიალური ასპარეზობის გამართვა, რომელიც ხელოვნურ კლდეებზე ჩავატარეთ. ეს რის ვაივაგლახით, ისევ და ისევ ჩვენი ძალისხმევით მოვახერხეთ. სხვაგვარად არც შეიძლებოდა. ახალგაზრდა სპორტსმენები ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონობისთვის მომზადებას საჭიროებენ. მართალია, იქ გამოსვლა ჩვენთვის უკვე ფუფუნებად იქცა, მაგრამ იქნებ რამე გვეშველოს. ამის იმედს მაძლევს ბოლო დროს სპორტის დეპარტამენტისა და რიგი ორგანიზაციების მიერ ჩვენდამი დაინტერესება. ისინი გულისყურით მოეკიდნენ ჩვენს გაჭირვებას და აღგვითქვეს, რომ წლეულს საერთაშორისო ასპარეზობებში მონაწილეობისთვის შეძლებისდაგვარად დაგვაფინანსებთო. არადა, ამის გარეშე სპორტსმენი ვერ გაიზრდება. მათი მეკლდეურეებად ჩამოსაყალიბებლად მარტო ეს ხელოვნური კედელი რას გვიშველის? მითუმეტეს, რომ ის ერთადერთია, რომელიც გაგვაჩნია — გვითხრა საქართველოს მეკლდეურობის ფედერაციის პრეზიდენტმა ლადო გურჩიანმა, ვისაც 1984 წელს უშბაზე დაღუპულ ირაკლი გელდიაშვილთან შეწყვილებულს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში გაუმარჯვია.

ირაკლი გელდიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი შეჯიბრება სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელოვნურ კლდეებზე კვირას გაიმართა. ეს დღე საქართველოს მეკლდეურობის ფედერაციას შემთხვევით არ შეურჩევია. იმ დღეს ირაკლი გელდიაშვილს 53 წელი უნდა შესრულებოდა. ყოველივე ამის გამო შეჯიბრებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. ასპარეზობას დაესწრნენ ირაკლი გელდიაშვილის მეგობრები, ვისთან ერთადაც ერთ თოკში ჩაბმულს მრავალი მწვერვალი დაულაშქრავს, იქ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების ოქრო-ვერცხლი დაუმსახურებია და მეკლდეურობაშიც გამოუჩენია თავი.

რაღა თქმა უნდა, ასპარეზობას ესწრებოდნენ გელდიაშვილის ახლობლები, მათ შორის ირაკლის და, ქალბატონი ლიანა და შვილიშვილი ნიკა, რომელიც გაფაციცებით ადევნებდა თვალს „კლდეებს" შეჭიდებულ სპორტსმენებს. იქვე იყვნენ სახელოვან მთამსვლელ ჯაფარიძეების დინასტიის წარმომადგენლებიც, რომლებიც ხელცარიელნი არ მოსულან. მათ ალიოშა ჯაფარიძის სახელობის პრიზი გადასცეს ვაჟთა შორის გამარჯვებულ გიორგი კომახიძეს. მან ამ წარმატებას 16 მეკლდეურთან პაექრობაში მიაღწია. თუმცა სერიოზული მეტოქეობა მას ოთხმა-ხუთმა მეტოქემ თუ გაუწია, დანარჩენები კი ახალბედები და უმცროსები იყვნენ.

საერთოდ, შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისისა და აჭარის უძლიერესი მეკლდეურები, ახალგაზრდებში დსთ-სა და რუსეთის თასის გათამაშებაში გამარჯვებულები, საქართველოს ჩემპიონები და პრიზიორები.

რაც შეეხებათ გოგონებს, ისინი შვიდნი გამოვიდნენ სტარტზე. შეჯიბრება სწორედ მათ გახსნეს. ისინი გამარჯვებისთვის ბრძოლაში ერთმანეთს სწრაფად ასვლაში ეპაექრებოდნენ ერთმანეთს. უფრო სწორედ მათი მთავარი მეტოქე წამზომი გახლდათ. კედლის დასაძლევად მათ საშუალოდ ერთი წუთი სჭირდებოდათ. ამიტომაც, ბუნებრივია, რომ გოგონები მალე მორჩნენ შეჯიბრს. გაიმარჯვა თბილისელმა ნინო ჩარკვიანმა. მომდევნო ადგილებზეც მისი თანაგუნდელები, სოფო თვარაძე და სოფო ნაცვლიშვილი გავიდნენ.

გოგონათა შეჯიბრების მერე სწრაფი „გარბენისთვის" განკუთვნილი კედლიდან მაყურებელთა მზერამ კომბინირებული კლდეებისკენ გადაინაცვლა. გოგონებისგან განსხვავებით ვაჟები „რთულ ცოცვაში" გამოდიოდნენ, ამიტომაც მათი შეჯიბრი ბევრად დიდხანს გაგრძელდა. არცაა გასაკვირი, მათი მიზანი სიმაღლის დაძლევა გახლდათ და არა წამზომთან პაექრობა.

უნდა ითქვას, რომ ნახევარზე მეტმა სიმაღლის ბოლომდე დაძლევა ვერ შეძლო, ხოლო მათ, ვინც ეს მოახერხა, ფინალში გავიდნენ, აქ კი ჩემპიონის გამოსავლენად წამზომი მოიმარჯვეს. გამარჯვებულის ვინაობაზე კი უკვე მოგახსენეთ. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ თბილისელი ალეკო დოლიაშვილი და ბათუმელი ვალერი ფერ[illegible]

**გიგა გურასაშვილი**



# იმერეთი გამოცდილებით და საჩუქრებით აივსო

**იუგოსლავიის** მშვიდობიან ავტონომიურ მხარე ვოივოდინას ქალაქ სუბოტიცაში ქართველი ბალახის ჰოკეისტები ევროპის ჩემპიონთა თასის ჯგუფურ ტურნირში ასპარეზობდნენ. ეს ევროტურნირზე ჩვენებური გუნდის მეორე მონაწილეობა იყო.

ქართველები ამჯერადაც ქუთაისის „იმერეთმა" წარადგინა ევროპაში. „დუდოვა შუმას" პარკეტზე სამი დღის მანძილზე მიმდინარე შეხვედრებმა ჯუმბერ კერესელიძის აღსაზრდელებს სერიოზული გამოცდა მოუწყო.

ჩვენები თავიდანვე რეალისტურად აფასებდნენ საკუთარ შანსებს. საქართველოს ბალახის ჰოკეის ფედერაციის პრეზიდენტის, გიორგი ჩარკვიანის პროგნოზით, იმის გათვალისწინებით, რომ მონაწილეებს წრიული სისტემით უნდა ეთამაშათ, მესამე ადგილი ჩინებული შედეგი იქნებოდა. უნდა ითქვას, რომ ბერძნებთან ერთად უკან მოსატოვებლად სლოვენიელები და უნგრელები იყვნენ „გამეტებულნი".

ეს უკანასკნელები კი ტურნირის თუ არა, ქართველთა აღმოჩენა ნამდვილად იყვნენ. „ეპიტოკმა" კი ყველა მეტოქეს დამაჯერებლად მოუგო და გაისად „B" დივიზიონში იასპარეზებს. ასეთი პატივი ჩვენი ჯგუფიდან სხვას არ რგებია. საქმე ისაა, რომ მეორე ექვსგუნდა ჯგუფი ბრიუსელში არკვევდა დასაწინაურებლისა (ბელგიური „უაით სტარი") და გასავარდნის (ნორვეგიული „კრინგსი") ვინაობას.

კონტინენტურ დონეზე დარბაზში გამართული ტურნირი ქართველთათვის უცხო ხილი იყო. წლის ამ პერიოდში ჩვენი ჰოკეისტები, როგორც წესი, ირანის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობენ. ჩანს, იქაურ ორგანიზატორებს დროებითი პრობლემები შეექმნათ და შეჯიბრების გამართვის წლევანდელ ვადებში სპარსებმა კორექტივები შეიტანეს. ასეც რომ არ მომხდარიყო, ჩვენი სპორტსმენები ირანში მაინც მეორე გუნდით თამაშს აპირებდნენ. სჰფ-ს მთავარი საზრუნავი კარმოსდგარი საპასუხისმგებლო ტურნირი გახლდათ.

იუგოსლავიაში 17-კაციანი დელეგაციის ავტობუსით მგზავრობის, კვების, სასტუმროსა და სავიზო ხარჯები „იმერეთს" მთლიანად ქუთაისის მერიამ (კლუბის ერთ-ერთი დამფუძნებელია) დაუფარა. ქალაქის ხელმძღვანელთა ასეთი თანადგომა სუბოტიცაში მყოფმა ევროპის ბალახის ჰოკეის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ირლანდიელმა დევიდ ბალბინიონმაც დააფასა. მასთან ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტის პირად შეხვედრაზე მოგვიანებით გეტყვით.

თავად ტურნირი „იმერეთისთვის" წაგებით დაიწყო და ბოლო დღემდეც ასე გრძელდებოდა. პირველ და მეორე დღეს გუნდებმა 2-2 თამაში გამართეს. ჩვენებმა სტარტზე სლოვენიელებთან 2:6 დათმეს, მერე კი ვინიცის „კოლოსთან" 6:7 დამარ[illegible]ჩენ.

მეორე დღეს, დილით უნგრეთის „ეპიტოკმა" „იმერეთს" 11:2 მოუგო, ნაშუადღევს კი ქართველებს უკვე მასპინძელ „ზორკასთან" მოუწიათ (0:5) კაპიტულაციამ. ბერძნებთან გასამართ, ტურნირის ბოლო მატჩს ორივე გუნდისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. წაგებული საგაისოდ ანალოგიურ ევროტურნირში მონაწილეობის უფლებას კარგავდა.

ქუთაისელებმა სწორად გაიგეს მათ წინაშე მდგარი ამოცანის მიზანი და მეტოქეს შანსი არ დაუტოვეს — 6:3. ამ დღეს ჰეთ თრიქი სოსო სვანიძის ანგარიშზე იყო. 5 გოლით ის ქართველთაგან ტურნირის ყველაზე შედეგიანი ფორვარდიც აღმოჩნდა. მის გარდა „იმერეთის" რიგებს იცავდნენ: ზაზა მეფარიშვილი, ვასილ დათიაშვილი (1 გოლი), ზაზა ჩარკვიანი, მამუკა კომახიძე (3), კახა ოყრეშიძე (1), ლერი და ვალერი დიაკონიძეები, ლევან ბაჯაძე (1), ირაკლი ხურციძე, ზაზა ბიწაძე და გიორგი მამაგეიშვილი.

ბოლოს ეჰფ-ს გენერალურ მდივანთან გიორგი ჩარკვიანის შეხვედრაზეც ვთქვათ, რომელიც, ირლანდიელის ინიციატივით, ოტელ „პატრიას" ბარში ჭიქა ვისკის თანხლებით გაიმართა. დევიდ ბალბინიონმა სჰფ-ს პრეზიდენტს ადრე დანაპირების დანაპირების სასწრაფოდ ასრულება აღუთქვა.

უფრო მეტიც, 100-100 ყვანჯსა და ბურთს ირლანდიელმა ფუნქციონერმა ინდორჰოკეისთვის განკუთვნილი 24-24 ანალოგიური საჩუქარიც წაამატა.

თუმცა, ეს საჩუქარი იმ პოლიგრასის მწვანე საფართან, რომლის უსასყიდლოდ დათმობასაც ეჰფ ქართველებს ამ ზაფხულისთვის გვპირდება, მონაგონია. ესპანეთიდან ხელოვნური საფარის ქუთაისში ტრანსპორტირებას წინ პრაქტიკულად აღარაფერი უდგას.

**ფრიდონ ძერგალიშვილი**
**საგანგებოდ „სარბიელისთვის"**

| საბოლოო ცხრილი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ეპიტოკი | 5 | 5 | 0 | 0 | 38:9 | 15 |
| კოლოსი | 5 | 3 | 1 | 1 | 23:9 | 10 |
| ზორკა | 5 | 2 | 2 | 1 | 25:12 | 8 |
| ტრიგლავი | 5 | 2 | 1 | 2 | 16:17 | 7 |
| იმერეთი | 5 | 1 | 0 | 4 | 11:33 | 2 |
| აჰა | 5 | 0 | 0 | 5 | 7:40 | 0 |



ქუთაისის „იმერეთი"

ეროვნული ბიბლიოთეკა

European Nations Cup Championnat Européen des Nations

ბაჩო სვანიძე, ბადრი კეთილაძე (ფოტო) რუსთავიდან

ევროპის ერთა თასი. მეოთხე ტური. 17 მარტი

## საქართველო - ესპანეთი

რუსთავი. «ფოლადის» სტადიონი. 15 საათი

# მაგრად მიდით, ბოლომდე ითამაშეთ!

## ფრანგმა სარდალმა ბორჯღალოსნებს ქართულად შეუძახა

**„ევროპის ერთა თასის"** მიმდინარე გათამაშებაში ჯერაც დაუმარცხებელი საქართველოს მორაგბეთა ნაკრები, ცხადია, შაბათსაც გამარჯვებისათვის იბრძოლებს. რუსთავის „ფოლადის" სტადიონზე „ბორჯღალოსნები" ესპანელ „ლომებს" დაუპირისპირდებიან. კლოდ სორელის შეგირდებს [illegible]ელებთან ძველი ანგარიში აქვთ. ქართველებს შარშანდელი მადრიდული მარცხი (32:36) ახლაც მწარედ ახსოვთ და ეს გუშინდელ ვარჯიშზეც იგრძნობოდა.

ჩვენი მორაგბეები მიკროავტობუსებით მოადგნენ „ფოლადის" სტადიონს. იქვე სარბენ ბილიკზე გამოიცვალეს, რადგან გასახდელები ფეხბურთელებს ჰქონდათ დაკავებული, ვარჯიში კი ერთი საათის დაგვიანებით დაიწყეს. სპორტულად გამოწყობილი კლოდ სორელი და ნაკრების წევრები მოთმინებით ელოდებოდნენ, როდის განთავისუფლდებოდა მოედანი. სანამ ფეხბურთელები ბურთს აგორებდნენ, მორაგბეებმა სტადიონი შეათვალიერეს და მისი მდგომარეობის შემყურე უკმაყოფილების დამალვა არც უცდიათ. რუსებს დავცინოდით და ჩვენ უარესს ვაკეთებთ — გაიგონებით ერთმანეთში მოფუსფუსე მორაგბეებისგან. მართლებიც იყვნენ. გარდა იმისა, რომ მწვანე საფარი სავალალო მდგომარეობაშია, მოედნის პირით ხაზს მთელს სიგრძეზე თან დაჰყვება რკინის მილები. რაგბი კონტაქტური სპორტია. შეხოჭვის ან დაჯახების დროს ხსენებული მილები შეიძლება მორაგბის სიცოცხლისთვის სახიფათოც აღმოჩნდეს. ამასობაში ფეხბურთელები ვარჯიშს მორჩნენ და გასახდელებს მიაშურეს. სორელმა, მეტი დრო აღარ დავკარგოთო და ნაკრების მთელს შემადგენლობას მოედანზე უხმო. საესპანეთოდ გუნდში გამოძახებული მორაგბეების გარდა მუსიე კლოდმა საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე რამდენიმე მობურთალიც ავარჯიშა. თქვენი დახმარებით ტაქტიკურ ჩანაფიქრებსაც დავხვეწავთ და ნაკრების სამზარეულოსაც გაუშინაურდებითო.

ვარჯიშის შემდეგ ფრანგმა მწვრთნელმა რეზერვისტებს მადლობა გადაუხადა და, არ არის გამორიცხული, რამდენიმე თქვენგანს მალე პირველ გუნდშიც ვუხმოო. საერთოდ გუშინ კლოდ სორელი მშვენიერ ხასიათზე იყო, და ხშირად ეხუმრებოდა კიდეც მორაგბეებს, რომელთაც ჯერ ძუნძულით რამდენჯერმე შემოურბინეს სტადიონს და მერე ერთი შეხედვით უცნაური ვარჯიში დაიწყეს. როდესაც ნაკრების ფიზმომზადების მწვრთნელმა ტიერი რუდოლიმ თავისი საქმე მოათავა, ბიჭები სორელს გადააბარა. სორელმა გუნდი ორად გაყო. მოედნის ერთ მხარეს შერკინების მოთამაშეები დაჯგუფდნენ, მეორე მხარეს უკანახაზელებმა გაახურეს ვარჯიში. მხოლოდ ილო ზედგინიძე გამოეყო ძირითად ბირთვს და სორელთან ერთად თვალყურს ადევნებდა თანაგუნდელთა წვრთნას. ილოს კოჭი აქვს ნაღრძობი და დიდი დატვირთვისგან თავი შეიკავა. ითამაშებს თუ არა ზედგინიძე ესპანელთა წინააღმდეგ, ეს მატჩის დღეს გადაწყდება.

ქანცი გააძრო გუშინ სორელმა ქართველ მორაგბეებს, დაახლოებით ორი საათი დაარბენინებდა „ფოლადის" სტადიონზე. ჩვენებიც ფრანგი თავკაცის ნებისმიერ მოთხოვნას ხმის ამოუღებლად და მონდომებით ასრულებდნენ. საერთოდ უნდა ითქვას, რომ მორაგბეებსა და მწვრთნელს შორის მშვენიერი დამოკიდებულებაა. ფრანგული ენაც ხომ მშობლიურივითაა მორაგბეთა ნაკრებში. ბიჭებიც გამართულად ლაპარაკობენ ფრანგულად, სორელიც რაღაცას ჯახირობს ქართულად. ერთ მომენტში შეგირდების ქმედებით უკმაყოფილომ ქართულად შესძახა: ბოლომდე ითამაშეთო! როდესაც შერკინების მოთამაშეები ერთმანეთს ეჯაჯგურებოდნენ, რაღაც არ მოეწონა და მათაც დაუყვირა — მიდი, მიდი, მაგრად მიდიო. ერთი სიტყვით, ორი საათის განმავლობაში კლოდ სორელმა არც თვითონ დაისვენა და არც სხვა მოასვენა. ვარჯიშის შემდეგ დაღლილ-დაქანცულმა მორაგბეებმა მიკროავტობუსებს მიაშურეს, ჩვენ კი რამდენიმე მათგანს გავესაუბრეთ.

### ზურაბ მჭედლიშვილი

**— ტრავმა ბოლომდე მოირჩინე?**

— მგონი, კი. თამაშს სასტარტო შემადგენლობაში დავიწყებ თუ არა, ამას სორელი გადაწყვეტს. ყოველ შემთხვევაში, იმედი მაქვს, მოედანზე თავიდანვე ვიქნები.

### ლევან ცაბაძე

**— რას იტყვი მომავალ მატჩზე?**

— მაგარი ომი იქნება. შარშანდელი მარცხისთვის ღირსეული რევანში უნდა ავიღოთ. თანაც მაშინ ესპანელებმა ძალიან ცუდად გვიმასპინძლეს. ყველაფრისთვის პასუხი მოედანზე უნდა მოვთხოვოთ. ალბათ იცით, მაშინ მსაჯმა დაგვწვა, მოედნიდანაც უმიზეზოდ გამაძევა. თავი იმართლა, ცაბაძემ შემაფურთხაო. მატჩის შემდეგ ვუთხარი, თუ გაბრაზებული ვიყავი, კი არ შეგაფურთხებდი, ისეთს მოგდებდი, ყბას მოგტეხავდი-მეთქი. როგორც ყოველთვის, გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ. ესპანელები ძლიერები არიან, მაგრამ საბოლოოდ მაინც ჩვენსას გავიტანთ. ამისთვის თავს არ დავზოგავთ.

ისე, ძალიან ცუდია, რუსთავში რომ ვთამაშობთ. არა, სხვანაირად არ გამიგოთ. მე თვითონ რუსთავის მკვიდრი ვარ და ყველა რუსთაველი მიყვარს. მთელ ქალაქს შემოევლოს ჩემი თავი, მაგრამ ეროვნულმა ნაკრებმა „ეროვნულზე" უნდა ითამაშოს. ჩემი ღრმა რწმენით, ნამდვილად დავიმსახურეთ ქვეყნის მთავარ სტადიონზე თამაში. შეხედეთ, რა მდგომარეობაშია მინდვრის საფარი. აქ თამაში კი არა, ელემენტარული ვარჯიშიც არ შეიძლება. ეს რომ ამხანაგური მატჩი იყოს, კი, ბატონო, სადაც გნებავთ იქ ვითამაშოთ. ოფიციალურ მატჩებს ეროვნული ნაკრები ყოველთვის მთავარ სტადიონზე ატარებს. ყველგან ასეა, საქართველოში კი ყველაფერი უკუღმა ხდება. ერთი სიტყვით, ჩვენ ჩვენსას გავაკეთებთ ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე. საქართველოს გულისთვის არაფერზე დავიხევთ უკან, გაჭირვებასაც ავიტანთ და გულშემატკივარსაც გავახარებთ, მაგრამ თუ მომავალშიც ყურადღება არ მოგვაქციეს, ქუდს ლავიხურავთ და წავალთ.




გია ლაბაძე თანაგუნდელებმა საჰაეროდ ავარჯიშეს

ალბათ მოგეხსენებათ, საქართველოს მორაგბეთა ნაკრებს „ეროვნულის" ნაცვლად რუსთავის „ფოლადის" სტადიონზე რომ მიუთითეს. 28 მარტს ფეხბურთელთა ეროვნულ ნაკრებს პრინციპული მატჩი ელის რუმინელებთან და მინდორი უნდა დავასვენოთო. ფეხბურთის ფედერაციამ და თბილისის მერიამ რაგბის კავშირს რუსთავის სტადიონის ფერზე მოსაყვანად დახმარება აღუთქვეს. გუშინ მთელი ვარჯიშის განმავლობაში სარემონტო სამუშაოები არ შეჩერებულა. დასავლეთ ტრიბუნაზე ხის სკამების დამონტაჟება მიმდინარეობდა, საშხაპეებს, გასახდელებსა და მსაჯთა ოთახს უკვე გაუკეთდა კოსმეტიკური რემონტი და აუცილებელ მოთხოვნებსაც აკმაყოფილებს. რაც შეეხება ელექტროტაბლოს, მას მიხეილ კეკელიძის სახელობის საკალათბურთო სკოლიდან ინათხოვრებენ და სტადიონზე დაამონტაჟებენ. ერთადერთი, რაც თვალში გვეცა, ეს მოედნის საფარის უვარგისობა იყო. თვითონ მორაგბეებმაც ვერ დაფარეს უკმაყოფილება.

და კიდევ ერთი, საფეხბურთო კარი ჯერ კიდევ თავის ადგილზე იდგა. როგორც იცით, რუსთავის სტადიონზე კარი შიგ გრუნტშია ჩაბეტონებული და მუშებს იგი უნდა მოეხერხათ. ამას მაშინ გავაკეთებთ, როდესაც ფეხბურთის ფედერაცია დანაპირებს აასრულებს და თანამედროვე ტიპის საფეხბურთო კარებს მოგვიტანს. რომ მოვხერხოთ, მერე რა ვქნათო, გვითხრა გუშინ რუსთავის „გორდას" პრესმდივანმა სერგო ბუილლიშვილმა, რომელიც სტადიონზე მიმდინარე სამუშაოებს კურირებს.

მორაგბეთა ვარჯიშის დასრულებისთანავე მოედანზე მიწის სახვრეტი დანადგარით აღჭურვილი სატვირთო მანქანა შევიდა, რათა გრუნტი გაეხვრიტა და სარაგბო კარი აღემართა. თბილისის მერიამ კი დანაპირები აასრულა: მატჩის დღეს ელბაქიძის დაღმართზე „იკარუსის" ტიპის ავტობუსები ჩამოდგებიან და რაგბის გულშემატკივრებს უფასოდ მოემსახურებიან. სტადიონზე შესასვლელი ბილეთი კი ორი ლარი ეღირება.



კლოდ სორელი ქართველებს ესპანელებთან საბრძოლველად რაზმავს



მორაგბეთა ვარჯიშის დასრულებისთანავე მოედანზე მიწის სახვრეტი დანადგარით აღჭურვილი სატვირთო მანქანა შევიდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დოქტორი კლიჩკო



არის ვერსია, რომ მოაზროვნე ადამიანი აუცილებლად სუსტი, მხრებში მოხრილი უნდა იყოს, სათვალე ეკეთოს და ხანდახან ჭლექიც სჭირდეს. ვიტალი კლიჩკო ამ იდეას საფუძველს ურყევს. კრივში ვინც არის ეს უკრაინელი, მოგეხსენებათ და აგერ, გერმანიაში ჩავიდა არა როგორც მუშტით, არამედ როგორც ტვინით მომუშავე. კიევის უნივერსიტეტის დოქტორი, ვიტალი კლიჩკო ლექციებს გერმანიის სამხედრო აკადემიის, იგივე ბუნდესვერის კურსანტებისთვის წაიკითხავს.



# აბლაბუდა

ბურთისთვის ბრძოლისას ერთმანეთს გადაენასკვნენ დედაქალაქელი ჰუბერტ დევისი (მაღლა) და დეტროიტელი მეტინ კლივზი. დაკვირვება უნდა იმის გარკვევას, რომელი ფეხი რომელს ეკუთვნის, ხოლო სტატისტიკურად ყველაფერი გარკვეულია: ვაშინგტონელმა „ჯადოქრებმა" 103:96 მოიგეს.

# ფასდაკარგული ფოტო



უკრაინელი გიგანტი ალექსანდრ ბაგაჩი ამ პოზაში 4 წლის წინათ გადაიღეს, როცა ბირთვის კვრაში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. მერე წყალნი წავიდნენ და წამოვიდნენ, ბაგაჩი დოპინგზე სამგზის ამხილეს და ამ დღეებში უკრაინის მძლეოსნობის ფედერაციამ ათლეტი სპორტიდან სამუდამოდ მოკვეთა. ფოტო ისტორიიდან ამოვარდა.



# რკინის კაცები

კაი გაძლება ამათა აქვთ, კაი დაგემართოთ! რკინა ვერ გაუძლებს ამდენ ჯანჯღარს, მხოლოდ ჰოკეის ეროვნული ლიგის ბიჭები უძლებენ. მაგალითად, ფოტოზე ნაჩვენები ავარიის შემდგომ წარბი არ შერხევიათ ოტაველ უეიდ რედენსა (№6) და ატლანტელ გორდ მერფის, სრიალი და ყვანჯის ქნევა განაგრძეს. „ოტავამ" „ატლანტა" 8:1 დაიბრიყვა.



# რეპეტიცია

12 ავსტრალიელი ევერესტზე ასვლას აპირებს. მწვანე კონტინენტზე ევერესტის დარი ბუნებრივი მწვერვალი არ არის, რომ ივარჯიშონ და სხვაგვარად მოუფიქრებიათ: სიდნეის „ჰარბორ ბრიჯზე" ცოცავენ. ტურისტები კი მათ გარჯას ზემოდან დაჰყურებენ

# სად იყურებით?

მიხაელ შუმახერი და რუბენს ბარიკელო კუალა ლუმპურში არიან, „მალაიზიის დიდი პრიზისთვის" უნდა იბრძოლონ. პრესკონფერენციის დროს თუ შემდეგ იმათ გვერდით ორი დიდებული მალაელი გოგო დაუყენებიათ და მათ მომხიბლავობას ვერ გაუძლეს თუ რა იყო, პილოტები ერთმანეთს მისჩერებიან, გოგოები კი დგანან თავისთვის...



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge